პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან —80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- დემონსტრანტებისა და პოლიციელთა შეტაკება რიგაში.
- ირაქის მთავრობა უარს ამბობს ინგლისის ჯარების შენახვაზე.
- რკინისგზელთა გაფიცვა დელიში (ინდოეთი).
- ინტერესი „კრასინ“-ის ექსპედიციისადმი ამერიკაში.
- პილსუდსკი ჩავიდა რუმინეთში.
- მუკდენში გაიხსნა იაპონიის ყველა მანჯურიელ კონსულების ყრილობა.
- სპარსეთ-ინგლისის მოლაპარაკება სპარსეთ-ირაქის საზღვრების მოწესრიგების შესახებ.

პარასკევი, 24 აგვისტო 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 195 (2238)

მორიგი დიდი ამოცანა სოფლად

(შემოდგომის თესვა)

ეხლა, როდესაც მიმდინარე წლის მოსავალი თითქმის უკვე გამორკვეულია, სოფლის მეურნეობის წინაშე ბუნებრივად ისმება საკითხი მორიგ მოსავლის თადარიგის დაჭერის შესახებ. ის მდგომარეობა, როცა მოსავლის საკითხი ინტერესს იწვევდა უმთავრესად მოსავლის აკრეფის დროს, წარსულს უნდა ჩავაბაროთ. საბჭოთა ხელისუფლება უაღრესად დაინტერესებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაოდენობით და ხარისხობრივი ზრდით, რადგან ეს ბევრად განსაზღვრავს ჩვენი სახალხო მეურნეობის საერთო წინმსვლელობას. ამიტომ გეგმაშეწონილი მუშაობა სოფლის მეურნეობის განსავითარებლად, წინასწარი თადარიგის დაჭერა ამ მეურნეობის ცალკე მნიშვნელოვან დარგში, აუცილებელი პირობაა მოსავლის გაუმჯობესება-გადიდებისათვის.

ამ მხრივ საშემოდგომო თესვის კამპანია მორიგ და განსაკუთრებულ მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს. სამზადისი აღნიშნული კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის უკვე დაწყებულია. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ის უმთავრესად ცენტრით განისაზღვრება. ადგილობრივი ორგანიზაციები ამ კამპანიას ჯერ-ჯერობით სათანადო აქტივობით ბევრ რაიონებიდან არ გამოხმაურებიან. საქმე კი დაყოვნებას არ ითმენს.

იმისათვის, რომ საშემოდგომო თესვის კამპანიამ შესაფერი ნაყოფი გამოიღოს, საჭიროა საკმაოდ ხანგრძლივი წინასწარი სამზადისი. მოსაგვარებელია მთელი რიგი საკითხები, როგორც, მაგალითად: თესლის, სამეურნეო იარაღების და მუშა-საქონლის მომარაგება. ეს კიდევ ცოტაა. საჭიროა თესლის და სამეურნეო იარაღის არა მარტო სათანადო რაოდენობით გამოძებნა, არამედ თესლის დახარისხება და იარაღის შეკეთება.

ჩვენ ვიცით, რომ, მიუხედავათ წინასწარ გადადგმულ ენერგიულ ნაბიჯებისა, ბევრგან მაინც დაურჩება ადგილი სამეურნეო იარაღისა და მუშა-საქონლის ნაკლებობას, ამიტომ საჭიროა ადრევე ვიზრუნოთ იმის შესახებ, რომ ადგილობრივ ორგანოების, საბჭოთა მეურნეობის, კოლექტივების და სხვათა განკარგულებაში მყოფი მუშა-საქონელი და სამეურნეო ინვენტარი, რაც შეიძლება მიზანშეწონილად იქნას გამოყენებული.

ყოველივე ამისათვის კი საჭიროა დიდი წინასწარი მუშაობის ჩატარება. რაც უფრო ადრე შეუდგებიან ადგილობრივი ორგანოები ამ კამპანიას, რაც უფრო სისტემატიურად იმუშავებენ ისინი მის ჩასატარებლად, მით უფრო მეტი შესაძლებლობა იქნება დასახულ ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის. რაც მთავარია, უნდა ვერიდოთ საქმისადმი ბიუროკრატიულად მიდგომას. არ კმარა რესპუბლიკის ან მაზრის ცენტრიდან ადგილებისათვის დირექტივების მიწოდება და გამოგზავნილი ცნობების სტატისტიკური დამუშავებით დაკმაყოფილება. საჭიროა კამპანიის ჩატარებისათვის პასუხისმგებელნი პირნი ადგილობრივ ეცნობოდნენ საქმეს, პირადად და უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ მას. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას სამაზრო აღმასკომების ხელმძღვანელებზე, რომელთაც მეტი შესაძლებლობა აქვთ ორგანიზაციული და ტეხნიკური ხელმძღვანელობა გაუწიონ ადგილობრივ თესვის საქმეს.

იმისათვის, რომ კამპანია არ შეფერხდეს, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს თესვისათვის გადადებულ თანხის მიწოდება-განაწილებას და გამოყენებას. საჭიროა, რომ ეს თანხა თავის დროზე და უკლებლივ მივიდეს დანიშნულებისამებრ, რომ ის პირველყოვლისა მოხვდეს კოლექტიურად დარაზმულ და ცალკე ღარიბ გლეხობის ხელში. ამასთან ერთად საჭიროა, რომ თესვის საქმეზე გაღებული ფული სხვა რამეს არ მოხმარდეს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამუშაო ინვენტარის შეკეთებასაც. გარდა იმისა, რომ ბევრ რაიონებში ინვენტარის საერთო სიმცირეა, საქმეს კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის მნიშვნელოვანი ნაწილი ხშირად მცირე დაზიანების გამო ან სრულიად უქმად დგას, ან სანახევროდაც ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას.

ამიტომ სამეურნეო იარაღების შეკეთებაზე ზრუნვას აქედანვე ენერგიულად უნდა შეუდგეთ. ამ მიზნით არ კმარა შემკეთებელ სახელოსნოების მარტო სამაზრო ან სარაიონო პუნქტებში მოწყობა, საჭიროა მოძრავი სახელოსნოების ორგანიზაცია, რომელიც ადგილობრივად შეასწორებს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს.

საშემოდგომო თესვის კამპანიის მიზანია მოსავლის რაოდენობითი გადიდება და მისი ხარისხობრივი გაუმჯობესება. აქედან ცხადია, რომ მიწის რაც შეიძლება მეტი არე უნდა იქნეს მოქცეული ნათესების ქვეშ და განსაკუთრებით უნდა იქნეს გაწმენდილი სათესლე მარცვლეულობა. სოფელმა უკვე იცის თესლის გაწმენდის მნიშვნელობა. ამ მხრივ დიდი აგიტაცია-პროპაგანდა საჭირო არ იქნება. უმთავრესად უნდა ვიზრუნოთ გლეხ-კაცობის უზრუნველსაყოფად მარცვლის საწმენდი მანქანებით.

უნდა აღირიცხულ და შეკეთებულ იქნას მაზრაში არსებული მარცვლის საწმენდი მანქანები, რომელნიც საჭიროა ხელმისაწვდომი გახდეს ღარიბ და საშუალო გლეხკაცობის ფართო ფენებისათვის.

თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარება განიზომება იმით, თუ რამდენათ მომზადებული შეხვდებიან ამ კამპანიას მაზრისა და თემის ორგანოები, რამდენათ ენერგიულ და სისტემატიურ ხელმძღვანელობას გაუწევენ მას ისინი. პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, იქ, სადაც ჯერ კამპანია არ დაწყებულა, დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ საქმეს. საშემოდგომო თესვის კამპანიამ ერთხელ კიდევ უნდა ცხადჰყოს, რომ მოსავლის ზრდა დამოკიდებულია არა მარტო ბუნებაზე, არამედ ორგანიზაციულად დარაზმულ მშრომელ მასების შეთანხმებულ მუშაობაზე სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის, ჩვენი მატერიალურ ხელმძღვანელობისა და სტიქიურ უბედურების წინააღმდეგ.

1906 წელში დაბადებულთა ჯარში გაწვევა

საკავშირო რევოლიუციონურ საბჭოს ბრძანების თანახმად პირველი სექტემბრიდან დაიწყება მორიგი გაწვევა ჯარში, რომელიც გავრცელდება 1906 წელში დაბადებულ ახალგაზრდებზე.

ამ ახალგაზრდებთან ერთად გაწვეულ იქნებიან აგრეთვე 1901—1905 წლებში დაბადებული ყველა ის მოქალაქენი, რომელთაც ფიზიკური განუვითარებლობის გამო ან სწავლის დასამთავრებლად გადადებული ჰქონდათ გაწვევის ვადა და ეს ვადა უკვე გაუთავდათ, ან და უთავდებათ მიმდინარე წლის შემოდგომაზე. გაწვევა ეხება აგრეთვე იმ მოქალაქეებსაც, რომელნიც მოერიდნენ გაწვევას ან სხვა რაიმე მიზეზით არ გამოცხადებულან წინაადელ გაწვევებზე თავის ტოლებთან, ერთად.

მთელი მუშაობა გაწვევის ჩასატარებლად შესდგება სამი ნაწილისაგან.

1ლ სექტემბრიდან 1-ლ ოქტომბრამდე იწარმოებს მოქალაქეთა ჯანმრთელობის შემოწმება და აგრეთვე ოჯახურ-ქონებრივი მდგომარეობის გამორკვევა იმ პირებისა, რომლებმაც რაიმე მიზეზების გამო ვერ მოასწრეს თავის დროზე წარდგენა სათანადო საბუთებისა და ამ საბუთებს დამატებით წარადგენენ გამწვევ კომისიებში.

1-ლ ოქტომბრიდან 1-ლ ნოემბრამდი იწარმოებს კენჭის ყრა და სამსახურში განწესება იმ მოქალაქეთა, რომელნიც ცნობილ იქნებიან ვარგისად სამხედრო სამსახურისათვის.

ჯარში მიღებულ მოქალაქეთა ნაწილებში გაგზავნა კი მოხდება ნოემბრის პირველ ნახევარში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძირედ ნაწილებში გაიგზავნებიან მხოლოდ უშეღავათონი, ე. ი. ისეთები, რომელთაც ოჯახში შესანახი არავინა ჰყავთ, ხოლო რაც შეეხება შეღავათიანებს—ესენი ჩარიცხულ იქნებიან ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში ან და სამხედრო ბეგარას მოიხდიან ე. წ. ჯარის გარეშე წესით.

ამის გამო საჭიროა დაინტერესებულ პირებმა ეხლავე მიაქციონ ყურადღება ასეთ გარემოებას. საქმე ის არის, რომ წინა წლების გაწვევების დროს, თავის დაუდევრობის და საქმის უცოდინარობის გამო, ბევრმა მოქალაქემ ვერ ისარგებლა სათანადო შეღავათებით, რის გამო შესამჩნევი რიცხვი შეღავათიანებისა მოხვდა ნაწილებში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ წრევანდელი მუშაობა ამ დარგში უფრო ნაყოფიერად ჩატარდება, მაგრამ, უეჭველია, შიგა და შიგ მაინც იქნებიან ისეთები, რომელთაც არ წარუდგენიათ, სადაც ჯერ არს, სათანადო საბუთები თავის ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის შესახებ. აუცილებლად საჭიროა, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, ყველა გასაწვევმა იზრუნოს თავის თავზე და ეხლავ გამოარკვიოს, თუ რომელ ხარისხის შეღავათიანს მიეკუთვნება ის თავისი ოჯახურ-ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით.

საჭიროდ მიგვაჩნია აქვე მოკლედ მოვიყვანოთ ზოგიერთი ცნობები შეღავათების შესახებ.

სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის მე-92 მუხლით და აგრეთვე საქართველოს ს.ს.რ. ცაკის დამატებით დადგენილებით 1925 № 28 ს.ს.ს.რ. ტერიტორიაზე მცხოვრებ სამხედრო ვალდებულთათვის გათვალისწინებულია სამი ხარისხის შეღავათი:

პირველი ხარისხის შეღავათი შეეხება ოჯახის ერთად-ერთ შრომის უნარიან წევრს, თუ მისი შრომით ინახება ოჯახის სამი ან მეტი შრომის უნარმოკლებული წევრი;

მეორე ხარისხის შეღავათი—ოჯახის ერთად-ერთ შრომის უნარიან წევრს, თუ მისი შრომით ინახება ოჯახის ერთი ან ორი შრომის უნარმოკლებული წევრი და

მესამე ხარისხის შეღავათი—ოჯახის შრომის უნარიან წევრს, თუ ოჯახში იმყოფება მეორე შრომის უნარიანი წევრი და ამ ორი შრომის უნარიანი წევრის შრომით ინახება ოჯახის სამი ან მეტი შრომის უნარმოკლებული პირი.

სიტყვა „ოჯახში“ იგულისხმება მშრომელ-ნათესაობრივი შეერთება სხვადასხვა საფეხურის ნათესაობრივ კავშირში მყოფ პირებისა, რომელნიც ერთად ცხოვრობენ, საერთო მეურნეობას აწარმოებენ, ან არსებობის საერთო წყარო აქვთ.

ოჯახის შრომის უნარმოკლებულ წევრებათ ითვლებიან:

ა) ყველა მამრობითი სქესის პირნი 18 წლის ასაკამდე და 55 წლ. უფრო ხნიერნი.

ბ) მდედრობითი სქესის პირნი —18 წლ. ასაკამდე და 40 წლ. უფრო ხნიერნი.

გ) მდედრობითი სქესის პირნი, რომელთაც ჰყავთ ბავშები 8 წლ. ასაკამდე, ან და იმყოფებიან ორსულათ, რაიც დადასტურებულ უნდა იქნეს სათანადო სამკურნალოს მიერ ან სახელმწიფო სამსახურში მყოფ ექიმისაგან და

დ) ოჯახის ინვალიდი წევრები.

ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის დამადასტურებელ საბუთად ჩაითვლება თემაღმასკომის ან სამილიციო უბნის მოწმობა, რაიც წარდგენილ უნდა იქნეს სათანადო სამხედრო კომისარიატში ეხლავე, ან შეაკრებ პუნქტზე გამწვევ კომისიაში გამოცხადებისას.

თუ ვინიცობაა მოქალაქენი არ წარადგენენ სათანადო საბუთებს ა. წ. 1-ლ ოქტომბრამდი, ისინი უფლებას დაკარგავენ შეღავათზე და გაიგზავნებიან ჯარის ძირედ ნაწილებში როგორც უშეღავათონი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, თანახმად ს.ს.ს.რ. ცაკ-ის ზემოაღნიშნულ დადგენილებისა, № 28, სასოფლო საბჭოები, თემაღმასკომები და მილიციის ორგანოები მოვალენი არიან მიიღონ ყოველივე ზომები, რათა გააცნონ სოფლის მოსახლეობას აღნიშნული წესები, რისთვისაც სოფლად უნდა შეკრიბონ სასოფლო ყრილობები, სადაც უნდა განუმარტონ გლეხკაცობას მათი მოვალეობანი სამხედრო სავალდებულო სამსახურისადმი და აგრეთვე ხელი შეუწყონ ჯარში გასაწვევ მოქალაქეებს, რათა მათ მიერ თავის დროზე იქნეს წარდგენილი მაზრის სამხედრო კომისარიატში, ან გამწვევ კომისიაში მოწმობები და სხვა საბუთები სათანადო შეღავათების მისაღებათ.

ეს მით უმეტეს სასწრაფო და საშურია, რომ შეღავათების გამორკვევა უნდა მოხდეს აუცილებლათ ა. წ. 1-ლ ოქტომბრამდი. ამნაირათ, სულ ცოტა დროა დარჩენილი და საკითხის გადადება შეუძლებელია. მხედველობაშია აგრეთვე მისაღები ის გარემოებაც, რომ, თუ მოქალაქემ თავის დროზე არ ისარგებლა კუთვნილი შეღავათით, შემდეგში, რაკი ჩაირიცხება სამხედრო სამსახურში, მისი განთავისუფლება ნაწილიდან აღარ შეიძლება, ვიდრე სრულიად არ მოიხდის სამხედრო ბეგარას, რომლის ვადაც განსაზღვრულია ორი წლით (ზოგიერთ ჯარების დარგში — 3-4 წლით).

უფრო დაწვრილებითი და ვრცელი ცნობების მიღება ჯარში გაწვევასთან დამოკიდებულ საკითხების შესახებ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მაზრის სამხედრო კომისარიატებში და აგრეთვე სამხედრო-სააღრიცხვო მაგიდებში, რომლებიც არსებობენ სოფლად — თემაღმასკომებთან, ხოლო ქალაქებში — სამილიციო უბნების სამმართველოებთან.

დ. ფ.

ჩინეთის და მონღოლეთის ჯარების შეტაკება ხეილუნცზიანის პროვინციაში

იაპონია ჯარების მობილიზაციას ახდენს სამხრეთ მანჯურიაში

გერმანიის სოც.-დემ. ორგანიზაციები მოითხოვენ სოც.-დემოკრატ მინისტრების გადადგომას

იტალიის პოლიტიკურ წრეებში შესაძლებლად სთვლიან დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტას იტალიასა და სამხრეთ-სლავიას შორის

მდგომარეობა ჩინეთში

შეტაკება ხეი-ლუნ-ცზიანის და მონგოლეთის ჯარებს შორის

შანხაი, 22 აგვისტო. როგორც ნანკინის მთავრობის ოფიციალური სააგენტო გომინი იუწყება, ხეი-ლუნ-ცზიანის ჯარებსა (რომელსაც მეთაურობს ვან ფუ-ლინი) და მონგოლეთის ჯარებს შორის მანჯურიაში მოხდა შეტაკება. ჩჟან-სიუე-ლიანმა ვან ფუ-ლიანს გაუგზავნა ძლიერი დამხმარე ჯარი. სანაპირო რაზმის გამაგრების საბაბით დაიწყო იაპონიის ჯარის მობილიზაცია სამხრეთ მანჯურიაში. იაპონიას სურს ჩაერიოს საქმეში, რომ მოიპოვოს სამოქალაქო კონტროლის უფლება ხეი-ლუნ-ცზიანის პროვინციის იმ ოლქებზე, სადაც შეტაკება ხდება (ადს).

იაპონელები სცდილობენ ხელში ჩაიგდონ აღმოს.-ჩინეთის რკინის გზის დაცვა

ხარბინი, 22 აგვისტო. აქაური იაპონური პრესა უკანასკნელ ხანებში ყოველგვარად სცდილობს შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, ვითომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის დამცველი რაზმი (რაზმში ჩინელები არიან) არ ვარგა და რომ საჭიროა ამ რაზმის შეცვლა იაპონელთა ან, უკიდურეს შემთხვევაში, საერთაშორისო ჯარით. იაპონური გაზეთები, რომლებიც მანჯურიაში გამოდიან, და აგრეთვე თეთრგვარდიელთა პრესა ყოველდღე ბეჭდავს წერილებს და შენიშვნებს, რომლებიც ზემოხსენებულ თვალსაზრისს ასაბუთებენ (ადს).

იაპონიის სამხედრო ძალები შანდუნში

პეკინი, 22 აგვისტო. გაზეთ „ჩაო-ბაო“-ს ცნობით, იაპონიამ შანდუნის პროვინციაში გაგზავნა მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები, რომლებიც დღემდე ჩჟილის პროვინციაში იყვნენ. (ადს).

იაპონიის ელჩების ყრილობა

ხარბინი, 22 აგვისტო. მუკდენში გაიხსნა იაპონიის იმ ელჩების ყრილობა, რომლებიც მანჯურიაში არიან, ელჩებს გარდა ყრილობას ესწრება იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი.

ადგილობრივ ავტორიტეტულ წრეებში იაპონიის ელჩების ყრილობას უყურებენ, როგორც ერთგვარ დემონსტრაციას, რომელმაც გავლენა უნდა მოახდინოს მუკდენზე, რომ იგი არ შეუთანხმდეს ნანკინს. ფიქრობენ აგრეთვე, რომ ყრილობა მიზნად ისახავს იაპონიის ელჩთა მოქმედების შეთანხმებას იაპონიის ახალი აგრესიული გეგმების განხორციელების დროს აღმოსავლეთის სამ პროვინციაში. (ადს).

ანტი-იაპონური ბოიკოტი

შანხაი, 22 აგვისტო. შანხაისა და სვატოუში იაპონიის საქონლით მოვაჭრეებს „სამშობლოს ხსნის ფონდისათვის“ ახდევინებენ განსაკუთრებულ გადასახადს, რომელიც საქონლის ღირებულების 30 პროც. აღწევს. იაპონიის საქონლით ვაჭრობა, ბოიკოტის გამო, შარშანდელთან შედარებით, 32 მილ. იენით შემცირდა. (ადს).

იაპონიას ეშინია „ბოლშევიკური გავლენის“

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო. იაპონიის გენერალურმა კონსულმა ნიუ-იორკის პოლიტიკური ინსტიტუტის კონფერენციაზე ვილიამსტოუნში განაცხადა, რომ იაპონია ხელს უშლის ნანკინის მთავრობის ხელისუფლების გავრცელებას მანჯურიაზე, რადგან მანჯურია საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე ქვეყანაა, ხოლო იაპონიას „ეშინია ბოლშევიზმისა და არ სურს, რომ რუსეთმა მოიპოვოს გავლენა ამ რაიონში“. (ადს).

არეულობის მომწყობი

პეკინი, 22 აგვისტო. „ბოიპინ-აცი-ბაო“ აცხადებს, რომ არეულობას მანჯურიაში იაპონია აწყობსო. (ადს).

კომუნისტური მოძრაობა ჩჟეცზიანში

შანხაი, 22 აგვისტო. გაზეთები გადმოგვცემენ ჩჟეცზიანის პროვინციაში „კომუნისტური მოქმედების გამოცოცხლების“ შესახებ. გაზეთების ცნობით, ხელისუფლებას ხანჩჟოუსა და ჩუჩიში აღმოუჩენია „კომუნისტური შეთქმულებები“. ორივე ქალაქში არიან დაპატიმრებულები. პროვინციის სამხრეთ ნაწილში, ლანშიში და შუოჩანში, კომუნისტურ მოძრაობას, როგორც გაზეთები გვატყობინებენ, „საშიში ხასიათი“ მიუღია; ამ რაიონში დამხმარე ჯარი გაუგზავნიათ. ლუნგუიისა და სიუ-ჩანის რაიონებში კომუნისტურ ორგანიზაციებს ეტყობათ განუწყვეტელი ზრდა.

კომუნისტური პროკლამაციებისათვის

შანხაი, 22 აგვისტო. როგორც ჩინური გაზეთები გადმოგვცემენ, შანხაიში კომუნისტური პროკლამაციების გავრცელებისათვის დაუპატიმრებიათ მუშები.

იტალიისა და სამხრეთ-სლავიის ურთიერთობა

ბერლინი, 22 აგვისტო. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის რომაელი კორესპონდენტი იუწყება: იტალიის პოლიტიკურ წრეებში შესაძლებლად მიაჩნიათ დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა იტალიასა და სამხრეთ-სლავიას შორის. გაზეთის „ლავორო დ, იტალია“-ს აზრით, ეს შეიძლება მოხდეს წლის დამლევს, როდესაც ვადა გაუვა იტალიისა და სამხრეთ-სლავიის მეგობრულ ხელშეკრულებას. კორესპონდენტის სიტყვით, იტალიაში განსაკუთრებით ძლიერი უკმაყოფილება გამოიწვია უკანასკნელ დღეებში გამორკვეულმა ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკის შეთანხმებამ ბალკანეთზე. საფრანგეთის გამოსვლა სოფიაში სამხრეთ-სლავიის სასარგებლოდ იტალიელებს სავსებით ბუნებრივად მიაჩნიათ, მაგრამ უფრო არასასიამოვნო და მოულოდნელი გამოდგა იტალიისათვის ინგლისის მონაწილეობა ამ გამოსვლაში (ადს).

დემონსტრანტებისა და პოლიციის შეტაკება რიგაში

რიგა, 22 აგვისტო. დემონსტრანტებისა და პოლიციის შეტაკება ქალაქის სხვადასხვა რაიონში მოხდა. რამოდენიმე ადგილას დემონსტრანტებმა ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს პოლიციელებს, რომლებმაც სროლით უპასუხეს. დაჭრილები ორივე მხარეს არიან. პოლიცია დაპატიმრებას განაგრძობს. სულ დაპატიმრებულია 500 კაცზე მეტი. საღამოთი ქალაქში სიწყნარე ჩამოვარდა. მემარცხენე საპროფკავშირო მოძრაობის პროცესზე სასამართლომ დაადგინა—დააკმაყოფილოს დამცველთა შუამდგომლობა ახალი მოწმეების გამოწვევის შესახებ. საქმის გარჩევა გადაიდო. სასამართლომ არ აღნიშნა, როდის განახლდება პროცესი (ადს).

რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხი

პარიზი, 22 აგვისტო. გაზეთი „ლიბერტე“ იუწყება: გერმანიის მთავრობა თავისი ელჩების საშუალებით შეეკითხა საფრანგეთის, ინგლისის, ბელგიის და იტალიის მთავრობებს, ხომ არ მიაჩნიათ მათ ნება მისცენ გერმანიას კელლოგის ხელშეკრულების მოწესრიგების დროს დასვას საკითხი რეინის ოლქის ევაკუაციის შესახებ.. ამის საპასუხოდ გერმანიას აცნობეს, რომ პაქტის ხელის მოწერის დრო მოხერხებული მომენტი არ არის ასეთი მოლაპარაკებისათვის, რადგან შეერთებული შტატების რესპუბლიკას არ სურს ჩაერიოს ევროპის საქმეებშიო.

„ამრიგად, — სწერს გაზეთი, —მოხერხებული საბაბით თავიდან აიცილეს ეს საკითხი და დრო მოიგეს. მაგრამ თუ დღეს გადასდეს საკითხის განხილვა, საფრანგეთი ვერ შესძლებს ხელი შეუშალოს გერმანიას, რომ მან ეს საკითხი წამოაყენოს ერთა ლიგის სექტემბრის სესიაზე“ (ადს).

რუმინეთის მთავრობა სცრუობს

ვენა, 22 აგვისტო. ბუქარესტის ოპოზიციონური გაზეთი „კუვაენტული“ აშკარა სიცრუეს უწოდებს რუმინეთის მთავრობის პასუხს საბჭოთა კავშირის იმ ნოტაზე, რომელიც საბჭოთა გემების გაყიდვას შეეხება. რუმინეთის ნოტაში ნათქვამია რომ არავითარი გემები არ გაყიდულა და რუმინეთის მთავრობას განზრახული აქვს გაჰყიდოს მხოლოდ უვარგისი მასალა გემებისა. გაზეთის სიტყვით კი, აუქციონი მოხდა ივლისში რუმინეთის სანაოსნო საზოგადოების ბინაზე. გაზეთი ადასტურებს, რომ გემები ჩალის ფასად გაიყიდა, რუმინეთის მთავრობის პასუხი კი შეგნებული ტყუილიაო. (ადს).

სოც.-დემოკრატები თავიანთ მინისტრების წინააღმდეგ

ბერლინი, 22 აგვისტო. სოციალ-დემოკრატიული პარტიის საოლქო ორგანიზაციები კელნში, ბრესლავლში, ხემნიცსა და რეგლინაში ჰკიცხავენ სოციალ-დემოკრატიული მინისტრების მოქმედებას და მოითხოვენ—გაუქმებულ იქნეს დადგენილება ჯავშნოსანის აგების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოითხოვენ სოციალ-დემოკრატიული მინისტრების გადადგომას.

სოციალ-დემოკრატიული ორგანო რომელიც ცვინკაუში გამოდის, მხარს უჭერს კომპარტიის მოთხოვნას რეფერენდუმის შესახებ.

კომუნისტური პრესა აქვეყნებს პირველ ცნობებს ზოგიერთი წევრების გამოსვლის შესახებ სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან იმ უთანხმოების გამო, რომელიც წარმოიშვა ჯავშნოსანის საკითხის გარშემო.

21 აგვისტოს გაიმართა კომუნისტური დემონსტრაციები; მოითხოვდნენ ჯავშნოსანის აგების შესახებ დადგენილების გაუქმებას და საყოველთაო სახალხო კენჭის ყრას. დემონსტრაციებში დიდძალმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა. (ადს).

ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების გარშემო

ჰავასის სააგენტოს ცნობა

პარიზი, 22 აგვისტო. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„ინგლის-საფრანგეთის საზღვაო კომპრომისი წარმოადგენს არა დიპლომატიურ აქტს, არამედ მხოლოდ უთანხმოების ლიკვიდაციას. შეთანხმებაში ნათქვამია, რომ ვაშინგტონის კონფერენცია გულისხმობდა მხოლოდ კაპიტალისტურ გემებს, რომ კონფერენცია, რომელიც 1927 წ. ჟენევაში მოხდა შეერთებული შტატების, ინგლისის და იაპონიის მონაწილეობით, მარცხით დამთავრდა და რომ კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის პროექტს გადაეღობა დაბრკოლებანი, რომლების მოგვარებაც დღემდე ვერ მოხერხდა.

საფრანგეთი და ინგლისი სცდილობდნენ მოლაპარაკების განახლებას აღნიშნულ კომისიაში, რისთვისაც ეძებდნენ საფუძველს ისეთი შეთანხმებისათვის, რომელიც მისაღები ყოფილიყო სხვა სახელმწიფოებისათვისაც. საფრანგეთმა და ინგლისმა გამონახეს კომპრომისი, რომელიც ითვალისწინებს საფრანგეთის სურვილს მსუბუქი გემების საერთო ტონაჟის შეზღუდვის შესახებ და აგრეთვე ინგლისის სურვილს, გემების ცალკე კატეგორიებისათვის ტონაჟის შეზღუდვის შესახებ.

საფრანგეთის თეზისი მდგომარეობს იმაში, რომ სრულებით არ უნდა იქნას შეზღუდული მცირე ტონაჟის წყალქვეშა ნავების და იმ კატეგორიის გემების შენება, რომელთა წყალტევა 10.000 ტონაზე ნაკლებია, თუ ეს გემები თავისი შეიარაღებით თავდაცვისათვის არიან დანიშნული. საფრანგეთი სცდილობს ისეთი კრეისერების და სხვა გემების აგების შეზღუდვას, რომელთა შეიარაღებაც შეტევითი მიზნებს ისახავს.

კომპრომისი სცდილობს შექმნას შეთანხმების შესაძლებლობა სახელმწიფოებს შორის იმ კონვენციის დასადებად, რომელიც საყოველთაო განიარაღების მთელ პრობლემას მოაწესრიგებს“ (ადს).

ინგლის-საფრანგეთის კომპრომისი

ლონდონი, 22 აგვისტო. „მანჩესტერ გარდიენ“-ის პოლიტიკური კორესპონდენტი, რომელიც ავტორიტეტულ წრეების ცნობებს ემყარება, სწერს: ინგლის-საფრანგეთის საზღვაო კომპრომისის აზრი იმაშია, რომ ინგლისი დასთანხმდა მხარი დაუჭიროს საფრანგეთის წინადადებას იმის შესახებ, რომ სათადარიგო ნაწილები ანგარიშში არ იქნან მიღებული ხმელეთის ჯარის შეიარაღების შეზღუდვის დროს. სამაგიეროდ საფრანგეთი დასთანხმდა მხარი დაუჭიროს ინგლისის მოთხოვნილებას იმის შესახებ, რომ საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის დროს მაქსიმალური ტონაჟი გემების ყოველი კატეგორიისათვის ცალკე დაწესდეს.

„დეილი ტელეგრაფი“ მოწინავე წერილში უსაყვედურებს გარეშე საქმეთა სამინისტროს იმის გამო, რომ მან უარი განაცხადა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების ტექსტის გამოქვეყნებაზე. წერილში ნათქვამია, რომ ვერც ერთი არგუმენტი, რომელიც სამინისტროს მოჰყავს, იმისათვის, რომ დაასაბუთოს უარი ამ დოკუმენტის გამოქვეყნებაზე, კრიტიკას ვერ უძლებსო (ადს).

მოხამედ ხატას განცხადება

ბერლინი, 22 აგვისტო. იმპერიალიზმისა და კოლონიალური ერების ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი ლიგის სესიაზე ინდონეზიის სტუდენტთა კავშირის წარმომადგენელმა **მოხამედ ხატმა** (რომელიც მე-2 ინტერნაციონალის კონგრესს დაესწრო „როგორც სტუმარი“) განაცხადა, რომ მე-2 ინტერნაციონალმა კოლონიალური საკითხის შესახებ მიღებული რეზოლიუციით შეუძლებელი გახადა ინდონეზიის ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირება. ხატმა აღნიშნა, რომ ინდონეზიის ეგ რედწოდებულ სოციალ-დემოკრატიას, რომელზედაც თავის იმედებს ამყარებს, 200 წევრი ჰყავს, ამასთან ყველა ჰოლანდიის მოხელეა.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს მოხამედ ხატმა განაცხადა, რომ სტუდენტთა კავშირი, ისე როგორც ინდონეზიის ყველა სხვა ნაციონალურ-რევოლიუციონური ორგანიზაცია, მოითხოვს ინდონეზიის დამოუკიდებლობას, მაგრამ მე-2 ინტერნაციონალის და სოციალ-დემოკრატიის ბელადები წინააღმდეგნი არიან ამ მოთხოვნის. ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადი უდეგესტი იმასაც კი ამტკიცებდა რომ ინდონეზიაში არ შეიძლება საყოველთაო საარჩევნო უფლების განხორციელება და რვა საათის სამუშაო დღის შემოღება.

შემდეგ მოხამედ ხატმა სთქვა, რომ ინდონეზია არაფერს არ მოელის „კოლონიალურ კონგრესისაგან“, რომლის მოწვევაც განზრახული აქვთ მე-2 ინტერნაციონალის ბელადებს.

„ამ კონგრესზე,—განაცხადა მოხამედ ხატმა,—არ იქნებიან კოლონიალური ქვეყნების ნამდვილი წარმომადგენლები, ვინაიდან **მე-2 ინტერნაციონალის მიერ მიღებულმა რეზოლიუციამ კოლონიალური საკითხის შესახებ გაარღმავა წინააღმდეგობა მე-2 ინტერნაციონალსა და კოლონიალურ ერებს შორის.** ეხლა ცხადია, რომ სოციალ-დემოკრატიას სურს განაგრძოს იმპერიალიზმისა და კოლონიების ჩაგვრის პოლიტიკა“ (ადს).

კელოგის ხელშეკრულება

კელოგის ხელშეკრულება პირმოთნეობაა.

რომი, 22 აგვისტო. გაზეთი „ტევერე“ თავის მოწინავეში, „პირმოთნეობის“ სათაურით, სწერს:

„ვინ უნდა გაასულელონ იმ დიდებული მიღებით, რომელსაც პარიზში კელოგს უმზადებენ? ერებმა და სახელმწიფოებმა მშვენივრად იციან საქმის ნამდვილი ვითარება. კულიჯმა აშკარად განაცხადა, რომ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა პარიზში არ ართმევა უფლებას ცალკე ერებს შეიარაღდნენ თავდაცვისათვის. შეერთებული შტატების სენატმა დაადასტურა კრედიტები 15 ახალი კრეისერის ასაგებად. გერმანიაში ლაპარაკია კრეისერების აგების შესახებ. ამერიკას, რომელიც ახალ კრეისერებს აგებს, ინგლისი, ეჭვს გარეშეა, უპასუხებს ახალი გემების აშენებით, საფრანგეთს ყველაზე უფრო მომზადებული და კარგი შეიარაღებული ჯარი ჰყავს“.

პოლონეთის მახინაციები

ლონდონი, 22 აგვისტო. აქაურ დიპლომატიურ წრეებში იუწყებიან: პოლონეთის ლონდონელი ელჩის საშუალებით ზალესკი ცდილობს დაარწმუნოს ინგლისის მთავრობა, რომ საჭიროა საბჭოთა კავშირის გამორიცხვა კელოგის ხელშეკრულების მონაწილეთა სიიდანო.

ზალესკი საბუთად ასახელებს კომინტერნის რევოლიუციონურ მუშაობას. პოლონეთის მისია ცდილობს ამავე მიმართულებით იმოქმედოს ინგლისის პრესაზე (ადს).

პილსუდსკი რუმინეთში

ვენა, 22 აგვისტო. როგორც ბუქარესტიდან იუწყებიან, პილსუდსკი პლოეშტში ჩავიდა, სადაც მას რუმინეთის მთავრობის წარმომადგენლები შეხვდნენ.

პილსუდსკი კურორტ ტარგავისტში გაემგზავრა (ადს).

ვენა, 22 აგვისტო. პილსუდსკის კაბინეტის უფროსი, პოლონეთის გენერალური შტაბის ორი ოფიცერი და პოლონეთის სამხედრო ატაშე გაემგზავრნენ ორნაიში (ბუქარესტის მახლობლად), სადაც გაიმართება თათბირი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ პილსუდსკი, რუმინეთის დროებითი საგარეო საქმეთა მინისტრი არჯეტაიანუ და რუმინეთის სამხედრო სარდლობის წარმომადგენლები.

რუმინეთის პრესის აზრით, შეკრებილნი უმთავრესად ითათბირებენ რუმინეთის მდგომარეობაზე. მცირე ანტანტისა და პოლონეთის თავდაცვის სისტემაზე და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პოლონეთ-რუმინეთის სამხედრო თანამშრომლობაზე. (ადს).

ინგლისი და ირაქი

ლონდონი, 22 აგვისტო. როგორც ბაღდადიდან იუწყებიან, ირაქის პრემიერმა მუსინ ბეგ სადუნმა პარლამენტში განაცხადა, რომ ირაქის მთავრობას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია აუნაზღაუროს ინგლისს მისი ჯარის (ირაქში) შესანახი ხარჯები. ირაქის მთავრობამ ოფიციალურად აცნობა ინგლისის მთავრობას, რომ იგი გადაჭრით უარს აცხადებს 20.000 გირ. სტერლინგის გადახდაზე ინგლისის სამხედრო ძალების შესანახად ირაქში.

ლონდონის პოლიტიკურ წრეებში ყურადღებას იქცევს ირაქის პრემიერის განცხადების ენერგიული ტონი. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ირაქი, სამანდატო ტერიტორია კი არა, სუვერენული სახელმწიფო იყოს თავისი „დამცველის“ მიმართაც. (ადს).

ინტერესი „კრასინის“ ექსპედიციისადმი ამერიკაში

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო. „კრასინ“-ის ექსპედიციამ დიდი ინტერესი გამოიწვია ამერიკის მთელს მოსახლეობაში. საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი რეაქციონური პრესაც კი დიდ ადგილს უთმობდა ცნობებსა და წერილებს „კრასინ“-ის მუშაობის შესახებ.

ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატების პრესამ 600-ზე მეტი წერილი უძღვნა „კრასინ“-ის ექსპედიციას. „კრასინ“-ის ექსპედიციამ დიდი გამოძახილი გამოიწვია აგრეთვე ამერიკის სხვა ქვეყნების პრესაშიაც. ისეთ ქვეყანაშიაც კი, როგორიც ჩილია, სადაც დიქტატორმა იბანიესმა შარშან გამოსცა ბრძანება რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირისათვის არახელსაყრელი ცნობები მოეთავსებია პრესას, ასეთი ქვეყნის გაზეთებიც სავსე იყო წერილებითა და ცნობებით ექსპედიციის შესახებ. (ადს).

კომინტერნის VI მსოფლიო კონგრესი

21 აგვისტოს საღამოს სხდომა

ამხ. კუუსინენის საბოლოო სიტყვა

კამათმა კოლონიალური საკითხის გარშემო, —სთქვა კუუსინენმა,—ბევრი რამ სასარგებლო მოგვცა. ჩვენ სერიოზული ანგარიში უნდა გავუწიოთ ზოგიერთი ამხანაგის კრიტიკულ შენიშვნას, მით უფრო, რომ ბევრი მათგანი კოლონიალური საკითხის საუკეთესო მცოდნეა. თეზისების ზოგიერთი ნაკლი უკვე აღვნიშნე ჩემს მოხსენებაში. ასე, მაგალითად, მე მივუთითე, რომ თეორეტიულად დასაბუთებული არ არის ლენინის თეზისები კოლონიების არაკაპიტალისტურ განვითარების შესახებ და რომ საკმაოდ არ არის დამუშავებული გლეხობის როლის საკითხი კოლონიებში. მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ გლეერის შენიშვნა, თითქოს გლეხობის საკითხს საერთოდ არა აქვს დათმობილი ადგილი თეზისებში,—სწორი არ არის.

თეზისების მთავარი აზრი ისაა, რომ აუცილებელია პროლეტარიატის დამოუკიდებელი როლის შემუშავება და მისი უზრუნველყოფა კოლონიალურ რევოლიუციებში. სწორედ ამიტომ მიექცა განსაკუთრებული ყურადღება ჩინეთის რევოლიუციას. თეზისებში აღნიშნულია, რომ კომპარტიების უმნიშვნელოვანეს ამოცანას კოლონიებში წარმოადგენს პროლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკური და პროფესიონალური ორგანიზაციების შექმნა. უსაფუძვლოა ლოზოვსკის საყვედური, თითქოს პროლეტარიატის, როგორც ჰეგემონის, როლი კოლონიალურ რევოლიუციებში არა სჩანდეს თეზისებში. ლოზოვსკი გვისაყვედურებს აგრეთვე იმას, რომ, მისი აზრით, პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის საკითხი საკმაო კონკრეტიულ გამოხატულებას ვერ პოულობს თეზისებში. უბრალო გაცნობა თეზისებთან გვარწმუნებს, რომ ეს საყვედურიც უსაფუძვლოა. სხვათა შორის, ნეიმანმა აქ მოიყვანა ლენინის ციტატა, რომელშიაც ნათქვამია, რომ მხოლოდ ბრძოლა სწყვეტს ბურჟუაზიულ დემოკრატიული რევოლიუციის გარდაქმნას სოციალისტურ რევოლიუციადო. მაგრამ ლენინის აზრის სწორი განმარტებისათვის უსათუოდ უნდა დაუმატოთ, რომ ბრძოლა შესაძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მინიმალური ობიექტიური პირობები მაინც არსებობენ.

გადავდივარ კოლონიების დეკოლონიზაციის და ინდუსტრიალიზაციის საკითხზე. თეზისების მეორე თავი ეხება იმპერიალისტების კოლონიალური პოლიტიკის შინაარსს. მთელი პროცესის დაწვრილებით განხილვა თეზისების ფარგლებში შეუძლებელია. თეზისებში ნათქვამია, რომ იმპერიალიზმი წარმოადგენს წარმოების ერთგვარი ზრდის წინასწარ პირობას კოლონიებში. კოლონიების კაპიტალისტური ექსპლოატაცია წარმოადგენს არა უბრალო ძარცვა-გლეჯას, არამედ სწორედ კაპიტალისტურ ექსპლოატაციას, რომელიც შეუძლებელია წარმოების ერთგვარი განვითარების გარეშე. ადგილობრივი კაპიტალი ნაწილობრივ იმპერიალიზმის ნაყოფია, ნაწილობრივ კი მას სწორედ წარმოების განვითარება წარმოშობს, მაგრამ ამასთანავე, იმპერიალიზმი აფერხებს კოლონიების საწარმოო ძალების უფრო მძლავრ განვითარებას. დეკოლონიზაციის შემცდარ თეორიას თავის დროზე პრესაში მრავალი ამხანაგი იცავდა, ისინი ამჟამად აცხადებენ, რომ არასოდეს არ ვიცავდით ამ თვალსაზრისსო. ბენეტი ამტკიცებს, რომ ლაპარაკია არა ინდოეთის დეკოლონიზაციაზე, არამედ მის ინდუსტრიალიზაციაზე, რომელსაც ინგლისის იმპერიალიზმი კონტროლს უწევსო. არსებითად ეს იგივე სიმღერაა დეკოლონიზაციაზე, თუმცა ფარული სახით.

მართალია თუ არა, რომ იმპერიალისტების კოლონიალური პოლიტიკის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი აფერხებს კოლონიების ინდუსტრიალურ განვითარებას ან, როგორც ზოგიერთი ამხანაგი ამტკიცებს, ხელს უწყობს კოლონიების ინდუსტრიალიზაციას? აი მთავარი კითხვა, და თეზისების მიღება ან უარყოფა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ პასუხს გავცემთ ამ კითხვას. ჩვენ გვინდოდა ამხანაგების ყურადღება მიგვექცია უმთავრესად იმპერიალიზმის კოლონიალური პოლიტიკის შინაარსზე, რათა გაგვეფანტა გაუგებრობა ჩვენს რიგებში. მე მივუთითე კაპიტალიზმის განვითარების კანონზე, რომელიც მარქსმა დაამყარა. ამ კანონის მიხედვით, კოლონიების გამოყენების წყალობით, მსოფლიო იყოფა ორ ნაწილად—სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ნაწილებად. ამაზე ბენეტი გვეპასუხებს, რომ ეს მეცხრამეტე საუკუნის განვითარება იყოო. რა თქმა უნდა, ეს კანონი შეიძლება რამდენადმე შეიცვალა კოლონიებიდან კაპიტალის ექსპორტის გამო. მაგრამ კაპიტალის გატანა ხელს არ უწყობს ინდუსტრიალიზაციას, მას მიმართავენ როგორც იმპერიალისტური ექსპანსიის იარაღს ეკონომიურ მბრძანებელი მაღლობების დასაპყრობად ნედლეულის წყაროების ექსპლოატაციისათვის. ამისათვის კი საჭიროა მრეწველობის ერთგვარი განვითარება, რკინის გზების გაყვანა და მაღაროების ექსპლოატაცია, მაგრამ ეს კიდევ არ გვაძლევს უფლებას ვილაპარაკოთ ინდუსტრიალიზაციაზე. ინგლისის იმპერიალიზმს, ცხადია, სურს შეინარჩუნოს ინდოეთი, როგორც ინგლისის მრეწველობის პროდუქციის ბაზარი და როგორც მეტროპოლიის სასოფლო-სამეურნეო დამატება.

თუმცა ლომინაძე ემიჯნება დეკოლონიზაციის თეორიას, მაგრამ მან იგივე შეცდომა დაუშვა. ლენინის ციტატის შემდეგ მას მოჰყავს ინგლისელი ლიბერალის გობსონის ციტატა, რათა დაამტკიცოს, რომ იმპერიალიზმი ხელს უწყობს კოლონიების ინდუსტრიალიზაციას, გობსონისათვისაც ძალაში რჩება მსოფლიოს გაყოფა სამრეწველო და სას.-სამეურნეო ნაწილებად. კომინტერნის მეორე კონგრესის თეზისები კოლონიალური საკითხის შესახებ, თეზისები, რომლებიც მოიწონა ლენინმა და რომლებზედაც მუშაობდა ლომინაძე, სწორედ ააშკარავებენ იმპერიალისტურ კოლონიალურ პოლიტიკას, სახელდობრ, ეს პოლიტიკა, თეზისების მიხედვით, აფერხებს კოლონიების მრეწველობის განვითარებას. მე სრულიადაც არ ვამტკიცებ, რომ ინგლისის იმპერიალიზმი შესძლებს ინდოეთის მრეწველობის განვითარების შეფერხებას. პირიქით, ინგლისის იმპერიალიზმისა და ინდოეთის ბურჟუაზიის კონფლიქტის წყაროს სწორედ იმაში ვხედავ, რომ ინდოეთის ინდუსტრიალური განვითარება წინ წავა. ყველაზე უფრო მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ის, რომ ინდოეთში არ არის არავითარი მძიმე მრეწველობა, ურომლისოდაც შეუძლებელია ინდუსტრიალიზაცია, და რომ ინგლისის იმპერიალიზმის ღონისძიებანი მიზნად ისახავენ ინდოეთის მრეწველობის განვითარების შეფერხებას. ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს დეკოლონიზაციის თეორია იმპერიალისტურ სიცრუედ ვაღიაროთ. მიუთითებ მხოლოდ რინერის წერილზე, რომელიც იცავს ამ სიცრუეს, როგორც საერთოდ ყველა ლაქია სოციალ-დემოკრატი. ჩვენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას სწორედ ამ სიცრუეს მხილება წარმოადგენს. გამოვიდნენ რა თავიანთი შემცდარი თეორიით დეკოლონიზაციის შესახებ, პეპერმა, ბენეტმა, როტშტეინმა და სხვა ინგლისელმა ამხანაგებმა დაუშვეს დიდი მემარჯვენე შეცდომა. ეს იმას მოწმობს, რომ საჭიროა ინგლისის კომპარტიის შემდგომი ბოლშევიზაცია. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი ინგლისელი ამხანაგები აღიარებენ თავიანთ შეცდომას. მე სიამოვნებით დავეთანხმები შეტანილ იქნეს დამატებები თეზისებში, რათა ისინი უფრო გარკვეული გავხადოთ, მაგრამ იმ პირობით, თუ ეს დამატებანი არ გააბრუნებენ საერთო ხაზს. ბენეტი ამბობს: იმპერიალიზმი რომ აფერხებდეს კოლონიების მრეწველობის განვითარებას, მაშინ არავითარი ბაზა არ აღმოჩნდებოდა პროლეტარიატის შესაქმნელად კოლონიებში. ნამდვილად კი ამ დებულებიდან სულ სხვა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, სახელდობრ ის, რომ თუ ნაციონალური ბურჟუაზია ნამდვილად იცავს თავის კლასობრივ ინტერესებს, მაშინ მას შეუძლია ითამაშოს ერთგვარი პროგრესიული როლი, იმ დროს, როცა იმპერიალიზმი რეაქციონურ როლს თამაშობს. იმპერიალისტური უღლის გადაგდებაში დაინტერესებულია არა მარტო ნაციონალური ბურჟუაზია, არამედ მთელი ერიც. ჩვენ უნდა დავამხოთ ნაციონალური ბურჟუაზია არა იმიტომ, რომ იგი დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, არამედ იმიტომ, რომ იგი საკმაოდ რადიკალურად და თანამიმდევრობით არ იბრძვის და კაპიტულიაციას ახდენს იმპერიალისტური პოლიტიკის წინაშე. ბენეტმა და სხვა ამხანაგებმა ეს ვერ გაიგეს. მე არასოდეს არ ვამტკიცებდი, რომ ნაციონალურ ბურჟუაზიას ყოველთვის შეუძლია თანამიმდევრობით დაიცვას თავისი კლასობრივი ინტერესები. პირიქით, იგი ყოველთვის დაუთმობს იმპერიალიზმს და რევოლიუციონური პროლეტარული მოძრაობისა და აგრარული რევოლიუციის წინააღმდეგ წავა. ბენეტისათვის სრულიად ქრება ინტერესთა წინააღმდეგობა იმპერიალიზმს და კოლონიალურ ბურჟუაზიის ნაციონალურ დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებას შორის. იგი მხოლოდ რევოლიუციონურ და კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკს ხედავს. ყოველივე ის, რაც ამ ორ ბანაკს შუაა, მისთვის არ არსებობს.

ნაციონალურ-რეფორმიზმს კიდევ დიდი როლი შეუძლია ითამაშოს ჩინეთშიც, რომელიც რევოლიუციონური განვითარების მხრივ ერთი საფეხურით მაღლა სდგას ინდოეთზე. რევოლიუციის ბანაკიც არ არის ერთნაირი შემადგენლობისა. ამ ბანაკში ისეთი ელემენტებიც მოიპოვებიან, რომელთაც მომავალში შეუძლიათ ფაშისტური როლი ითამაშონ. მით უფრო საჭიროა აშკარად ვხედავდეთ და ვარჩევდეთ იმ ელემენტებს, რომელნიც კონტრ-რევოლიუციის ბანაკს ეკუთვნიან.

თეზისებში სრულიადაც არ არის ნათქვამი, თითქოს ჩვენ სვარაჯისტებს უნდა დავეხმაროთ. სვარაჯისტებმა უღალატეს რევოლიუციას 1922 წელს. მათი რევოლიუციონური მოღვაწეობა მხოლოდ განუწყვეტელი ლაყბობით განისაზღვრება. საქმეზე გადასვლის სურვილი კი მათ არა აქვთ. მაგრამ ამას ერთად ფაქტები ამტკიცებენ, რომ სვარაჯისტები არ წარმოადგენენ ჩვეულებრივს კონტრ-რევოლიუციონურს პარტიას. ისინი არიან მერყევი ბურჟუაზიული ოპორტუნისტები და ნაციონალური ქამელეონები. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ მათ და ეხლავე გავითვალისწინოთ თუ რას გააკეთებენ ისინი მომავალში. მაგრამ ჩვენ ისინი არ უნდა ვაგინოთ და ჩვეულებრივი კონტრ-რევოლიუციონერები არ უნდა ვუწოდოთ მათ; პირიქით, უნდა გამოვიყენოთ მათსა და იმპერიალიზმს შორის არსებული უთანხმოება. ლენინი წინადადებას იძლევა, გავაღრმავოთ ეს წინააღმდეგობანი და ჩვენი სააგიტაციო მეთოდები მათ შეუთანხმოთ, ბენეტი კი სულ წინააღმდეგს ამბობს.

როდესაც უშუალო რევოლიუციონური სიტუაციის პირობებში ეროვნულ ბურჟუაზიას ორი ბანაკიდან ერთის არჩევა უხდება, იგი უეჭველად იმპერიალიზმის ბანაკს არჩევს. თითქმის დაუჯერებელია, რომ ეროვნული ბურჟუაზია თუნდაც დროებით შეუერთდეს რევოლიუციონურ ბანაკს. მაგრამ ჩვენ კატე-

(გაგრძელება იხ. მეორე გვერდზე)

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სოციალ-დემოკრატიული მასები აღშფოთებულია

მოსკოვი, 23 აგვისტო. „იზვესტია“-ს ბერლინელი კორესპონდენტი **კაიტი** იტყობინება:

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მასებში თანდათან მატულობს აღშფოთება ჯავშნოსანის აშენების საკითხის გარშემო. ბერლინის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის ფუნქციონერთა საერთო კრებამ იქონია მსჯელობა ჯავშნოსანის აგების შესახებ და დაადგინა დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნეს რეიხსტაგი, რომელმაც უნდა სთქვას თავისი სიტყვა, საჭიროა თუ არა ჯავშნოსანის აგება. იგივე კრება მოითხოვს, რათა გადადგენ მთავრობის წევრი სოციალისტები.

პოლონეთის პრესა უკმაყოფილოა გოლუვკოს ნოტით

მოსკოვი, 23 აგვისტო. „იზვესტია“-ს ვარშაველი კორესპონდენტი **ბრატინი** შემდეგს იტყობინება პოლონეთის პრესის იმ გამოხმაურების შესახებ, რომელიც გამოიწვია გოლუვკოს მიერ ხელმოწერილ ნოტამ ლიტვისადმი:

პოლონეთის პრესა გმობს გოლუვკოს დიპლომატიურ ნაბიჯს. გაზეთი „კურიერ ილიუსტრიროვანი“ თავს ესხმის გოლუვკოს უხეირო ნოტას და აცხადებს, რომ პოლონეთის მთავრობამ უნდა მოითხოვოს ერთა ლიგის ჩარევა პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტში.

გაზეთი „ნაშ პშეგლოდ“-ი აღნიშნავს, რომ გოლუვკომ ჯერ კიდევ ვერ ისწავლა ნოტის შედგენა.

აღსანიშნავია, სწერს ბრატინი, რომ გოლუვკო არ შედის პოლონეთის იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც მიემგზავრება ჟენევაში ერთა ლიგის მორიგ სესიაზე.

უცხოელი მწერლების გამომგზავრება საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 23 აგვისტო. ლევ ტოლსტოის იუბილეს გამო მოსკოვში ჩამოდის მრავალი უცხოელი მწერალი და კულტურული მოღვაწე. სხვათა შორის საბჭოთა კავშირში ჩამოვლენ შემდეგი გამოჩენილი მსოფლიო მწერლები: ვიქტორ მარგერიტი, რომენ როლლანი, რაბინდრანატ თაგორე, მანნი, კნუტ ჰამსუნი, უელსი და უპტონ სინკლერი;

ამიერ-კავკასია საკავშირო სპარტაკიადაზე

მოსკოვი, 23 აგვისტო. სირბილში შეჯიბრებაში ამიერ-კავკასიამ დაიჭირა მესამე ადგილი. ამიერ-კავკასიის სპორტსმენ ალავერდოვმა ერთ საათსა და ხუთმეტ წუთში გაირბინა 20 კილომეტრი მანძილი.

მოტოციკლეტების სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში ამიერ-კავკასიამ აგრეთვე მესამე ადგილი დაიჭირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორიულად ვერ ვიტყვით, რომ არც ერთ კოლონიაში არ ეცის ეს შესაძლებელი. თეზისებში ნათლად არის ნაჩვენები ის პირობები, რომლების დროსაც ეს შესაძლებელია. შესაძლებელია ეს, მაგალითად, მაშინ, თუ ბურჟუაზიის თვალში მუშათა და გლეხთა დამოუკიდებელი ძლევამოსილი კლასობრივი რევოლიუცია არ წარმოადგენს მისთვის უშუალო საფრთხეს ან თუ ბურჟუაზიას იმედი აქვს, რომ ხალხის ბრძოლას თავისთვის რაიმე შეღავათების მოსაპოვებლად გამოიყენებს ან, დასასრულ, თუ ნაციონალური ბურჟუაზია გრძნობს, რომ მას დახმარებას გაუწევს სხვა იმპერიალისტური სახელმწიფო, რომელიც გაბატონებული იმპერიალისტური სახელმწიფოს მტერია. ამით ჩვენ, რასაკვირველია, სრულიადაც არ გვინდა ვსთქვათ, რომ ნაციონალური ბურჟუაზია უკეთესია, ვიდრე კომპრადორული ბურჟუაზია. პირიქით, ჩვენ ნათლად უნდა ვსთქვათ, რომ ბურჟუაზია, ყოველს შემთხვევაში, ჯალათის ისეთსავე როლს ითამაშებს, როგორიც ჩან-კაი-შიმ ითამაშა. ჩვენ რომ დეკოლონიზაციის თეორიით ვეხელმძღვანელა, მაშინ ნათლად ვერ წარმოვიდგენდით როგორც ბურჟუაზიის, ისე იმპერიალიზმის როლს. ეს ჩვენ დაგვიმტკიცა როტშტეინის სიტყვამ.

თეზისების მოწინააღმდეგეთა მეორე ჯგუფი, რომელშიაც შედიან ლოზოვსკი, მილკერი და ნაწილობრივ ლომინაძე და ნეიმანი, თუმცა საერთოდ გაემიჯნა დეკოლონიზაციის თეორიას, მაგრამ მჟღავნდება პატარა რგოლი, რომელიც მას დეკოლონიზაციის თეორიასთან აკავშირებს. ეს ამხანაგები ფიქრობენ, რომ თეზისებში არ უნდა ვილაპარაკოთ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის ორ პერიოდზე. ფაქტები ეწინააღმდეგებიან მათს შეხედულებას. ინდოეთში ვხედავთ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის პირველ პერიოდს, ჩინეთში კი—მეორე პერიოდს. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციაში გადასახვლელად არსებობს სხვადასხვა ფორმა. ეს იმაზეა დამოკიდებული, გაიმარჯვა თუ დამარცხდა რევოლიუცია განვითარების პირველ პერიოდში. ამ გარდამავალ პერიოდში კომპარტიის ამოცანას შეადგენს რევოლიუციის მაქსიმალური განვითარება და გაფართოვება. ნაციონალური ბურჟუაზიის ხასიათის გაგებაში აბსოლიუტური გარკვეულობა მით უფრო საჭიროა, რომ ნაციონალური ბურჟუაზია საშიშია თავისი გავლენით მასებზე, ჩვენ კი დღემდე ვერ შევძელით ამ მასების დაპყრობა. ჩვენ ვერ გავავრცელებთ რაიმე ილიუზიებს ნაციონალური ბურჟუაზიის რევოლიუციონური როლის შესახებ, ჩვენ, პირიქით, შეუწყვეტლივ უნდა ვაგონებდეთ ყველას, რომ ნაციონალური ბურჟუაზია ყველაზე უფრო საშიში დაბრკოლებაა ჩვენს გზაზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ გზას მცირე მანძილზე ჩვენი და ნაციონალურ-რევოლიუციონური მოძრაობის ბილიკები ერთმანეთს ხვდებიან. ეს გარემოება უნდა გავუთვალისწინოთ ჩვენს ამხანაგებს.

ჩვენ უნდა შეგვეძლოს ნაციონალ-რეფორმიზმის ნამდვილი ხასიათის გამომჟღავნება. ჩვენს მიზანს შეადგენს მასების განთავისუფლება ნაციონალ-რეფორმიზმის გავლენისაგან და მათი დაპყრობა კომპარტიისათვის.

ნეიმანისაგან მოველოდით, რომ თუ კი ის შეეხებოდა კანტონის აჯანყების საკითხს, გამოარკვევდა იმ გაკვეთილსაც, რომელიც შედეგად მოჰყვა აჯანყებაში დაშვებულ შეცდომებს. ამ გაკვეთილს მომავალში გამოვიყენებდით. მაგრამ, სჩანს, ის კანტონის აჯანყებისთვის ოქროს მედალს მოელის. ოქროს მედალი ჩინეთის მუშებს ერგებათ და არა ნეიმანს. ნეიმანმა ისე წარმოგვიდგინა საქმე, თითქოს კანტონის აჯანყებით ბურჟუაზიას არაფერი მოეგოს, ვითომ მოეგოს მარტო პროლეტარიატს. ჩვენ უფრო ფხიზლად უნდა შევაფასოთ ამ აჯანყების გაკვეთილები. ლომინაძემ და ნეიმანმა აქ მოკრძალებით ჰცადეს „ოპორტუნიზმის ჭაობიდან" კომინტერნის ამომყვანთა როლში გამოსვლა. გერმანიის ულტრა-მემარცხენეებსაც მცირედად ასტკივდათ მუცელი, მაგრამ შემდეგ ეს ტკივილი მუცლის გვრემად გადაექცათ. სრულიადაც არ ვფიქრობ ამხ. ლომინაძე და ნეიმანი გერმანელ ულტრა-მემარცხენეებს შევადარო. ლომინაძეს და ნეიმანს საყმაწვილო სენიც არა სჭირთ. მათ ცოტათი აცივებს. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მომავალში ისინი თვითონ განიკურნებიან მედგარი თეორეტიული შრომით და მასებში მუშაობის გზით. არაფერია გასაკვირველი იმაში, რომ სასტიკი დამარცხების შემდეგ ზოგიერთ ჩინელ ამხანაგებს ულტრა-მემარცხენეობის ტენდენციები დასჩემდა. მე გეთანხმებით, რომ თეზისებში მართლაც მოიპოვება დეფექტები ზანგთა საკითხში, მაგრამ შევეცადოთ და გამოვასწოროთ ეს დეფექტები. საჭირო იქნება აგრეთვე შესწორება და შევსება თეზისების იმ ნაწილისა, რომელიც სამხრეთ აფრიკასა და ირლანდიას შეეხება. ამ კონგრესმა ჩვენ დიდი მიღწევები მოგვცა. ჩვენ პირველად ეგრე ახლო მივუდექით ინდოეთსა და ამერიკის პრობლემებს. ჩვენ პირველად მოვახდინეთ ცდა—კოლონიალური საკითხი დაგვესვა მთელის სიგრძე-სიგანით.

შეიძლება კიდევ უფრო გავაფართოვოთ და შევავსოთ ეს თეზისები, რომლებსაც ჩვენ აქ ვიხილავთ. ჩინეთის რევოლიუციამ განუსაზღვრელი პერსპექტივები დაგვიხატა. მან პირველად გვიჩვენა კოლონიალურ რევოლიუციაში პროლეტარიატის დამოუკიდებელი როლის მაგალითი. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ იმაში, რომ რევოლიუციონურ მოძრაობაში პროლეტარულმა ხელმძღვანელობამ შესძლოს, ისტორიული როლის შესაფერისად, სათანადო სიმაღლეზე დგომა. ჩვენს მთავარს ამოცანას შეადგენს პარტიისა და პროფკავშირების შენება, მასების დაპყრობა, მათი განთავისუფლება ნაციონალ-რეფორმიზმის გავლენისაგან, სასტიკი ბრძოლა იმპერიალისტებთან და მათ დამქაშებთან სოციალ-დემოკრატიის ჩათვლით. თუ პროლეტარიატი ხელი-ხელ გადაბმული იმოქმედებს თავის მოკავშირეებთან კოლონიებში—გლეხობასთან, კოლონიალურ მონებთან—მაშინ იგი გამარჯვებული გამოვა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლიდან.

კუუსინენის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონგრესმა მოისმინა ჩინეთის დელეგაციის განცხადება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მიუხედავად პეპერის მტკიცებისა, ჩინეთის პარტიის ხელმძღვანელობა გრძნობს დაშვებულ შეცდომებსა.

კონგრესმა საფუძვლად მიიღო თეზისები კოლონიალური საკითხის შესახებ და ამოირჩია კომისია მათი საბოლოოდ დასამუშავებლად.

უკანასკნელი ცნობები

ჯავშნოსანის აგების გარშემო

ბერლინი, 23 აგვისტო. თანდათან იზრდება სოციალ-დემოკრატიის რიგის წევრების აღშფოთება, რომელიც გამოიწვია სოციალ-დემოკრატ მინისტრებისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადების მოქმედებამ ჯავშნოსანის აგების საკითხში. უკმაყოფილო მუშათა მასების საზოგადოებრივ აზრს მიმართავენ კომუნისტური პრესის საშუალებით. „როტეფანე"-ში გამოქვეყნებულია სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორი პასუხისმგებელი წევრის ცნობა. პირველი ცნობის თანახმად, სოციალ-დემოკრატ მინისტრებმა ჯავშნოსანის აგებას ხმა მისცეს სოც.-დემოკ. პარტიის ცეკასთან თათბირის შემდეგ, თათბირის დროს არავითარ უთანხმოებას არ ჰქონია ადგილი ჯავშნოსანის აგების საკითხში. აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მხოლოდ ტაქტიკურმა საკითხმა: ცეკას უმცირესობას საჭიროდ მიაჩნდა პარტიული მასის „წინასწარი მომზადება"; უმრავლესობა კი ფიქრობდა, რომ საკითხის „სასწრაფო ხასიათს" უკეთესი შედეგები მოჰყვება; ამიტომ თათბირმა გადასწყვიტა, რომ სოციალ-დემოკრატ მინისტრებმა არ უნდა გადასდონ ხმის მიცემა. „კიუნსტლერმა და აუფჰეიზერმა,—ნათქვამია ცნობაში,—რომლებიც ამჟამად ოპოზიციონური განცხადებებით გამოდიან, წინასწარ იცოდენ, თუ რას მისცემდნენ ხმას სოციალ-დემოკრატიული მინისტრები". მეორე ცნობაში ნათქვამია, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის თანამდებობის პირთა ბერლინის კრებაზე წარმოადგინეს 17 რეზოლიუცია. ეს გარემოება ერთხმად მოწმობს, რომ სოციალ-დემოკრატიის ბელადების პოლიტიკა ვერ პოულობს თანაგრძნობას სოციალ-დემოკრატიის ფართო ფენებში. კრებას მეტად მღელვარე ხასიათი ჰქონდა. (ადს).

ლოკაუტი მიუნხენ-გლადბახში

ბერლინი, 22 აგვისტო. მიუნხენ-გლადბახის ერთ-ერთ საფეიქრო საწარმოს მუშების მოთხოვნაზე სამუშაო ხელფასის მომატების შესახებ მიუნხენ-გლადბახის საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა პატრონების კავშირმა ლოკაუტი გამოაცხადა. ლოკაუტი შეეხო 400 მუშას.

მკაცრი სასჯელით იმუქრებიან

რიგა, 23 აგვისტო. ბურჟუაზიული გაზეთების ცნობით, მემარცხენე პროფკავშირების დაშლის საწინააღმდეგო საპროტესტო გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო „5.000 კაცმა". ნამდვილად კი გაფიცვაში 7.000 კაცზე მეტი მონაწილეობდა. რიგაში დაახლოებით გაფიცვის 500 მონაწილე დააპატიმრეს; ამათგან, გაზეთების სიტყვით, გაანთავისუფლეს 800 კაცი; დანარჩენს, შინაგან საქმეთა მინისტრის ლაიმინშის განცხადებით, „არეულობის მოწყობისათვის მკაცრი სასჯელი მოელის". დემოკრატიული ცენტრის ერთ-ერთმა ბელადმა (რომელიც მთავრობის კოალიციაში შედის), დეპუტატმა ბრეიკმა განაცხადა: „მეამბოხეთა წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთ თავს მემარცხენე მუშებს უწოდებენ მივიღებთ რადიკალურ ზომებს, ამ მიზნით სამხედრო-საველე სასამართლოსაც კი გამოვიყენებთ"-ო. დამოუკიდებელ სოციალისტებს შევიწროებულ ჯარისკაცების კავშირთან ერთად გადაწყვეტილი ჰქონდათ მოეწყოთ 26 აგვისტოს სხვადასხვა ქალაქებში საპროტესტო დემონსტრაციები მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრმა ლაიმინშმა ეს დემონსტრაციები აკრძალა. (ადს).

დამოუკიდებელ სოციალისტების დაპატიმრება

რიგა, 23 აგვისტო. ზოგიერთი გაზეთების ცნობით, დღეს დილით 500 მუშა შეეცადა მოეწყო ნავთსადგურში დემონსტრაცია, მაგრამ მუშები გაჰფანტა პოლიციამ. ნავთსადგურში და ზოგიერთ ფაბრიკებში გაფიცვა დილითაც გრძელდებოდა. დღეს დააპატიმრეს დამოუკიდებელ სოციალისტების ცეკას თავმჯდომარე კურშინსკი. გაჩხრიკეს გაზეთ „ვარდას"-ის რედაქცია. როგორც იუწყებიან დააპატიმრეს რედაქციის 7 თანამშრომელი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ლაიმინშმა აკრძალა დამოუკიდებელთა ყოველგვარი კრებები. პრემიერმა იურაშევსკიმ განაცხადა, რომ „თუ ამბები განმეორდა, ლატვიაში გამოცხადდება სამხედრო წესები"-ო. მთავრობამ სასწრაფოდ გამოიწვია სამხედრო მინისტრი კალნინში. (ადს).

გაფრთხილება

ლონდონი, 22 აგვისტო. ინგლისის პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ კავშირებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომელშიაც წინადადება მისცა მათ — „გააფრთხილონ თავიანთი წევრები, რომ ამ უკანასკნელებმა არავითარი ურთიერთობა არ დაიჭირონ ინგლისის უმუშევართა შემაკავშირებელ კომიტეტთან. როგორც პროფკავშირთა წრეებში აღნიშნავენ, ეს „გაფრთხილება" იმით აიხსნება, რომ უმუშევართა შემაკავშირებელი კომიტეტი თავის საქმიანობაში კლასობრივი ბრძოლის პოლიტიკას ატარებს.

მექრთამე მინისტრი

„იაუნაკას ზინიას"-ის მხილება

რიგა, 22 აგვისტო. ლატვიის პრესამ დიდი ყურადღება მიაქცია „იაუნაკას ზინიას"-ის მხილებას. გაზეთმა მოათავსა შვეციის ასანთის სინდიკატის წერილის ფოტოგრაფია, საიდანაც ნათლად სჩანს, რომ სინდიკატი ქრთამს აძლევდა ლატვიის ფინანსთა მინისტრს ლეპინშს. გადაწყდა, დაინიშნოს გამოძიება წერილის სინამდვილისა მექრთამეობის გამოსარკვევად. (ადს).

„სოციალისტი" პატრიოტი

პარიზი, 22 აგვისტო. ჰავასის სააგენტო ბრიუსელიდან იუწყება: ოსტენდეს ინციდენტთან დაკავშირებით, სოციალისტმა დეპუტატმა, ყოფილმა მინისტრმა ჰუისმანსმა დაადასტურა პარლამენტში თავისი პატრიოტული გრძნობები და განაცხადა, რომ ბარბანსონის შესრულების დროს ფეხზე არ წამოდგა იმიტომ, რომ ფიქრებში იყო გართული. (ჰუისმანსი ფეხზე არ წამოდგა ბელგიელთა ეროვნული ჰიმნის შესრულების დროს, როცა კურორტის საკონცერტო დარბაზში ბელგიის მეფის ასული შედიოდა. ჰიმნის ხელმეორედ შესრულების დროს ჰუისმანსი წამოდგა) (ადს).

რკინისგზელთა გაფიცვა

ლონდონი, 22 აგვისტო. როგორც დელიდან (ინდოეთი) იუწყებიან, გაიფიცა სეკუნ-ვერაბადის რკინის გზის სახელოსნოების 3.000 მუშა. მუშები მოითხოვენ სამუშაო ხელფასის გადიდებას და შრომის პირობების გაუმჯობესებას. (ადს).

საჭადრაკო ტურნირი კისინგენში

ბერლინი, 22 აგვისტო. კისინგენის საჭადრაკო ტურნირის მერვე ტურში ბოგოლიუბოვმა პირველი მარცხი მიაყენა ტარაშს, ნიმცოვიჩს მოუგო რუბინშტეინმა, კაპაბლანკამ—ეიტს, შპილმან—ეივეს, მარშალ—რეტის, მიზეს—ტარტაკოვერის პარტიები ფრედ დამთავრდა. მონაწილეთა მდგომარეობა მერვე ტურის შემდეგ: ბოგოლიუბოვი—6 ნახ. ქულა, კაპაბლანკა და ეივე—ხუთ-ხუთი. (ადს).

სპარსეთში

თეირანი, 15 აგვისტო. სპარსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს და ინგლისის საელჩოს შორის ამ ჟამად მოლაპარაკებაა სპარსეთ- ინგლისის საზღვრების გამორკვევის შესახებ (ადს).

თეიმურტაშის მოგზაურობა

თეირანი, 15 აგვისტო. გაზეთმა „შეფაგ"მა პირველ ფურცელზე მოათავსა ცალკე ცნობა იმის შესახებ, რომ სპარსეთის კარის მინისტრი თეიმურტაში განსაკუთრებული პატივისცემით მიიღეს ლონდონში. ცნობაში ეწერა, რომ მეფემ თეიმურტაში მიიღო თავის ჩამოსვლის პირველ დღესვე, მაშინ, როდესაც ჩვეულებრივად ელჩებსაც კი მესამე-მეოთხე დღეს იღებსო.

ალბანეთში

ახმედ-ზოგუ სამეფო გვირგვინს იმზადებს

ვენა, 22 აგვისტო. ტირანიდან (ალბანეთი) იუწყებიან, რომ ალბანეთის დამფუძნებელ კრებაზე, რომელსაც კონსტიტუციის შესაცვლელად იწვევენ, საგარეო საქმეთა მინისტრი გამოაქვეყნებს პრეზიდენტ ახმედ-ზოგუს მოხსენებას მთავრობის ოთხი წლის მოქმედების შესახებ.

დამფუძნებელი კრება ალბანეთს გამოაცხადებს სამეფოდ.

„ნეიე ფრეიე პრესე"-ს ლონდონელი კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ ახმედ-ზოგუ შეეკითხა დიდი სახელმწიფოების მთავრობებს—ხომ არაფერი აქვთ მათ საწინააღმდეგო, რომ იგი მეფედ გამოაცხადონ. დიდი სახელმწიფოები დასთანხმდნენ იმ პირობით, თუ „ალბანეთის სამეფოდ გამოცხადება ხალხის ნება-სურვილის საწინააღმდეგო არ იქნება". (ადს).


მოაწერეთ ხელი სესხს!

სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობ რესპუბლიკანურ კომისიაში

გუშინ ამხ. ლ. ქართველიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობ რესპუბლიკანურ კომისიის პირველი სხდომა, რომელზედაც განხილული იქნა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის საგიტაციო და სარეალიზაციო კამპანიის ჩატარების საკითხი.

კომისიამ დაადგინა დაჩქარებით იქნეს მოწყობილი მაზრებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში რეალიზაციის ხელის შემწყობი ადგილობრივი კომისიები, რომლებმაც უნდა იმუშაონ რესპუბლიკანური კომისიის ხელმძღვანელობით. კომისიებში არჩეული უნდა იქნენ სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეები (თავმჯდომარეებათ), სამაზრო საფინანსო განყოფილების, პარტიული ორგანიზაციის, კომკავშირის და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები. კომისიამ საჭიროდ სცნო გამოყოფილი იქნეს პასუხისმგებელ ამხანაგების განსაზღვრული რიცხვი, რომლებიც მიმაგრებული უნდა იქნან რაიონებზე და სისტემატიურად უნდა გაეცნონ თუ როგორ მიმდინარეობს საგიტაციო მუშაობა ადგილებზე. საგიტაციო კამპანიაში მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული რადიო, სისტემატიურად უნდა ეწყობოდეს მოხსენება-საუბრები მუშებთან და გლეხებთან, სისტემატიურად უნდა იმართებოდეს საგიტაციო ხასიათის საღამო-წარმოდგენები და ინსცენიროვკები და ადგილებს დაჩქარებით უნდა დაეგზავნოს საგიტაციო მასალა (ბროშიურები, პლაკატები და სხვ.) აგიტაციის მიზნით ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული კედლის გაზეთებიც.

კერძო ვაჭრებს შორის აგიტაციის გაფართოების მიზნით თბილისის ბირჟასთან უნდა მოეწყოს სპეციალური კომისია, რომელმაც კერძო ვაჭრებს შორის უნდა ჩაატაროს ხელის მოწერა სესხზე. პროვინციაში ასეთივე კომისიები უნდა მოეწყოს სავაჭრო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოებთან. ჯანმრთელობის და განათლების სახ. კომისარიატებს წინადადება მიეცათ დაავალონ თავის ადგილობრივ ორგანიზაციებს სესხის საგიტაციო და სარეალიზაციო კამპანიაში მიიღონ ფართო მონაწილეობა და ამ მიზნით დაუგზავნონ მათ ინსტრუქციები.

მიმდინარე კამპანიაში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს როგორც სოფლის მოსახლეობას, აგრეთვე კერძო ვაჭრებს და თავისუფალი პროფესიის მუშაკებს.

ადგილებს ევალებათ კამპანიის მსვლელობის შესახებ სისტემატიურად მიაწოდონ ცნობები რესპუბლიკანურ ცენტრალურ კომისიას.

საქართველოს ფინმუშაკთა თათბირი

გუშინ საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატში შესდგა საქართველოს რესპუბლიკის ფინმუშაკთა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა ყველა ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის მოწყობის საქმესთან. თათბირზე შემუშავებული იქნა ღონისძიებები, რომლებიც მიზნათ ისახავენ წინა კამპანიებში შემჩნეულ დეფექტების აღმოფხვრას. თათბირის დადგენილებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რეალიზაციის საქმის სწორათ დაყენებას საბინაო კავშირებსა და არტელებში, ვინაიდან მოსახლეობის ეს ნაწილი წინა კამპანიებში ღებულობდა შედარებით ნაკლებ მონაწილეობას. ადგილების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ თუმცა საქართველოსთვის განსაზღვრული საკონტროლო ციფრი მაღალია, მაგრამ ეს თანხა სრულად იქნება შეკრებილი, თუ ფინანსიურ და საკრედიტო დაწესებულებებთან ერთად კამპანიაში ფართო მონაწილეობას მიიღებენ როგორც ყველა საბჭოთა და საზოგადოებრივი დაწესებულებები, ისე მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა. თათბირზე აღნიშნული იქნა აგრეთვე, რომ მუშაობის მეტი სიმძიმე გადატანილი უნდა იქნეს სოფელში, რომელიც შედარებით ნაკლებად იცნობს ჩვენს საკრედიტო პოლიტიკას და რომელმაც გაცილებით ნაკლები მონაწილეობა მიიღო შინა კამპანიაში, ვიდრე ქალაქის მშრომელმა მასამ.

სესხის ქრონიკა

საქ. ვაჭრობის სახ. კომისარიატში

გუშინ ამიერ-კავკ. ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოში) სამმართველოში შესდგა თანამშრომელთა საერთო კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნა საინფორმაციო მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ.

მოხსენების შემდეგ კრებამ დაადგინა ხელი მოაწეროს სესხზე ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

8.500 მანეთი.

22 აგვისტოს ამიერ-კავკ. საბაჟო სამმართველოში შესდგა თანამშრომელთა საერთო კრება, რომელზედაც ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. ემჩინოვმა.

მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომლის თანახმად თანამშრომლებმა დაადგინეს ხელი მოაწერონ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე არა ნაკლებ ერთი თვის ხელფასისა.

ამიერ-კავკ. საბაჟო სამმართველოს თანამშრომლების ერთი თვის ხელფასი შეადგენს 8.500 მანეთს.

დამატებითი საგიტაციო მასალა

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატმა ადგილებს დაუგზავნა ქართულ ენაზე გადმოთარგმნილი საგიტაციო მასალა-ბროშიურები, პლაკატები და სხ.

რესპუბლიკანური საგეგმო თათბირი

ამხ. ა. კვირიკაძის მოხსენება

პირველ მოხსენებას სასოფლო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის შესახებ აკეთებს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. არტემ კვირიკაძე.

როგორც ამხ. ლ. ქართველიშვილმა აღნიშნა, ამბობს ამხ. კვირიკაძე, ჩვენ ვცდილობთ ჩვენი მუშაობა გადავიტანოთ ფართო მასაში. თქვენ კარგათ იცით, რომ კაბინეტში მუშაობა აუცილებელია, მაგრამ თუ ეს მუშაობა შემოწმებული არ იქნა ფართო მასის მიერ, მას ვერ ექნება ისეთი ფასი და ღირებულება, როგორიც საჭიროა. ამიტომ, საგეგმო კომისია შეეცადა თავისი ნამუშევარი გადაეტანა მასაში. ჩვენ დღევანდელ თათბირზე შეკრებილია ყველა, ვინც დაინტერესებულია ჩვენი სასოფლო მეურნეობის მოწყობით. აქ შეკრებილია ყველა, ვინც ამ გეგმის ირგვლივ მუშაობდა მეცნიერულ ძალებიდან დაწყებული გლეხობამდე და ვფიქრობ, რომ თათბირის დადგენილების მიხედვით ჩვენს მთავრობას შეეძლება გამოიტანოს სწორი და ნამდვილი დასკვნა მომავალი 5 წლისათვის ჩვენი გეგმიანი მუშაობის შესახებ.

ამხ. კვირიკაძე აღნიშნავს, თუ რა სიძნელეებთან არის დაკავშირებული გეგმის შედგენა წინასწარ, როდესაც გეგმის შედგენაში არა გვაქვს არავითარი გამოცდილება, არავითარი მასალა წარსულიდან, ვინაიდან კაპიტალისტურ და მის წინამორბედ ფეოდალურ წყობილებებს გეგმიანი მუშაობა არ აინტერესებდათ. გეგმიანი მუშაობა ახასიათებს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას, ვინაიდან მთელი სახალხო მეურნეობა იმყოფება მუშებისა და გლეხების ხელში და საბჭოთა ხელისუფლება ცდილობს წინასწარ განსაზღვროს მთელი მეურნეობის განვითარების გეზი, მისცეს ამ მეურნეობას საჭირო განხრა, დაისახოს განსაზღვრული საქმიანობა და ხელი შეუწყოს მის განვითარებას.

ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყანა არის სასოფლო მეურნეობის ქვეყანა, ამიტომ შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა ერთხელ და სამუდამოდ უნდა ყოფილიყო გაგებული, დაგეგმული და მუშაობა უნდა წარმოებულიყო სწორად, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ წინანდელი მთავრობა ჩვენს ქვეყანას სთვლიდა სასოფლო მეურნეობის ქვეყანად, ის არავითარ ზომებს არ ღებულობდა, რომ ხელი შეეწყო ამ მეურნეობის განვითარებისათვის. ჩვენ ქვეყანას სასოფლო მეურნეობის ქვეყანად სთვლიდა იმდენად, რამდენათაც მის იმპერიალისტურ პოლიტიკისათვის საჭირო იყო არ განვითარებულიყო ადგილობრივი მრეწველობა. ეს მეფის პოლიტიკას შეეხება. მენშევიკების ხელისუფლების დროს არ ყოფილა არავითარი მზრუნველობა ჩვენს სასოფლო მეურნეობაზე, ვინაიდან, როგორც ვიცით, ეს მთავრობა მუდმივ ომებს აწარმოებდა, როგორც მეზობლებთან, ისე შიგნითაც. ამრიგად არამც თუ დახმარება და ხელმძღვანელობა, პირიქით გამუდმებული ომებით ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის უკან სვლას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მართალია დაიწყო მუშაობა, მაგრამ ამ მუშაობას არ ჰქონია გეგმიანი ხასიათი. დაიწყო სტიქიური მუშაობა, არხების გაყვანა და სხვ. ეს მუშაობა იყო უგეგმო და ამიტომ მუშაობის ეფექტიც არ იყო ისეთი, როგორც საჭირო და მოსალოდნელი იყო. ამ მუშაობის შედეგად ჩვენი მეურნეობა აღდგენილი იქნა ომის წინანდელ დონემდე, ხოლო ამ წერტილის მიღწევის შემდეგ მისი ზრდა შეჩერდა და უკანასკნელი წელიწადი არის სტაბილური. ამ გარემოების მიზეზი უნდა ვეძიოთ თანხების სიმცირეში.

ჩვენი ამოცანაა გამოვიყვანოთ ჩვენი მეურნეობა ამ მდგომარეობიდან და დავაჩქაროთ მისი გეგმიანი განვითარების ტემპი.

ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების ნელ ტემპს ხელს უწყობს აგრეთვე ჩვენი მეცნიერების სისუსტეც. ჩვენი სახელმწიფო ახალ გაზრდაა და მას არ ყავს მეცნიერთა საჭირო კადრი და სამეცნიერო დაწესებულებათა საკმაო რაოდენობა, მით უმეტეს, სოფლის მეურნეობის დარგში. ასეთი მუშაობა წარსულში სულ არ იყო, მაგრამ არც ის დაწყებითი მუშაობაა საკმარისი, რომელიც ამჟამად სწარმოებს.

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს, როგორც მაგ. უკრაინას და სხვ. აქვთ მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების 10-15 წლიანი გენერალური გეგმა და ამ გეგმის მიხედვით ისინი გაცილებით უფრო ადვილად გამოყოფენ 5 წლიან გეგმას. ჩვენ კი გენერალური გეგმა არა გვაქვს და ეს გარემოება საგრძნობლად ამძიმებდა ჩვენს მუშაობას.

თუ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს გეგმის შედგენა სჭირდებათ სასოფლო მეურნეობის 4-5 კულტურაზე, ჩვენ მოგვიხდა 32 გეგმის შედგენა, ვინაიდან ჩვენ ქვეყანაში ვითარდება ათასგვარი სასოფლო მეურნეობის დარგი (მევენახეობა, მესაქონლეობა, მეცხვარეობა, მებაღეობა, მეხილეობა და სხვ.).

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სასოფლო მეურნეობა არის სახალხო მეურნეობის ისეთი დარგი, რომელიც ნაკლებად ემორჩილება სახელმწიფო გეგმიანობას. ერთის მხრივ აქ მოქმედებენ ბუნებრივი ძალები, რომელთა გავლენით მოსალოდნელია გეგმის შეცვლა. მეორე მხრივ ჩვენს სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ დიდი ადგილი უჭირავს წვრილ გლეხურ მეურნეობას, რომელნიც გამსჭვალული არიან კერძო ინტერესით და შეთვისებული აქვთ ინდივიდუალური მეურნეობის განვითარების ისტორიული გეზი.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ხუთწლიანი გეგმა ისახავს მთავარ ხაზს, რომელიც გატარებული უნდა იქნეს მთლიანად, ხოლო გეგმის ცალკე დეტალებათ შეიძლება შეცვლილი იქნეს საჭიროების მიხედვით.

გეგმაში მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს ტეხნიკურ კულტურათა განვითარებას, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა აღიარებულია ტეხნიკური კულტურის ქვეყანად, მაგრამ გეგმაში ჯეროვანი ადგილი უნდა დაეთმოს პურეულის კულტურასაც, ვინაიდან ტეხნიკური კულტურები 15-20 წელში კიდევ ვერ განვითარდებიან იმდენად, რომ შესაძლო გახდეს სრულიად მოვსპოთ პურეულის კულტურა.

მომხსენებელი აღნიშნავს, აგრეთვე, რომ გეგმაში მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს არა გამოსადეგ მიწის ფართობის გადიდებას, არამედ მოსავლიანობას, ვინაიდან მიწის ერთეულის მოსავლიანობა ჩვენში მეტად დაბალია.

ჩვენი წვრილი და ღარიბი მეურნეობის განვითარება შეუძლებელია კოლექტივიზაციის გარეშე, ამიტომ სოფლის მეურნეობა უნდა განვითარდეს მსხვილ მეურნეობის, კოლექტივების სახით. ეს პრინციპი საფუძვლად აქვს დადებული ჩვენს გეგმას და შეადგენს მის უმთავრეს მომენტს.

შემდეგ მომხსენებელი გადადის ცალკე კულტურებზე. მებამბეობის განვითარება გეგმით განზრახულია მეტ წილად აღმოსავლეთ საქართველოში, ვინაიდან ამ კუთხეში უფრო მეტი ხელსაყრელი პირობებია ამ კულტურის განსავითარებლად.

მეთამბაქოეობა ხუთი წლის განმავლობაში ჩაყენებული იქნება რეორგანიზაციის პირობებში, ამიტომ მის ზრდას სწრაფი ტემპი არ ეძლევა და მთავარი ყურადღება მიექცევა ხარისხის გაუმჯობესებას.

გეგმით გათვალისწინებულია ჩაის კულტურის მეტად სწრაფი ტემპით განვითარება.

ვინაიდან ჩვენი მევენახეობისათვის ფილოქსერა წარმოადგენს დიდ საფრთხეს, გეგმით გათვალისწინებულია ღონისძიებები ვენახების აღდგენისათვის ამერიკულ ვაზებზე გადაყვანის საშუალებით. ვენახების სივრცე 5 წლის ფარგალში სტაბილური რჩება, ხოლო მევენახეობის სრული აღდგენა უნდა დამთავრდეს მესამე 5 წლედის ბოლომდე. მესაქონლეობაში უმთავრეს მიზანს შეადგენს საქონლის რიცხვის გადიდებასთან ერთად, პროდუქტული საქონლის ზრდა. მეცხვარეობაში გათვალისწინებულია ცხვრის ღირსების გაუმჯობესება და საძოვრების გაფართოება.

მეღორეობის ზრდა გეგმაში გათვალისწინებულია მხოლოდ შინა - მოხმარების ხაზით.

მიწათმოწყობის საკითხი დამთავრებული უნდა იქნეს 7 წლის განმავლობაში. ამ 5 წლედში ნავარაუდევია უმეტესი სამუშაოების ჩატარება.

გეგმაში საპატიო ადგილი უჭირავს მელიორაციის და აგრო - დახმარების გაფართოების საკითხს.

გამოსადეგი მიწების გაფართოება გათვალისწინებულია შემდეგნაირად: კარმიდამო გაფართოებული უნდა იქნას 8,6 პროც., სახნავ - სათესი მიწები 7,4 პროც., ბოსტანი 112,8 პროც., ვენახი 0,9, ხილის ბაღები 33,9, ციტრუსები 185,7, თხილი 82,7, ჩაი 521,2, სათიბი 1,2, საძოვრები 5,6, საბაღჩეები 8,2 და სხვა.

კულტურათა პროპორციამ უნდა მოგვცეს შემდეგი სურათი: პურეულის ზრდა 16,2 პროც., ტეხნიკური მცენარეულობის ზრდა 124, სხვა ნათესების ზრდა 302, ბაღჩა 285 და ბოსტანი 84,7 პროც.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, ამბობს ამხ. კვირიკაძე, რომ მთელი ჩვენი გულის ყური და მთელი ჩვენი გეგმიანობა იქით უნდა იქნეს მიმართული, რომ ჩვენი მეურნეობა გარდაიქმნას სოციალისტურ მეურნეობად.

ამ ამოცანის შესრულება ძალიან ძნელია და ამ მხრივ უნდა მოხდეს ერთგვარი გარდატეხა ყველა ჩვენი როგორც მეცნიერულ, ისე პრაქტიკულ მომუშავეებში. ყველამ უნდა შეისწავლოს ახალი მიდგომა ამ საკითხისადმი და გაატაროს იგი ცხოვრებაში.

ამ საქმისათვის საჭიროა სათანადო ახალი ძალების მომზადება. მართალია ეს საკითხი ძნელია; მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ დაძლია მრავალი დაბრკოლება და ჩვენ გვჯერა, რომ აქედანაც იგი გამარჯვებული გამოვა.

საბჭოთა კავშირში

პირველი მატარებელი თურქესტან-ციმბირის რკინის გზაზე

კიზილ-ორდა, 23 აგვისტო. თურქესტან-ციმბირის რკინის გზის ჩრდილოეთ უბანზე გაიარა პირველმა სამგზავრო-საქონლის მატარებელმა. გზას ეხლავე დიდი ტვირთი და მრავალი მგზავრი აწყდება (ადს).

სესხის წარმატებით გავრცელება

კიევი, 23 აგვისტო. ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის ობლიგაციებზე ხელისმოწერამ უკვე გადააჭარბა 1 მილიონ მანეთს. (ადს).

ლუგანსკი, 23 აგვისტო. ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის ობლიგაციებზე რკინისგზელთა შორის დიდი წარმატებით მიმდინარეობს.

ლუგანსკის რკინის გზის კვანძის მუშებმა უკვე 110.000 მანეთის ობლიგაციებზე მოაწერეს ხელი. ხელმოწერილი ობლიგაციების საერთო ჯამი ქალაქში 1.300.000 მანეთს აღემატება (ადს).

მოსკოვი, 23 აგვისტო. რ. ს. ფ. ს. რ-ში ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის რეალიზაციის კამპანია დიდის აღფრთოვანებით მიმდინარეობს. მშრომელები ყველგან ყიდულობენ ერთი თვის ხელფასის ობლიგაციებს. იყო ბევრი შემთხვევა, როცა ობლიგაციების შესაძენად გაიღეს თვიური ხელფასის 200 და მეტი პროცენტი.

წინასწარი ცნობებით, მოსკოვსა და ლენინგრადში გასაღდა ათ-ათი მილიონი მანეთის ობლიგაციები, ციმბირში 2 მილიონი მანეთის. (ადს).

მე-4 ტირაჟი დამთავრდა

სტალინგრადი, 23 აგვისტო. დამთავრდა ინდუსტრიალიზაციის 1 სესხის მე-4 ტირაჟი. 5.000 მანეთის მოგება ხვდა 27 ობლიგაციას, 148.103 სერიას; 37 ობლიგაციას, 108,790 სერიას; 36 ობლიგაციას, 116991 სერიას; 33 ობლიგაციას, 99299 სერიას; 26 ობლიგაციას 33288 სერიას; 15 ობლიგაციას, 134271 სერიას; 3 ობლიგაციას, 54995 სერიას; 4 ობლიგაცია, 72657 სერიას; 34 ობლიგაციას, 126072 სერიას; 48 ობლიგაციას, 86900 სერიას. 10000 მანეთის მოგება ხვდა 8 ობლიგაციას, 37454 სერიას; 49 ობლიგაციას, 129098 სერიას; 34 ობლიგაციას, 96338 სერიას; 5 ობლიგაციას, 121261 სერიას; 48 ობლიგაციას, 28239 სერიას. 25.000 მანეთის მოგება ხვდა 8 ობლიგაციას, 111545 სერიას. (ადს).

კოოპერაციის ხელშეკრულებანი პურის დამზადების საქმეში

მოსკოვი, 23 აგვისტო. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა, რომ სახელმწიფო პურის დამამზადებელ ორგანოებს უფლება არა აქვთ დასდონ ხელშეკრულება კოოპერატივებთან და მათ გაერთიანებებთან, თუ საამისოდ ნებას არ დართავენ ზემდგომი კოოპერატიული ორგანიზაციები და თუ ეს კოოპერატივები დატვირთულნი არიან სათანადო მუშაობით თავისი ზემდგომი ორგანიზაციების მიერ. (ადს).

ბამბის ნათესების კონტრაქტაცია

მოსკოვი, 23 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა შრომისა და თავდაცვის საბჭოს წარუდგინა მოხსენება ბამბის ნათესების კონტრაქტაციის შედეგების შესახებ 1928—29 წლის ბამბის დამზადების გეგმის მიხედვით.

ხელშეკრულებით დაბევებულ ბამბის ნათესების საერთო სივრცე შეადგენდა 1.070.000 ჰექტარს, რაც 9,5 პროცენტით აღემატება კონტრაქტაციის გეგმით ნავარაუდევ რაოდენობას. ფაქტიურად კი, წარსულ წელთან შედარებით, ბამბის ნათესის სივრცე 20,5 პროცენტით გაიზარდა.

საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს საჭიროდ მიაჩნია მიმდინარე წელს ნედლ ბამბაზე დასტოვოს წარსული წლის ფასები. მცირედად გადიდებული იქნება მხოლოდ თურქმენისტანის ნედლეულის ფასები, რადგან თურქმენისტანში დეხქანებმა შარშან ვერ აინაზღაურეს თავიანთი საწარმოო და შრომითი ხარჯები. საფეიქრო მრეწველობისათვის საჭირო. ბოჭკოს ფასები ვაჭრობის სახალხო კომისარიატს საჭიროდ მიაჩნია დასტოვოს დაახლოვებით წარსული წლის საშუალო ფასების დონეზე—18 მან. და 80 კაპ., ნაცვლად ბამბის მთავარ სამმართველოს მიერ ნავარაუდევ 20 მან. და 50 კაპ.

ბამბის ფაქტიური ნათესების სივრცის გაზრდა და ბამბის მოსავლის გადიდება საჭიროდ ხდის მებამბეობის რაიონებისათვის პურისა და სამრეწველო საქონლების მიწოდების გაძლიერებას. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა უკვე მიიღო სათანადო ზომები ამისათვის (ადს).

საკავშირო სპარტაკიადა

მოსკოვი, 23 აგვისტო. დამთავრდა საკავშირო სპარტაკიადის მსუბუქი ძლეოსნობის ნაწილი.

20 კილომეტრზე რბენაში ლენინგრადელმა მაქსუნოვმა დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი—1 საათი 12 წუთი და 51 წამი. მეორე ადგილი დაიჭირა ელცკიმ (ჩრდილო კავკასია), მესამე—ალავერდიანმა (ამიერ-კავკასია).

1.000 მეტრზე რბენაში მოსკოველმა დენისოვმა დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი—2 წუთი და 34 წამი.

800 მეტრზე რბენაში ქალებისათვის პირველი ადგილი დაიჭირა გრაფსკაია (მოსკოვი) — 44 წამი, რაც ახალ საკავშირო რეკორდს წარმოადგენს.

1.000 მეტრზე რბენაში ქალებისათვის სპირიდონოვამ დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი—3 წუთი და 13 წამი (ადს).

მოსკოვი, 23 აგვისტო. 22 აგვისტოს შესდგა დამატებითი შეჯიბრება ფეხბურთში უზბეკისტანსა და თურქმენისტანს შორის მეექვსე და მეშვიდე ადგილის გამოსარკვევად ფეხბურთის საკავშირო შეჯიბრებაში.

გაიმარჯვა უზბეკისტანმა (3:1), რომელმაც, ამ რიგად, მეექვსე ადგილი დაიჭირა.

შემსუბუქებული ჩაქუჩის ტყორცნაში ლიახოვმა (თურქმენისტანი) დაიჭირა მეორე ადგილი.

სამმაგ ხტომაში ადგილიდან ტუნაევმა (უზბეკისტანი) დაიჭირა მესამე ადგილი.

სპარტაკიადის ყველა გუნდის შეჯიბრების დროს ბურთის სროლაში ლიახოვმა (თურქმენისტანი) დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი—101 მეტრი და 20 სანტიმეტრი.

ბურთის სროლის შეჯიბრებაში ქალებთან მესამე ადგილი დაიჭირა ხარიტონოვამ (ამიერ-კავკასია).

ბარტის ტყორცნაში სალდატოვმა (ამიერ-კავკასია) დაიჭირა მეორე ადგილი. (ადს).

პარტიული ცხოვრება

უჯრედები და პარტგანათლება

პარტგანათლების ეხლანდელი სისტემა დიდ ყურადღებას მოითხოვს მთელი პარტიის მხრივ. უჯრედებმა განსაკუთრებული ზომები უნდა მიიღონ იმისათვის, რომ სამოსწავლო წლის მოწყობის დარგში განხორციელებულ იქნეს ახალი პრინციპები. დროა უჯრედები უფრო მეტის ყურადღებით და კონკრეტულ საქმიანად მიუდგენ პარტგანათლების მოწყობის საკითხებს, ვინაიდან ამ მუშაობის წარმატება უმთავრესად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქნება დაყენებული ადგილებზე სამოსწავლო წლისათვის მზადების არა მარტო საკითხი (რადგან ეს არის ფორმალური, არაფრის მთქმელი ნიშანი), არამედ საქმე; უჯრედები თავის დროზე უნდა დაეხმარონ საკვალიფიკაციო კომისიებს, რომლებსაც ევალება ჩაატარონ მთელი მუშაობა სკოლებისა და წრეების შედგენისათვის; უჯრედებმა წინასწარ და შემდეგაც უნდა განავითარონ შესაფერი საგიტაციო კამპანია (კედლის გაზეთები, სხვადასხვა თათბირები და კრებები).

შარშანდელი შეცდომები რომ არ იქნას განმეორებული, ამისათვის საჭიროა უჯრედებმა სათანადო ყურადღება მიაქციონ სკოლების შედგენის საკითხს (წარმოებების მიხედვით, რასაკვირველია). უჯრედებმა უნდა იცოდნენ—ვინ სად გაიგზავნა და ამავე დროს სამოსწავლო წლის დასაწყისში სკოლებს უნდა შეუქმნან მეცადინეობისათვის საჭირო პირობები. უმთავრეს პირობებად უნდა ჩაითვალოს: 1) ამხანაგების განტვირთვა პარტმოვალეობისაგან მათი თეორეტიული დონის აწევის მიზნით და 2) საქმის მატერიალურ-ტეხნიკური მხარის მოგვარება (როგორც მაგალითად, სათანადო შენობების წინასწარი დაჭერა, სამოსწავლო ნივთების დამზადება და სხვ.).

პარტიული სწავლება, რომლის მიზანია პოლიტიკური ცოდნის მიცემა პარტიული მასისათვის, აუცილებლად უნდა იყოს დაკავშირებული თანამედროვეობასთან, რათა ამ მასამ შესძლოს კავშირის გამოძებნა დღევანდელი მდგომარეობისა და ჩვენი განვითარების ძირითად ხაზს შორის.

ეს გარემოება უჯრედებს ავალებს ზედმიწევნითი კონტროლი გაუწიონ სკოლების მუშაობას. უჯრედებმა საჭირო შემთხვევაში დახმარება უნდა გაუწიონ ხელმძღვანელს და სკოლას სათანადო მასალით (საუჯრედო მუშაობის ცალკე დარგების მდგომარეობა, მასიური მუშაობის დაყენება წარმოებებში, შრომის ნაყოფიერება, პარტიის ზრდა და სხვ.). პარტიული უჯრედების მუშაობის გეგმებში გათვალისწინებული უნდა იყოს ყოველივე ეს და ამის მიხედვით უნდა იქნას დასახული კონკრეტიული ღონისძიებანი სკოლებისათვის ხელმძღვანელობისა და დახმარების გაწევის დარგში. უნდა ვერიდოთ ნაკრები სკოლების მოწყობას, ვინაიდან ასეთ სკოლებს მეცადინეობის პროცესში მოსწავლეთა მნიშვნელოვანი პროცენტი შორდება, რაიც ხელს უშლის მეცადინეობის ნაყოფიერებას. სკოლები მოწყობილ უნდა იქნას საწარმოო-საუჯრედო პრინციპის მიხედვით; ამასთანავე უნდა შევეცადოთ პარტუჯრედებთან მუდმივი კავშირის დამყარებით განვამტკიცოთ სწავლების საორგანიზაციო მხარე.

პარტგანათლებაში უპარტიოთა ჩაბმის ამოცანა მოითხოვს, რომ უჯრედებმა ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია ჩაატარონ და მიიღონ მთელი რიგი ზომები ამ დარგში, ვინაიდან პოლიტიკურად მომზადებული (ჩვენი წრეების საშუალებით) უპარტიო აქტივი ჩვენს ხელმძღვანელობას (და პირველ რიგში უჯრედებს) გაძლიერებულ მოთხოვნილებებს წამოუყენებს. მოკლედ რომ ვსთქვათ, პარტგანათლებამ საპატიო ადგილი უნდა დაიჭიროს უჯრედთა მუშაობის გეგმაში მთელი სამოსწავლო წლის განმავლობაში.

არმო.

საშეფო საზოგადოება და გლეხი ქალები

(„26 კომუნარის" რაიონი)

„26" კომუნარის რაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებამ ქალაქისა და სოფლის დამხმარე საზოგადოების სარაიონო საბჭოსთან ერთად გამოიკვლია ქალაქისა და სოფლის დამხმარე საზოგადოების მუშაობა გლეხ ქალებს შორის.

ამ საზოგადოების რაიონულ ორგანიზაციაში 485 ქალია, ე. ი. საერთო შემადგენლობის 19,7 პროც., უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა აქტივის მონაწილეობა პრაქტიკულ საშეფო მუშაობაში სუსტია.

რაიონში გამოიკვლიეს 6 უჯრედი—საპონზეთის ტრესტის, მშენებლობა, № 1 ტყავის ქარხნის, ფეხსაცმელების ფაბრიკის, ქალაქის სასაკლაოსი და ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის უჯრედები.

უჯრედების მთავარ მუშაობას წარმოადგენდა სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური კამპანიების ჩატარება, ლექციებისა და კინოების მოწყობა, საგლეხო სესხის რეალიზაცია, თესვის კამპანია, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტების და სოფლის სამკითხველოების მოწყობა, გლეხებისა და ადგილობრივ ხელისუფლებისათვის დახმარების გაწევა სკოლების აგებაში და სხ.

შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა გლეხთა კოოპერაციაში შეკავშირებას, კოლმეურნეობათა მშენებლობისა და აგრო-პროპაგანდის საკითხებს.

ამ საერთო მუშაობაში გლეხი ქალები მეტად სუსტ მონაწილეობას ღებულობდნენ. მუშაობა გლეხ ქალებს შორის ქალთა საერთაშორისო დღისათვის კრებების მოწყობით ამოიწურებოდა.

საზოგადოების ამ 5 უჯრედს სოფლად მოუწყვია წერა-კითხვის უცოდინარობის 5 სალიკვიდაციო პუნქტი, სადაც 140 მსმენელი სწავლობდა, მაგრამ მათში არც ერთი გლეხი ქალი არ ერია.

ქალთა ორგანიზატორების თათბირმა, რომელზედაც გაკეთებულ იქნა მოხსენება გამოკვლევის შედეგების შესახებ, შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები ქალაქისა და სოფლის შეკავშირების საზოგადოების მუშაობის გასაძლიერებლად გლეხ ქალებს შორის. თათბირმა აუცილებლად სცნო ყველაზე უფრო აქტიურ პარტიულ ქალების, ძველი დელეგატებისა და მუშაკების გამოყენება საშეფო მუშაობისათვის გლეხ ქალებს შორის. საჭიროდ იქნა აგრეთვე ცნობილი ქალთა აქტივის თათბირების სისტემატიური მოწვევა გლეხ ქალთა შორის საშეფო მუშაობის მორიგი საკითხების დასამუშავებლად.

თათბირის აზრით ქალაქისა და სოფლის დამხმარე საზოგადოების უჯრედებმა და სარაიონო საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ გლეხი ქალების კოოპერატიულად შეკავშირებას და მათ ჩაბმას კოლმეურნეობათა მშენებლობაში, გარდა ამისა მათ უნდა მიიღონ ზომები, რათა შემოდგომისათვის მოაწყონ ქალებისათვის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები, ქალთა კუთხეები და სამკითხველოები და ჭრა-კერვის სკოლები, განსაკუთრებით კულტურულად ჩამორჩენილ რაიონებში (ყარაია, წალკა), ჯანმრთელობის დაცვის, კონსულტაციის, საბავშო მოედნების და საზაფხულო ბაღების მოწყობის საკითხებში და აგრეთვე საშეფო უჯრედებს მიერ გლეხ-ქალების აქტივს, საზოგადო მუშაკების და ძველი და ახალი მოწვევის დელეგატ ქალთა გამოყენების მნიშვნელობა.

ცეკას პლენუმის შედეგების დამუშავება

მოიწონეს პლენუმის დადგენილებები

პარასკევს 17 აგვისტოს შესდგა სახ. ოპერის, სამხატვრო აკადემიის, რუსთაველის თეატრის, ამიერ-კავკასიის კოოპერ., სახ. კონსერვატორიის და ამიერ-კავკ. საბაჟო კომიტეტის უჯრედთა გაერთიანებული კრება.

კრებამ მოისმინა ამხ. ზუკრიევის მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ივლისის პლენუმის შედეგებზე.

დამსწრეთ მომხსენებელს მრავალი შეკითხვა მისცეს. შეკითხვები უმთავრესად პურის დამზადებას ეხებოდა. მომხსენებელმა შეკითხვებზე დაწვრილებითი პასუხი გასცა, რის შემდეგაც კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც პლენუმის ყველა დადგენილება მოიწონა.

კრება უსიცოცხლოდ ჩატარდა

ყველამ იცის, რომ მუშაობის დამთავრებისთანავე მოწვეული კრება დიდ შედეგებს ვერ იძლევა. მიუხედავად ამისა 17 აგვისტოს ავეჯეულობის ფაბრიკის უჯრედში მუშაობის დამთავრებისთანავე შესდგა ღია კრება, რომელმაც მოისმინა ამხ. არაბ-ოღლის მოხსენება ცეკას პლენუმის შედეგების შესახებ.

კრება მეტად პასიურად იყო განწყობილი. დაღლილ მუშებს კამათისათვის არა სცხელოდათ და სიტყვას არ თხოულობდნენ.

მიღებულ რეზოლიუციაში კრებამ მოიწონა ცეკას დადგენილებები.

ამ მაგალითზე ავეჯეულობის ფაბრიკის უჯრედმა უნდა შეიგნოს, რომ მუშაობის დამთავრებისას კრების მოწვევა არ არის დასაშვები.

რ—ლი.

მილიციის უჯრედში

საბჭოთა და სავაჭროთა მუშების კავშირის საზაფხულო კლუბში შესდგა ქ. თბ. ადმინგანის პარტ-კოლექტივის საერთო ღია კრება, სადაც მოსმენილი იქნა ამხ. ბედიას მოხსენება ს. კ. პ. (ბ) ცეკას ივლისის პლენუმის დადგენილების შესახებ.

მოხსენებამ დამსწრეთ შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. შეტანილ იქნა მთელი რიგი შეკითხვა, რომელზედაც ამხ. ბედიამ ამომწურავი პასუხი გასცა.

დასასრულ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც ის მთლიანად უერთდება პლენუმის დადგენილებებს.

მიუხურა.

ინდუსტრიალიზაციის სესხის გავრცელებისათვის

ტრამვაის უჯრედებში

ტრამვაის უჯრედების აქტივის კრებამ მოისმინა ამხ. ს. პარატაევის მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის შესახებ.

მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვა შემდეგ საკითხის ირგვლივ თავიანთი აზრი გამოსთქვეს ამხ. თედეშვილმა, პოპოვმა და დონდუაშვილმა.

კრებამ დაადგინა: ტრამვაის სახელოსნოებსა და საამქროებში დაარსებულ იქნეს სესხის რეალიზაციისათვის ხელის შემწყობი კომისიები და წარმოებულ იქნეს ფართო აგიტაცია უპარტიო მუშებში.

ზ—ლო.

მთავარ სახელოსნოს ლით. ჩამომსხმელ საამქროში

შესდგა მთავარ სახელოსნოს ლითონის ჩამომსხმელ საამქროს უჯრედის აქტივის კრება, რომელმაც მოისმინა ამხ. გლუნჩაძის საინფორმაციო მოხსენება— ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მნიშვნელობის შესახებ.

კრებამ მიზანშეწონილად სცნო, რომ პარტამხანაგებმა ერთი თვის ხელფასით შეიძინონ სესხის ობლიგაციები, ხოლო უპარტიოებში გაწეულ იქნეს აგიტაცია-პროპაგანდა. ამ მიზნით გამოყოფილ იქნა სესხის რეალიზაციისათვის ხელის შემწყობი კომისია ამხ. გლუნჩაძის, გორსკის, მასხულიას და სხვ. შემადგენლობით.

ზ—ი.

„26"-ის სახელობის ქარხანა

ა. წ. 17 აგვისტოს შესდგა ლითონტრესტის 26 კომუნარის სახელობის უჯრედის კრება. კრებამ მოისმინა ამხ. ბურეშის ინფორმაციული მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის კამპანიის ჩატარების შესახებ, კრებამ დაავალა ყველა პარტიულ ამხანაგებს შეიძინონ სესხის ობლიგაციები და აირჩია სესხის გავრცელების კამპანიისათვის ხელის შემწყობი კომისია 5 კაცის შემადგენლობით.

ი—ხ.

„ლიუქსემბურგის" ფაბრიკა

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ამხ. როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის პარტაქტივის კრებამ მოისმინა ამხ. არეშინას და უნგიაძის ცნობა მეორე სესხის კამპანიის შესახებ. აქტივის კრებამ ერთხმად დაადგინა კომუნისტ-მუშებმა შეიძინონ ობლიგაცია ერთი თვის ხელფასის რაოდენობით და გაწეულ იქნეს აგიტაცია უპარტიო მუშებში, რომ მათაც შეიძინონ და ფართოდ გაავრცელონ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციები.

ქარხნელი.

სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის შესახებ

საქ. კომ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელმა პლენუმმა, შახტის საქმესთან დაკავშირებით დიდი ყურადღება მიაქცია ახალ სპეციალისტთა კადრების აღზრდას. ამ მიმართულებით პლენუმმა დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა შორისაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ჩვენი ორგანიზაციების მუშაობა.

დაუდევრობისა და გულგრილობის აუარებელი ფაქტები, რომელთაც ადგილი აქვთ ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში, მოითხოვენ ამ საკითხის დაჩქარებით მოგვარებას, მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ ჩვენ ყველაფერი რიგზე არა გვაქვს. თბილისის კომიტეტთან შემდგარ თათბირზე სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის შესახებ მუშაობის ამ დარგში გამოირკვა მრავალი დეფექტი.

ფრიად დამახასიათებელია რამოდენიმე მაგალითი პრაქტიკანტთა მუშაობიდან:—ხშირად პრაქტიკანტები მიდიან რომელიმე წარმოებაში სამუშაოდ თავისი სპეციალობის მიხედვით, ადმინისტრაცია და სპეცები გულგრილად ხვდებიან მათ და ეუბნებიან: „იყავით წარმოებაში, კუთვნილი ჯამაგირი მიიღეთ და ხელს ნუ შეგვიშლით"-ო. ამის შედეგი კი ის არის, რომ პრაქტიკის ნაცვლად სტუდენტებს ტკბილად სძინავთ ორთქლმავლის სახურავებსა და ბაღებში"—განაცხადა თათბირზე ერთ-ერთმა პრაქტიკანტმა სტუდენტმა.

მეორე მაგალითი, როდესაც პრაქტიკანტი გამოცხადდა წარმოებაში ადმინისტრატორთან და სთხოვა სამუშაოდ გაეწესებინა, ადმინისტრაციამ მას უპასუხა: ჯერ არაფერი გვაქვს სათქვენო, ცოტა ხანს ბოთლები რეცხეთ და შემდეგ ვნახოთო. შემდეგ კი ის ვნახეთ, რომ პრაქტიკისათვის განსაზღვრული დრო უკვე მიიწურა და პრაქტიკანტი ისევ ბოთლებს რეცხავდა.

ამგვარ მოპყრობას წარმოებათა ადმინისტრატორების მხრივ, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

ხშირად ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებაში ძვირფას დროს პრაქტიკანტები ჰკარგავენ და ვერ იყენებენ ცოდნის სათანადო გაღრმავებისათვის. სჩივიან სამეურნეო მუშაკებიც: გვიგზავნიან ისეთ სტუდენტებს, რომ არავითარ შემთხვევაში არ ხერხდება მათი გამოყენება წარმოების სპეციფიური პირობების გამო. ეს მოვლენები დიდათ აფერხებს სტუდენტთა პრაქტიკის საქმეს.

არ არიან კარგ განწყობილებაში პრაქტიკანტებთან ცალკე საამქროს ოსტატები. „ნუ გვიშლით მუშაობას, წადით, დაისვენეთ ხშირად მიმართავენ ისინი პრაქტიკანტებს. ასეთ პირობებში სტუდენტები იძულებულ ხდებიან მუშაობის დაწყების მხოლოდ რეგისტრაციაში გაიარონ და შემდეგ სახლში დასაძინებლად წავიდნენ.

რასაკვირველია, ეს არ შეიძლება ითქვას ყველა წარმოებასა და ყველა პრაქტიკანტების შესახებ. ეს ერთეული მოვლენებია, რომლებიც ძალზედ უარყოფითად მოქმედებენ პრაქტიკანტების სულიერ განწყობილებასა და ცოდნის გაღრმავებაზე.

რა არის საჭირო მომავალში, რომ ამ მხრივ სათანადო შედეგებს მივაღწიოთ? უპირველესად საჭიროა წარმოება-დაწესებულება წინასწარ ითვალისწინებდეს, თუ რომელ დარგში რამდენი პრაქტიკანტია საჭირო და რამდენის გამოყენება შეუძლიან მას. თვით სტუდენტთა ორგანიზაციის ვალდებულებას შეადგენს მეტი ყურადღება მიაქციოს სტუდენტ-პრაქტიკანტების წესიერ განაწილებას სპეციალობის მიხედვით.

დიდ აუცილებლობას წარმოადგენს აგრეთვე კონტროლის დაწესება, მეთვალყურეობა პრაქტიკანტების წარმოება-დაწესებულებების მიერ გამოყენებისადმი. მთელ ამ მუშაობაში პარტიულმა უჯრედმა უდიდესი მონაწილეობა უნდა მიიღონ. მათ სამეურნეო საკითხების განხილვის დროს ყურადღება უნდა მიაქციონ პრაქტიკანტების მდგომარეობას.

ნ. ფურცელაძე.

ყურადღება კედლის გაზეთებს და მუშკორებს

კედლის გაზეთები ისევე ემსახურება საბჭოთა აღმშენებლობას, როგორც ბეჭდვითი ორგანოები. კედლის გაზეთებში შუქდება ის ნაკლოვანებები და მახინჯი მხარეები, რომლებიდანაც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ჩვენი წარმოება-დაწესებულებები. მაგრამ, იმისათვის, რომ კედლის გაზეთებმა და მუშკორებმა პირნათლად შეასრულონ თავისი მოვალეობა, საჭიროა მათ მუშაობას სათანადო ხელმძღვანელობა გაეწიოს.

მართალია, ცენტრალური გაზეთების რედაქციები სისტემატიურად ხელმძღვანელობენ კედლის გაზეთის საქმიანობას და მუშ.-გლეხკორთა მოძრაობას, მაგრამ ადგილობრივი პროფ. და პარტორგანიზაციების დაუხმარებლად ეს მუშაობა სათანადო ნაყოფს ვერ მოგვცემს.

სამწუხაროდ, ზოგიერთი უჯრედები სწორედ ვერ უდგებიან ამ საკითხებს. ხშირად პარტუჯრედების ხელმძღვანელები ფიქრობენ, რომ მათ, როგორც პასუხისმგებელ მუშაკებს უფრო უნდა ენდოს რედაქცია, ვიდრე რომელიმე მუშკორს და ამ საბუთით მოითხოვენ მუშგლეხკორთა წერილები წინასწარ მათთან იქნეს შეთანხმებული.

ზოგიერთი პარტკომი უფრო შორს მიდის და მოითხოვს აცნობონ ყველა იმ მუშკორებისა და გლეხკორების გვარები, რომლებიც მის რაიონში არიან.

საკითხისადმი ასეთი მიდგომა სრულიად დაუშვებელია. მუშკორთა ორგანიზაცია თავისუფალი ორგანიზაციაა, გაზეთებში წერა შეუძლია ყველას, მისი ნაკლის გამოსწორებით. თავისი წერილებისათვის მუშკორი პასუხისმგებელია მხოლოდ და მხოლოდ რედაქციის წინაშე (ცენტრალური გაზეთის იქნება ის, თუ კედლის გაზეთის სულ ერთია), რაც შეეხება ნდობას, მართალია პარტიული ორგანიზაციების ავტორიტეტზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ აქ ავტორიტეტში არ არის საქმე; მუშკორის მოვალეობა, პასუხისმგებლობა და ფუნქციები სულ სხვა არის. მუშკორს ყავს თავისი ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც ყალბი ცნობების მიწოდებისათვის მას პასუხს მოსთხოვს, ასე რომ უჯრედის მოთხოვნილება შენიშვნების წინასწარ შეთანხმების ან მუშკორთა სიის მიცემის შესახებ უსაფუძვლოა და მისი დაკმაყოფილება შეუძლებელია.

უჯრედთა ბიუროების მოვალეობას შეადგენს თვალყური ადევნოს მუშკორების მიერ წერილ შენიშვნების შესრულებას, თუ ისინი სიმართლეს შეეფერება, დაიცვან მუშკორები დევნისაგან, გაუწიონ პარტიული ხელმძღვანელობა კედლის გაზეთს და ხელი შეუწყონ მათ სისტემატიურ გამოსვლას.

ამას მოითხოვს კედლის გაზეთები და მუშკორთა ორგანიზაცია პარტიული უჯრედებისაგან.

ნ. მქერვალი.

მუშაობა გაუმჯობესდა

(აბაშის ორგანიზაცია)

აბაშის ორგანიზაციის მუშაობა უკანასკნელ ოთხი თვის განმავლობაში საგრძნობლად გამოცოცხლდა. თემკომის სხდომებზე სისტემატიურად ისმება საკითხები სხვადასხვა ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თემის კომიტეტი სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობს კომკავშირის საქმიანობას, რის გამოც ამ ორგანიზაციის მუშაობა მოისუსტებს. მომავლისათვის თემკომმა უნდა მიიღოს ზომები ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

აგრეთვე საჭიროა მეტი ხელმძღვანელობა გაეწიოს თემალმასკომს, რომლის მუშაობა განსაკუთრებით გზათა მშენებლობის დარგში ვერ არის დამაკმაყოფილებელი.

დიკენი.

კომკავშირში

კახეთის სამაზრკომის პლენუმი

თელავის და სიღნაღის მაზრების გაერთიანების გამო, 9 აგვისტოს გურჯაანში შესდგა ა. ლ. კ. კ. თელავის და სიღნაღის სამკომების გაერთიანებული პლენუმი. პლენუმი გახსნა საქართველოს კომკავშირის ცეკას წარმომადგენელმა ამხ. ხომასურიძემ.

პლენუმმა აირჩია კახეთის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმი 9 წევრისა და 3 კანდიდატის შემადგენლობით.

პრაქტიკულ მომუშავეებად ერთხმად არჩეულ იქნენ კახეთის სამკომის მდივნად ამხ. წიფურია, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ—ბაგალიშვილი, ეკონომიურ განყოფილების გამგედ—ჩარექიშვილი. ბავშვთა კომორგანიზაციის საბიუროს თავმჯდომარედ სერებრაკოვი.

მ. ზურიაშვილი.

—:—

ნოქარ-შეგირდთა შორის მუშაობის ამოცანები

გადაჭრით უნდა ვსთქვათ, რომ კომკავშირის მუშაობა ნოქარ-შეგირდებს შორის სუსტია. ამას ადასტურებენ მთელი რიგი ფაქტები, რომლებსაც ჩვენ ქვემოთ შევეხებით.

მშრომელ ახალგაზრდობის ეს კადრი ერთი შეხედვით კომკავშირის ყურადღების გარეშე რჩება. ჩვენმა ეკონომ-მომუშავეებმა ზოგჯერ ისიც კი არ იციან თუ რამდენი ნოქარი და შეგირდი ჰყავთ რაიონში, რადგან დღემდე ვერ შევძელით ამ ახალგაზრდობის აღრიცხვის მოწესრიგება. იციან თუ არა ჩვენმა ეკონომ-მომუშავეებმა, რომ ის ნოქარ-შეგირდები, რომლებიც ამა თუ იმ შინამრეწველთან ან არტელში არიან სრულ უფლებიანი წევრის მარკით, სინამდვილეში უდიდეს ექსპლოატაციას განიცდიან? —გულახდილად უნდა ვსთქვათ, რომ უმრავლეს შემთხვევაში არა. სამაზრკომების და რაიკომების მოხსენებებში შეგირდების შესახებ ან სულ არ არის ლაპარაკი, ან ასეთი საერთო ფრაზებია: „საანგარიშო პერიოდში გაღრმავდა ნოქარ-შეგირდთა შორის მუშაობა, „მივამაგრეთ კომკავშირელები", და სხვ. მაგრამ როგორ „გაღრმავდა" მუშაობა, რა პრაქტიკული შედეგები მოჰყვა ამ მიმაგრებამ ამაზე კონკრეტულად არაფერია ნათქვამი.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ნოქარ-შეგირდთა რაოდენობა სუსტათ არის ჩაბმული ჩვენს რიგებში. 1928 წელს პირველ აპრილისათვის კომკავშირში 1.506 ხელოსანი და შეგირდი ირიცხებოდა. ეს ახალგაზრდობა ჩაბმულია შინა-მრეწველურ წარმოებაში. ორგანიზაციის საერთო შემადგენლობაში ისინი 2,1 პროცენტს შეადგენენ—ციფრი უნდა ითქვას, მეტად დამაფიქრებელია.

ახალგაზრდობის ეს ნაწილი ყველაზე უფრო საჭიროებს თავისი ეკონომიური ინტერესების დაცვას. თუ სახელმწიფო წარმოებაში ჩაბმულ მოზარდთა ინტერესებს პროფესიონალური კავშირები იცავს, სადაც უშუალოდ ჩვენი წარმომადგენლებიც შედიან. ნოქარ-შეგირდები უმეტეს შემთხვევაში ასეთ ჰფარველობას მოკლებული არიან. აქედან ცხადია, რომ შინა-მრეწველურ არტელებში ჩაბმულ მუშათა ახალგაზრდობის ეკონომიური ინტერესების დაცვა უმთავრესად კომკავშირის ორგანიზაციას ეკისრება. კომკავშირმა შრომის დაცვის ორგანოებთან ერთად, თვალყური უნდა ადევნოს განსაკუთრებით ნოქარ-შეგირდთა შრომის პირობების გაუმჯობესებას. უკანასკნელ ხანებში უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით დღითი-დღე იზრდება შინამრეწველთა არტელების რაოდენობა, რა ხდება ამ არტელებში, რა მუშაობას აწარმოებს იქ კომკავშირი, ამაზე ჩვენ მთლიანი წარმოდგენა არა გვაქვს.

თბილისის მესამე რაიონში ასეთი არტელების რიცხვი დიდია. აქ ადგილი აქვს ხშირად შეგირდების ექსპლოატაციას. მოზარდებს ამუშავებენ ზედმეტ საათებს და ზოგჯერ აძლევენ მძიმე დავალებებს, რომელთაც მოზარდის ჯანმრთელობისათვის ზიანის მოტანა შეუძლია. ადგილი აქვს აგრეთვე შრომის ხელფასის არა წესიერათ გაცემას. ამ გარემოებას კომკავშირის კომიტეტები და შრომის ინსპექტორები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ათასში ერთხელ თუ ესტუმრებიან ამა თუ იმ არტელს, ზერელეთ დაათვალიერებენ და უკან გამობრუნდებიან.

არც ერთი უბრალო შემთხვევა რომელიც დაკავშირებულია შრომის კანონების დარღვევასთან, კომკავშირმა უყურადღებოთ არ უნდა დასტოვოს. ამისათვის კი საჭიროა ნოქარ შეგირდთა ყოფა-ცხოვრების არა შემთხვევითი, არამედ სისტემატიური გამოკვლევა და შესწავლა.

ვ. დევაძე.

საბჭოთა საქართველო

წერილები

საქონლის საგანაკვეთო დაზღვევა
(წერილი სამეგრელოდან)

საქონლის საგანაკვეთო დაზღვევა ზუგდიდისა და ახალ-სენაკის მაზრებში სავალდებულოდ შემოღებულ იქნა მიმდინარე—28 წლიდან, საქონლის აღრიცხვა კი—ჩატარდა 1927—28 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის დროს. რეესტრი და მსხვილფეხა საქონლის დასაზღვევი ანარიცხები, მიმდინარე წლის ორივე მაზრაში უდრის 153.016 მანეთს, აქ თანხიდან უღარიბესი გლეხობის საშეღავათო ფონდში გამოყოფილია დარიცხული თანხის 20 პროც.—30.603 მან., რომელი თანხაც მთლიანად განაწილებულია უღარიბესთა შორის, სულ ასაკრეფი თანხა ორივე მაზრაში უდრიდა 122413 მანეთს, აქედან პირველ აგვისტომდე ზუგდიდის მაზრაში აიკრიფა მთელი განაკვეთის 55 პროც., სენაკის მაზრაში კი—40 პროც. ასეთი მცირედი თანხის აკრეფა აიხსნება მოუსავლიანობით.

ამავე საანგარიშო წელში სახდაზღვევის მიერ დახოცილ და დაზარალებულ საქონლის ასანაზღაურებლად გაცემულია ზუგდიდის მაზრაში 290,000 მანეთი, წლის ბოლომდე ეს თანხა გაიზრდება 50.000 მან., სენაკის მაზრაში—150,000 მან., წლის ბოლომდე ეს თანხა გაიზრდება 30.000 მან. ორივე მაზრაში მოსახლეობას დაურიგდება ჯილდო 520.000 მანეთი. ამრიგად დახოცილ საქონლის ასანაზღაურებლად გლეხობას დაურიგდება ხუთჯერ მეტი თანხა ამ შემოსავალზე, რომელიც უნდა აიკრიფოს ორივე მაზრაში.

დაზღვევის გადასახადის აკრეფა ცუდად მიმდინარეობს, მოსახლეობა ვერაა გარკვეული სახდაზღვევის მნიშვნელობა-ამოცანებში, რის გამოც დასაზღვევი ობიექტების აღრიცხვის დროს ადგილი ჰქონდა საქონლის გადამალვას, უმთავრესად სოფლის ბობოლა და კულაკური ელემენტების მიერ. აგრეთვე იყო ცდები ყალბი საბუთებით ჯილდოს მიღებისა საქონელზე, რომელიც ხორცად მოიხმარეს, ან კი აღდგენილ როგორც დაცემულზე. ორივე მაზრაში ასეთი ცდები იყო აღნიშნული 50-მდე და ყველა ფიქტიური აქტების შემდგენი მიცემული არიან პასუხისგებაში.

მომავალში, ყოველგვარი შეცდომებისა და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ადგილებზე უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს დასაზღვევი ობიექტების სწორად აღრიცხვას და გლეხობის მიერ ახლად შეძენილ საქონლის დამატებითი აღრიცხვას. ფართოთ უნდა განემარტოს გლეხობას, რომ აღწერის დროს საქონლის გადამალვა მეურნეობისათვის საზიანოა, ვინაიდან აღურიცხავი საქონელი არ იზღვევა და დაზარალების შემთხვევაში არ იქნება ანაზღაურებული. მიმდინარე წლის ობიექტების აღრიცხვის დროს დაშვებული შეცდომა პირველ ოქტომბრამდე უნდა გამოსწორდეს, ამისათვის საჭიროა თვითეულმა მეურნემ ასარიცხ საქონლის გამორჩენის ან ახლად შეძენის შემთხვევებში მიმართოს სახდაზღვევის ადგილობრივ აგენტს ან თემალმასკომს, რომელიც ვალდებულია მაშინვე მოახდინოს დამატებითი აღრიცხვა, ან გამორიცხვა.

მიუხედავად მრავალი დაბრკოლებებისა და გაუგებრობისა, რაც თან სდევდა სახდაზღვევის მუშაობას ადგილებზე, სამეგრელოს მოსახლეობა კმაყოფილია სახდაზღვევის მუშაობით და ნდობის თვალით უყურებს მას. ამას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ მიუხედავად მიმდინარე წელში სამეგრელოში საქონლის მასიურ დაცემისა, ამ წლის აღწერამ საქონლის რიცხვობრივი რაოდენობით გადააჭარბა გასულ წელში მომხდარ საქონლის აღრიცხვას.

მ. ბ.

არ გვყავს აგრონომი
კასპი, გორის მაზრა

გორის მაზრაში სოფ. კასპი კულტურულად მაღლა სდგას. გლეხობის დაწინაურებისათვის აქ სათანადო პირობებია: გვაქვს სკოლა, კლუბი, სამკითხველო, რადიო-მიმღები და სხვ. სადაც გლეხობა დიდის ყურადღებით და ხალისით იძენს თვითგანვითარებას.

ეს სოფელი მდიდარია აგრეთვე თვალის წარმტაც ბაღ-ვენახებით, სადაც საუკეთესო ხეხილებია გაშენებული.

მხოლოდ კასპის ერთ უმთავრეს ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრონომის უყოლობა, რომელიც მოგვცემს დარიგებას ბაღ-ვენახების კულტურულად დამუშავებისათვის, ხშირად ხეხილებს უჩნდება ისეთი ავადმყოფობანი, რომლის წინააღმდეგ გლეხი შესაფერის ზომებს ვერ იღებს. აი მაგალითად წელს ვაშლის ხეებს ერთიანად მოედო ჭია, რამაც არამც თუ ნაყოფი, ხეებიც გაანადგურა. ეს კი დიდ გავლენას ახდენს გლეხის ეკონომიურ მდგომარეობაზე.

აუცილებლად საჭიროა გორის მაზრის აღმასკომმა კასპის თემში გამოგზავნოს აგრონომი.

შ. შეველაშვილი.

სკოლების გაერთიანება არაა მიზანშეწონილი
სოფ. ქედისუბანი, რაჭა

სოფელი ქედისუბანი როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულადაც ძალზე ჩამორჩენილია. მცირე და ისიც პრიმიტ. წესით დამუშავებული მიწები არ იძლევა კარგ მოსავალს, მიუხედავად დიდი შრომისა, გლეხობას საშუალოდ მოსდის სამ-ოთხი თვის სარჩო-საბადებელი. დანარჩენ მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ სხვადასხვა ქალაქებისა და სოფლებში გაქირავებულ შრომის ხელფასით.

ამ სოფლის ერთად-ერთ კულტურულ დაწესებულებას შეადგენს პირველსაფეხურიანი შრომის სკოლა ორი მასწავლებლით, სადაც სწავლობს გლეხობის მოზარდი თაობა. 25 წელია რაც აქ პირველად დაარსდა სასწავლებელი.

ქედისუბნის სკოლაზე ეცილება მეზობელი სოფელი ჯვარისა, რომელიც ქედისუბანმა სტუმართმოყვარეობით მიიღო თავის სკოლაში ყოველგვარ ხარჯების გაუღებლად.

თავისი ადგილმდებარეობით ქედისუბნის სკოლა ხელმიუწვდომელი შეიქნა ჯვარისას ბავშვებისათვის. სოფელ ჯვარისის გლეხობის შუამდგომლობით მაზრის აღმასკომმა გახსნა ამ სოფელში პირველ საფეხურიანი სკოლა. ასე რომ ამჟამად ორივე სოფელში არის თითო შრომის სკოლა. რამდენიმე წლის განმავლობაში მშვიდად მიდიოდა ამ სკოლების ცხოვრება და გლეხობაც კმაყოფილი იყო თავიანთი სკოლის მდგომარეობით, მაგრამ ბოლოს აქაც გამოჩნდა რამდენიმე მოუსვენარი პირი, რომელნიც ჩაერიენ სკოლების მშვიდ ცხოვრებაში და მოინდომეს ორივე სკოლის გაერთიანება ერთ, ვითომდა საშუალო ადგილზე. საშუალო ადგილად არჩეულია შ. წერეთელის ეზო, რომელიც ორივე სოფლისათვის გამოუსადეგარი და მიუსვლელი ადგილია მეწყერის, ცუდი გზების და სიშორის გამო.

სოფ. ქედისუბანში ყოველწლივ სწავლობს 45—50 ბავშვი, რომლებიც ძლივს ეტევიან საკუთარ ახალ სკოლაში. სკოლების გაერთიანების შემდეგ სიშორის და ცუდი გზების გამო, სწავლის მსურველთა რიცხვი უსათუოდ განახევრდება. გარდა ამისა სკოლის შენობების გადატანა-გადაკეთების ხარჯები მძიმე ტვირთად დააწვება ღარიბ გლეხობას.

აქედან შემდეგი დასკვნა უნდა გავაკეთოთ: ორივე სკოლა უნდა დარჩეს თავის ალაგზე, ხოლო გადაიდგას შესაფერი ნაბიჯი თემის ცენტრში სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსებისათვის.

ა. განიძე.

საშეფო ბიურო კარგად მუშაობს
(წერილი ხონიდან)

ხონის განათლების კავშირთან არსებული საშეფო ბიურო, რომელსაც შეფობაზე ჰყავს აყვანილი კუხის თემი ფრანგებით დასახლებული ახალშენით გუბის წყლის პირზე თავის საშეფო თემში სათანადო მუშაობას აწარმოებს. უპირველეს ყოვლისა ბიურომ ყოველმხრივ გამოიკვლია საშეფო თემი, რის მიხედვითაც შეადგინა სამუშაო გეგმა. გეგმის თანახმად საშეფო ბიუროს მიერ შესრულებულია შემდეგი: გაუმჯობესებულ იქნა კედლის გაზეთის და გლეხკორთა წრის მუშაობა, სადაც ასეთი არ იყო, დაარსებულ იქნა სამკითხველოს გამოუწერეს „გლეხის ბიბლიოთეკა", თითო 119 წიგნით. აგრეთვე თემის ხუთივე სამკითხველოსათვის გამოწერილია ჟურნალ-გაზეთები და საგლეხო ლიტერატურა.

ახალშენში გახსნა სამკითხველო და ის უზრუნველჰყო როგორც ლიტერატურით, ისე ინვენტარით. აგრეთვე ხუთივე სამკითხველოში ტარდება ყოველ ორ კვირაში საუბრები გლეხობისათვის საინტერესო საკითხებზე, მაგ. კოლმეურნეობის, კოოპერაციის, მიწის საკითხის, სასამართლოს და სხვ. სპეციალურად ახალშენის სამკითხველოში მოწყობილია ორკვირიანი კურსების სახის წრე, კოლმეურნეობების და სხვა საკითხების შესასწავლად. სამისო ლიტერატურა გამოყოფილია და პროგრამაც პარტორგანიზაციასთან შეთანხმებით შედგენილი.

მოეწყო ექსკურსია თემის გლეხ-დელეგატების ქ. ხონის სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებების გასაცნობად, მიღებულია ზომები საშეფო თემში რადიოს და საექიმო პუნქტის მოსაწყობათ.

სამწუხაროდ სხვა კავშირებთან არსებული საშეფო ბიუროები არა თუ ჰგავს, არამედ არავითარ მუშაობას არ აწარმოებს ამ მხრივ. მათ ჯერ სამუშაო გეგმაც არა აქვთ შედგენილი. საშეფო საზოგადოება კი ჩამოყალიბდა 1927 წ. 1 ნოემბრიდან. ამასთანავე არავითარი ხელმძღვანელობა არ არის რაიონული ბიუროს მიერ და ის მხოლოდ ქაღალდზე არსებობს.

საჭიროა გამოცოცხლდეს სხვა კავშირებთან არსებული საშეფო ბიუროების მუშაობაც.

ი. შრომისშვილი.

მექრთამე—ტყის მცველად
(წერილი სურამიდან)

სურამის თემის ტყის მცველი ვასო მურმანიშვილი ძალზე მოხერხებულად სარგებლობს თავისი თანამდებობით. ის ძველთაგანვე დაჩვეულია აზნაურულ ცხოვრებას და აბა რას ეყოფა ტყის მცველის ჯამაგირი, თუ ცოტა ქრთამის აღებას არ მიჰყო ხელი. მაგრამ უმჯობესია მოკლედ მოვჰყვეთ საკითხს და პირდაპირ ფაქტების დასახელებაზე გადავიდეთ.

სოფ. ზეკოტაში, ჩუმათელეთში და იტრიაში მცხოვრებ გლეხებმა, რომელთაც მურმანიშვილის წყალობით ხშირად უხდებათ ტყიდან ნორჩი წკნელისა და მარგილის გამოტანა უბაჟოდ, სრულიად უბაჟოდ და უკანონოდ მიართვეს წარსულ წლებში მურმანიშვილს რვა საჟენი შეშა. ეს ხომ ქრთამი არ არის—ამბობენ გლეხები: სერგო, მიხა, დიმიტრი და სანდრო გელაშვილები და კიდევ ბევრი სხვა.

სოფ. ბულაურაში მცხოვრებ გლეხმა—კოტე კიკნაძემ მშვენივრად შენახულ პატარა საბარაკო ტყეში მოსჭრა ოთხი ძირი მუხა. მეზობელ გლეხებში ამან აღელვება გამოიწვია და ამის შესახებ აცნობს ვასოს, ვასომაც დაიბარა „პასუხისგებაში" მისაცემად ტყის განადგურებელი, მაგრამ კიკნაძემ შვიდი მანეთის მიცემით პასუხისმგებლობას გადარჩა და საქმე ამით გათავდა.

იგივე ბულაურელმა გლეხმა—პავლე ნოზაძემ გამოიტანა ტყიდან წკნელი, რის უფლებაც მას არ ჰქონია. ტყის მცველმა მიაგნო კვალს და სამი მანეთი გადაუხადა ჯიბეში.

ვასო ოქმებით არ აწუხებს გლეხებს და არც სასამართლოს დატვირთავს საქმეებით.

სოფ. კაკალათხევის გლეხს—შიო ლაბაძეს მოჰქონდა სოფ. ბროლოსხიდან ნაყიდი ყავარი, ვასო წამოეწია ლაბაძეს და საქმე გათავდა ორი ფუთი ხორბლის „ჩაიმასკებით".

სოფ. ლაშხეველ გლეხს—ზაქარია ხაჩიძეს უკანონოდ გამოტანილი დასახერხი ხეებისათვის ვასომ შეუდგინა ოქმი, მაგრამ შემდეგ მეტი ძალა იქონია ხუთ მანეთმა და „კუკლასავით" მალარიამ.

ბევრი ასეთი საქმეები აქვს ჩადენილი ვასოს, მაგრამ გლეხებს ვერაფერი უთქვამთ შიშის გამო.

ამის მიზეზი კი გახლავთ შემდეგი გარემოება: 1924 წელში ვასოს დაუჭერია ჯირკით სავსე ურემი იტრიელ გლეხ ილია ქურდაძისათვის და საქმის ჩასაფარცხავად სახლში ვახშმის გამართვა დაუვალებია გლეხისათვის. ქურდაძე უარს როგორ გაუბედავდა ბატონ ვასოს, გაიმართა ვახშამი, ქიქებს ყანწები მოჰყვა, გაიმართა ვახშამი, ნაზნაურალმა ვასომ მოიგონა მამა-პაპური ჩვეულება და დიასახლისს მიუჩოჩდა.

დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ვასომ ქალიდან მიიღო ლანძღვა-გინება და ამ ნიადაგზე მან თოფი ესროლა ქალს, მაგრამ ტყვია ასცდა. ამ შემთხვევის გამო ვასო დააპატიმრეს, მაგრამ მეგობრების წყალობით მალე გამოვიდა მშრალზე.

ჩვენ გვეგონა ციხიდან თავს ვერ გამოყოფდა—ამბობენ გლეხები და თანაც იმეორებდენ: ვაი თუ ვასოს კიდევ გამოუჩნდეა ქომაგი და ძველებურად ჩაიფარცხოს მისი ბოროტება,—სამსახურიდან არ მოხსნან და შემდეგ სულ ტყავს გაგვაძრობსო.

ვფიქრობთ, რომ სათანადო ორგანოები ყურადღებას მიაქცევენ ვასო მურმანიშვილის „საგმირო" მოქმედებას.

ქარტის მთიელი.

აგვიკლეს ხულიგნებმა
გეზათ-გულუხეთი, სენაკის მაზრა

ჩვენი თემის ახალგაზრდობა, ნაცვლად იმისა, რომ რამე საზოგადოებრივ საქმიანობას მიყონ ხელი, მეტ დროს ლოთობაში და ჩხუბ-აყალმაყალში ატარებენ. ზაფხულის განმავლობაში თემში თითქმის ყოველ კვირას იმართება საღამო-წარმოდგენები, მაგრამ ვაი ასეთ წარმოდგენების გამართვას. დილით საღამო-წარმოდგენის გათავების შემდეგ, შეხვდებით თავგატეხილ, ტანისამოს ჩამოგლეჯილ ახალგაზრდებს.

თემის მოსახლეობას ჯერ არ ახსოვს ისეთი უქმე დღე, რომ ჩხუბი, ლანძღვა-გინება და ქალებისათვის შეურაცყოფა არ მიეყენებინოთ ამ ხულიგნებს.

გლეხობა მეტად შეწუხებულია ხულიგნების მოქმედებით, მაგრამ თემ-აღმასკომი ჯერ ყურს არ იბერტყავს მათ წინააღმდეგ. მხოლოდ ერთხელ შეუდგინეს ოქმი, მაგრამ ისიც უშედეგოდ დარჩა.

საერთოდ ხულიგნურ-ქურდულ გამოსვლებს და მოქალაქეების ტყვილ-უბრალოდ შეურაცყოფას ხელმძღვანელობენ ს. გეზათის მცხოვრებნი ძმები ჯორბენაძეები. მათ ბლომად ჰყავთ „აფსონები" როგორც ს. გეზათიდან, ისე გულუხეთიდანაც.

საჭიროა აბაშის რაი-მილიციის უფროსმა მაინც მიიღოს სათანადო ზომები ხულიგნების ასალაგმავად.

გლეხი.

მუშათა ცხოვრება

მუშკორი—პროკურატურის დამხმარეა

მუშგლეხკორთა კორესპონდენციები უკანასკნელ ხანებში, როგორც რიცხვობრივად, ისე ხარისხობრივად იზრდება. ეს გარემოება ადასტურებს, რომ რევოლიუციონური კანონიერების დაცვისათვის ბრძოლაში მუშგლეხკორები თანდათან მეტ მონაწილეობას ღებულობენ.

მუშათა და გლეხთა კორესპონდენტები დიდად ეხმარებიან პროკურატურის მუშაობას, მუშგლეხკორთა შენიშვნების საფუძველზე აღძრულ სისხ. სამ. და დისციპლინარულ საქმეთა რაოდენობის ზრდა თვალსაჩინოა ყველასათვის, ვინც ამით ოდნავ მაინც არის დაინტერესებული. თვალსაჩინოა აგრეთვე შედეგებიც. ამის დასანახად არ არის საჭირო ბევრი სტატისტიკური ცნობების მოყვანა, ეს მოვლენა იმდენად ცნობილია, რომ შეიძლება სავსებით დავკმაყოფილდეთ მარტო იმ ფაქტებით, რომელთაც ჩვენი ბეჭდვითი ორგანოები გვაწვდის.

თბილისის მაზრა-ქალაქის პროკურატურის აღძრულ სისხ. სამ. და დისციპლინარულ საქმეთა 15 პროცენტს მუშგლეხკორთა შენიშვნების და ცნობების საფუძველზე აღძრული საქმები შეადგენენ. ამ საქმეების დიდი უმრავლესობა რევოლიუციონური კანონიერების დარღვევის მძიმე და სერიოზულ შემთხვევებს ააშკარავებს.

პროკურატურის და მუშგლეხკორთა საქმიანობის კავშირი გარდა იმისა, რომ პრაქტიკულად მრავალ დადებით შედეგს იძლევა,—ჩვენი სისხ. სამ. პოლიტიკის წარმოებისათვისაც მეტად ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის. სახელდობრ, დღითი-დღე მტკიცდება და ყველას იპყრობს ის შიში, ის აზრი, რომ არ არსებობს კუნჭულიც კი, სადაც ბოროტმოქმედების დაფარვა შეიძლებოდეს და სადაც მუშგლეხკორთა გამჭრიახ თვალს რაიმე გამოეპაროს.

პროკურატურის და მუშგლეხკორთა თანამშრომლობის ეხლანდელი პრაქტიკა მეტად სასარგებლო და მისაღებია. მომავალი კი მთლიანად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მჭიდრო ორგანიზაციულ კავშირს დაიჭერენ ერთმანეთთან მუშა და გლეხ-კორესპონდენტთა ორგანიზაცია და პროლეტარულ იუსტიციის წარმომადგენლები.

შ. ლორთქიფანიძე.

საწარმოო თათბირები და მუშკორთა ამოცანები

საწარმოო თათბირი დიდს დახმარებას უწევს წარმოებას. წარმოების ხელმძღვანელი, რაც უნდა გამჭრიახი და ენერგიის პატრონი იყოს, ვერ შესძლებს ყურადღება მიაქციოს ყველა იმ დეფექტებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს ჩვენ წარმოება-დაწესებულებებში. საწარმოო თათბირი კი ამხანაგურად [illegible] ადმინისტრაციას ამა თუ იმ ნაკლის გამოსწორების აუცილებლობაზე.

სწორედ [illegible] მუშკორის მოვალეობას შეადგენს თვალყური ადევნოს საწარმოო თათბირების დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას. უკეთუ რომელიმე დადგენილებას არ ატარებს ცხოვრებაში ქარხნის ადმინისტრაცია და ამით კი წარმოებას ზარალი მოსდის, მუშკორმა უნდა აიმაღლოს თავისი კალამი და მოურიდებლად ამხილოს ადმინისტრაციის ასეთი [illegible].

ამრიგად საწარმოო თათბირები და მუშკორები [illegible] ერთსა და იმავე მიზანს, მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ საწარმოო თათბირის წევრები პირდაპირ, სიტყვიერად მიუთითებენ [illegible] ამა თუ იმ დეფექტების გამოსწორებაზე, მუშკორი კი ყურს ადევნებს ამ [illegible] განხორციელებას. რომ ეს ამოცანა შესრულოს მუშკორმა ამისათვის საჭიროა მჭიდრო კავშირი დაიჭიროს თათბირთან და იცნობდეს მის ყველა დადგენილებებს.

ნ. მ.

პროფმუშაკს ეს არ შეშვენის
(სადგ. ავჭალა)

სადგ. ავჭალის ადგილკომის თავმჯდომარე გოშაძეს ძლიერ უყვარს ღვინო. ეს კაცი, თუ დაითვრა, გრძნობას სულ დაჰკარგავს და ისეთ რამეს ჩაიდენს, რაც მის თანამდებობას ოდნავადაც არ შეშვენის.

ა. წ. 7 აგვისტოს „ნაღვინევმა" გოშაძემ ყვირილი დაუწყო ავჭალის ერთ-ერთ მოქალაქეს (რასაკვირველია „რომანიულ ნიადაგზე") და სახუმრადაც იწვევდა. როცა მოქალაქემ წესრიგისაკენ მოუწოდა მთვრალ გოშაძეს, უკანასკნელი მას დაემუქრა—12 საათიდან სადგურზე არ განახო, თორემ რევოლვერს გესვრიო.

რას გავს ეს? რა აღმზრდელობითი მუშაობა უნდა აწარმოოს ასეთმა „პროფმუშაკმა" კავშირის წევრებში?

თბ. საუბნო კომიტეტმა უნდა მოაჭკვიანოს ეს ახირებული „პროფმუშაკი".

მგზავრი.

საჭიროა მანტიორი
(მთ. სახელოსნოს უფროსის საყურადღებოდ)

დადგენილების თანახმად, სამჭედლო საამქროში მანტიორების შტატი სამი კაცით იყო შემოკლებული. ეს ასეც მოხდა. ეხლა ისმის კითხვა: როგორ უნდა დანაწილებულიყო შრომა მანტიორებს შორის? რა თქმა უნდა ყველა იფიქრებს, რომ მუშაობა მათ შორის თანაბრად უნდა გაენაწილებინათ.

სამწუხაროდ ადმინისტრაციის წარმომადგენელმა თ. სუხიშვილმა ეს არ შეასრულა მან მანტიორებად თავისი მეგობრები გამოყო. მუშაობა კი მათ შორის მეტად არანორმალურად განაწილა. ასე მაგალითად: სარესორო განყოფილებაში, სადაც 42 ხელოსანი მუშაობს, მანტიორი არ არის, ისეთ განყოფილებას კი, სადაც 10—12 ხელოსანია—მანტიორი ჰყავს. სუხიშვილმა, როგორც ადმინისტრატორმა ყველაფერი ისე მოაწესრიგა, როგორც თვითონ სურდა, წარმოების საჭიროებისათვის კი ყურადღება არ მიუქცევია.

სარესორო განყოფილებას სჭირდება თავისი მანტიორი. ამ აზრის არიან ხელოსნებიც, რომლებმაც ადმინისტრაციას კოლექტიური განცხადება მისცეს ამ საკითხზე. ამჟამად მთელ საამქროში საქმეს ერთი მანტიორი ასრულებს, თანაშემწეები კი მას მხოლოდ დამრიგებლები ჰყავს. თუ სარესორო განყოფილებისათვის საკუთარი მანტიორის გამოყოფა არ შეიძლება, მაშინ სჯობს ამ სამ მანტიორთაგან ერთ-ერთს სარესორო განყოფილებაში მუშაობაც დაევალოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება სარესორო განყოფილებას აღარ დასჭირდეს საკუთარი მანტიორი. თუ ეს ასე არ მოხდა, ხელოსნებში უკმაყოფილება და წარმოება უკან დაიწევს.

ჯარეიშვილი.

დავამთავროთ დაწყებული საქმე.
დერჩის თემი, ლეჩხუმი.

სოფელ დერჩის შვიდწლიან შრომის სკოლის შენობა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ამის თავიდან ასაცილებლად სოფელმა დაიწყო შვიდწლედზე ახალი შენობის მიმატება ამ ორი წლის წინად. გასულ წელს დიდი ვაივაგლახით, როგორც იქნა შენობა დახურეს, მაგრამ მის დამთავრებას დღემდისაც არა ეშველა. განზრახული იყო აგრეთვე ოთხწლედის შენობის შვიდწლედთან გადმოტანა, რაც უნდა მომხდარიყო ამ ზაფხულზე, ზაფხული გადის, სამოსწავლო წელი კარზე მოგვადგა, ხოლო შენობის გადმოტანის საქმე ისევ ერთ წერტილზეა გაყინული.

საჭიროა თემ-აღმასკომმა და განათლების განყოფილებამ დროზე მოაგვაროს სასკოლო შენობის საკითხი, თორემ სწავლის საქმე მომავალი წლისათვის დიდად შეფერხდება.

ხაბაშული.

უგეგმო მუშაობა
(თბილისის აღმასკომი)

ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების შემცირება და ამასთან დაკავშირებით შტატის შეკვეცა, ცხადია წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით უნდა ხდებოდეს. გამონაკლისს შეადგენს თბილისის აღმასკომის უქსი, სადაც შემცირებები შემთხვევით ხასიათს ატარებს. საკმარისია რომელიმე თანამშრომელმა გაანთავისუფლოს ადგილი, რომ ის შტატი მეორე დღესვე გაუქმდეს.

მაგალითად: 1 ივნისიდან განთავისუფლდა უქსის ქარვასლების კომენდანტის ადგილი, სათანადო ორგანომ წამოაყენა კანდიდატურა აღნიშნულ თანამდებობაზე დასაწინაურებლად. მაგრამ ადმინისტრაციამ გადაჭრით უარი განაცხადა განთავისუფლებულ შტატის დატოვებაზე, და კიდევაც გააუქმა იგი.

გავიდა ორი თვე და რაღაც მოსაზრებით შემცირებულ თანამდებობაზე, ისევ დანიშნეს კაცი.

ამის შესახებ თავის დროზე დაიწერა ადგილობრივ კედლის გაზეთში, მაგრამ შენიშვნა უყურადღებოდ დარჩა.

საჭიროა ისეთ უგეგმო მუშაობას, რომელსაც ზიანის მეტი არაფერი მოაქვს, დროზე მოეღოს ბოლო.

ტვიმბრა.

ბაღში არ გვიშვებს
(აღმასკომის საყურადღებოდ)

ავლაბარში არის პატარა ბაღი, რომელიც ერთად-ერთი დასასვენებელი ადგილია ამ რაიონისათვის. საუბედუროდ ამ ბაღის ალაყაფის კარებთან არის სავაჭრო კიოსკი, რომლითაც ვინმე ინვალიდი სარგებლობს. ამ კაცს ბაღი თავის საკუთრებად გადაუქცევია. როცა მოეხასიათება გააღებს და როცა მოეხასიათება დაკეტავს. თუ ამინდი მისთვის უსარგებლოა, ან თუ ცოტა ღვინო აქვს „გადაკრული" (რაც არც ისე იშვიათი მოვლენაა მის ცხოვრებაში), ბაღს საღამოს 7 ან 8 საათზე დაჰკეტავს ხოლმე.

ასეთი უმსგავსო საქციელებით ეს კაცი ერთი მხრივ მცხოვრებთ უსპობს ბაღით სარგებლობის საშუალებას და მეორეს მხრივ კი ქალთა კომისიის კიოსკს, რომელიც ბაღში ვაჭრობს გასაქანს არ აძლევს. ბაღში დადგმულია 11 ცალი სკამი, რომელთაგან იმავე „მებუდკეს" 2 ცალი თავისი სავაჭროსათვის აქვს მისაკუთრებული.

საჭიროა სათანადო ორგანოებმა მიაქციონ ყურადღება ხსენებულ ბაღს.

რაჭველი ვანო.

მუშკორთა წერილებიდან

შესცვალეთ საათები. ბაჟიჩეთის მუშა-მოსამსახურენი დიდი ხანია კბილის ექიმის უყოლობით გაჭირვებას განიცდიდნენ. წელს როგორც იქნა კბილის ექიმი გვეღირსა, მაგრამ ჩვენთვის ის უსარგებლო გამოდგა: ექიმი ავადმყოფებს ისეთ საათებში იღებს, როდესაც მუშა-მოსამსახურენი სამუშაოზე არიან (დილის 8 საათიდან 2 საათამდე).

საჭიროა საღამოობით ერთი საათით მაინც აწარმოებდეს ავადმყოფების მიღება, რომ ყველა მუშა-მოსამსახურემ სამუშაოზე მოუცდენლად შესძლოს კბილის ექიმობა.

ფანელი.

დ. ხარაგოული. (შორ. მაზრა). უკანასკნელ ხანებში დ. ხარაგოულში ძალზე გახშირდა ქურდობა. ისე დღე არ გავა, რომ ვინმე არ გაქურდონ. 5 აგვისტოს ქურდი შეიპარა ფოსტის უფროსის ოთახში და სურდა სახაზინო ფულის გატაცება, მაგრამ დროზე გაუგეს და მიზანს ვერ მიაღწია. მილიცია ქურდობას წინააღმდეგ ბრძოლაში ძლიერ სისუსტეს იჩენს.

ციცხლი.

გერმანიის წითელ ფრონტელთა დელეგაცია თბილისში

მთავარი სახელოსნოების დათვალიერება

გუშინ გერმანიის წითელ ფრონტელთა დელეგაციამ მთელი შემადგენლობით და ადგილობრივ პროფმუშაკების თანხლებით დაათვალიერა ამხ. სტალინის სახელობის მთავარი სახელოსნოები. დელეგატებმა დაწვრილებით დაათვალიერეს ყველა ცეხები. გზა და გზა მათ საუბარი ჰქონდათ მუშებთან მათი მდგომარეობისა, ხელფასის და სამუშაოს პირობების შესახებ. ყველა კითხვებზე დელეგატებმა ამომწურავი პასუხი მიიღეს მათ გარშემო შეკრებილ მუშებისაგან.

პროფსაბჭოს საზეიმო სხდომა

გუშინ, დღის 2 საათზე, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში გერმანიის წითელ ფრონტელთა დელეგაციის პატივსაცემად შესდგა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის საზეიმო სხდომა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტებისა და კავშირების ცენტრალურ გამგეობათა წევრების თანდასწრებით.

საზეიმო სხდომა გახსნა პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ბ. მაჩაიძემ, რომელიც მიესალმა დელეგატებს საქ. პროფკავშირების სახელით. ორატორმა დელეგაციას გააცნო საქართველოს პროფესიონალურ მოძრაობის წარმოშობის და განვითარების ისტორია. იგი დაწვრილებით შეჩერდა პროფკავშირების სტრუქტურაზე მენშევიკების დროს და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ და აღნიშნა პროფკავშირთა წევრების თანდათანობითი ზრდა. მენშევიკების დროს კავშირში ირიცხებოდა 70.000 წევრი, ეხლა კი პროფკავშირთა ორგანიზაციები საქ. მასშტაბით აერთიანებს 167.000 წევრს.

დასასრულ ამხ. მაჩაიძემ გამოსთქვა რწმენა, რომ დელეგაცია დაწვრილებით შეისწავლის საქართველოს სინამდვილეს და გააცნობს მას გერმანიის მშრომელ მასებს.

ამის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის საოლქო პროფსაბჭოს წარმომადგენელი აცნობს კრებას დელეგაციის წევრებს ცალკ-ცალკე.

დელეგატებმა ამხ. მაჩაიძეს მისცეს შეკითხვები: როგორია კავშირების შემადგენლობა, როგორია პროფკავშირის აქტივის პარტიული შემადგენლობა; უმუშევრობა და მისი გამომწვევი მიზეზები; რამდენ წარმოებაში არის შემოღებული 7 საათის სამუშაო დღე; მრეწველობის რომელ დარგს აქვს კარგი პერსპექტივები საქართველოში; როგორ ტარდება წარმოების რაციონალიზაცია და სხვა.

ამხ. მაჩაიძემ დელეგატებს გააცნო პროფკავშირთა წევრების მატერიალური მდგომარეობა და აღნიშნა ხელფასის თანდათანობითი ზრდა, რომელიც შედეგია შრომის ნაყოფიერების გადიდების. შემდეგ მან დაახასიათა მუშათა სოციალურ დაზღვევის და შრომის დაცვის მდგომარეობა საქართველოში.

ამჟამად უმუშევართა რიცხვი საქართველოს მასშტაბით უდრის 29.000 კაცს, თბილისში კი 18.000 კაცს. უმუშევრობის მიზეზები მდგომარეობს იმაში, რომ სოფლებიდან ქალაქში მოდიან გლეხები, რომელთაც არა აქვთ სათანადო საწარმოო კვალიფიკაცია. კვალიფიცირებული მუშა ხელი მცირე რაოდენობით არის აღრიცხული შრომის ბირჟაზე. შემდეგ ამხ. მაჩაიძე დელეგატებს აცნობს იმ ღონისძიებებს, რომელსაც სათანადო ორგანოები ღებულობენ უმუშევრობის შესამცირებლად.

პირველ ოქტომბრიდან შვიდი საათის სამუშაო დღე შემოღებული იქნება რვა წარმოებაში. მომხსენებელმა აგრეთვე დელეგაციას გააცნო პროფკავშირთა კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა კავშირის წევრთა შორის.

ამხ. მაჩაიძის სიტყვის შემდეგ დელეგატებმა პასუხი გასცეს ჩვენი პროფმუშაკების შეკითხვებზე. აი რას ლაპარაკობენ ისინი თავიანთი კავშირის შესახებ: გერმანიის წითელ ფრონტელთა კავშირში 89 პროცენტი მუშებია. კავშირის 50 წევრს არ მიუღია მონაწილეობა იმპერიალისტურ ომში, კავშირში შედიან ისინი, რომელნიც სცნობენ კლასთა ბრძოლას და სდგანან საბჭოთა კავშირის დაცვის სადარაჯოზე. კავშირში 85 პროცენტი კომუნისტებია.

დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. **ქარლ ოლბრიხტმა** მთელი დელეგაციის სახელით მადლობა გადაუხადა ამხ. მაჩაიძეს ვრცელი ინფორმაციის მიწოდებისათვის და დასძინა. გერმანიის წითელ ფრონტელთა დელეგაცია ღრმად დარწმუნდა იმაში, რომ საქართველოში საუკეთესო ნიადაგია მომზადებული სოციალისტური მშენებლობისათვის.

დასასრულ ამხ. ოლბრიხტმა ნიშნათ გერმანიის და საქართველოს მშრომელთა ძმური კავშირისა ჩვენს პროფმუშაკებს მკერდზე დაუბნია წითელ ფრონტელთა კავშირის ნიშნები.

საუბარი დელეგაციის თავმჯდომარე კარლ ოლბრიხტთან

ჩვენი ჩამოსვლის მიზანია—სთქვა ამხ. ოლბრიხმა—საქართველოს მუშების ყოფა-ცხოვრების გაცნობა. ჩვენ აქ ჩამოვედით საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მოპატიჟების თანახმად.

შეეხო რა საბჭოთა კავშირში მოგზაურობის საერთო შთაბეჭდილებას, ამხ. ოლბრიხმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის მეურნეობა მოდის ინდუსტრიალიზაციის გზით და საერთოდ მრეწველობის განვითარება ჩქარი ტემპით მიმდინარეობს.

ჩვენ ღრმად დავრწმუნდით, რომ თქვენ აშენებთ სოციალიზმს; გისურვებთ ბრწყინვალედ დაგვირგვინოთ დაწყებული საქმე.

გერმანიაში დაბრუნებისას ჩვენ ვიტყვით სიმართლეს საბჭოთა საქართველოს შესახებ და გავაქარწყლებთ იმ ჭორებს, რომლებსაც ბურჟუაზიული და სოც. დემოკრატიული გაზეთები ავრცელებენ საბჭოთა კავშირის შესახებ.

საქართველოს მუშათა ყოფა-ცხოვრების გაცნობამ ჩვენ საბოლოოდ დაგვარწმუნა იმაში, რომ მუშები საქართველოში უკეთ სცხოვრობენ, ვიდრე გერმანიაში. საქართველოს მუშები და გლეხები საჭიროების დროს მკერდით დაიცავენ თავიანთ მონაპოვარს.

—:—

დღეს დელეგაცია საქართველოს სამხედრო გზით გაემგზავრება როსტოვში და იქიდან ლენინგრადში, საიდანაც დაბრუნდება გერმანიაში.

სატყეო მრეწველობის 5 წ. პერსპექტიული გეგმა

საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სატყეო მრეწველობის ტრესტმა შეიმუშავა სატყეო მრეწველობის განვითარების ხუთ წლიანი პერსპექტიული გეგმა.

აღნიშნული გეგმის თანახმად საქართველოს სატყეო მრეწველობის კაპიტალურ მშენებლობაზე ხუთი წლის განმავლობაში დაიხარჯება 8.894.500 მანეთი. ამ თანხიდან 6.850.000 მან. გათვალისწინებული უნდა იქნეს საკავშირო ბიუჯეტში, ხოლო დანარჩენი 2.044.500 მან. ადგილობრივ ბიუჯეტში.

გეგმის მიხედვით 1928—29 წელში სატყეო მრეწველობის კაპიტალურ მშენებლობაზე დახარჯული იქნება 814.500 მან., 1929—30 წელში—1.690.000 მან. 1930—31 წელში—1.930.000 მან., 1931—32 წელში—2.160.000 მანეთი და 1932—33 წელში—2.300.000 მან.

გეგმით გათვალისწინებულია აგრეთვე სატყეო მრეწველობის წარმოებების 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანა. ზოგიერთი წარმოება 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილი იქნება 1929—30 წელში, ხოლო 1931—32 წელში ტრესტის ყველა წარმოებები გადაყვანილი უნდა იქნეს 7 საათის სამუშაო დღეზე. გეგმის მიხედვით მუშათა საბინაო მშენებლობაზე ხუთი წლის განმავლობაში დაიხარჯება 1.198.000 მანეთი.

ამავე ხნის განმავლობაში საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტი საზღვარგარეთ გაიტანს 6.075.000 მანეთის საქონელს.

მორიგი გაწვევა წითელ ჯარში

გაწვევა თბილისის მაზრაში

1906 წელში დაბადებულთა გაწვევა თბილისის მაზრაში (გარდა ქ. თბილისისა) დაიწყება 12 სექტემბერსა და იწარმოებს შემდეგ ნაირად: გასაწვევი ახალგაზრდები, მცხოვრებნი სართიჭალის, პატარძეულის, გომბორის, მარტყოფის, ნორიოს, საგარეჯოს და მენავას თემებში ცხადდებიან თბილისის მესამე დამატებით გამწვევ კომისიაში (სოფ. სართიჭალის თემაღმასკომის შესაკრებ პუნქტზე) 12, 13, 14, 15, 16, 17 და 18 სექტემბერს.

მცხოვრებნი აღბულახის, დუმანისის და ირაგის თემებში ცხადდებიან გაწვევაზე 21 და 22 სექტემბერს; მცხოვრებნი თრიალეთის ქვემო წალკის, ზემო-წალკის და შუა-წალკის თემებში—23, 24 და 25 სექტემბერს; მცხოვრებნი მანგლისის და პიროუტის თემებში—26, 27 და 28 სექტემბერს.

ყველა ზემოდ ნაჩვენებ თემებში მცხოვრები ახალგაზრდები აღნიშნულ ვადებში უნდა გამოცხადდენ მანგლისის თემაღმასკომის შესაკრებ პუნქტზე მანგლისში.

ავჭალის, მცხეთის და დიღომის თემებში გაწვევა იწარმოებს 24 სექტემბერს, ასურეთის, ყარაიაზის და აგტაგლის თემებში—26 სექტემბერს, თიანეთის, ზემო-თიანეთის და არტანის თემებში—27 სექტემბერს, ზემო ერწოს თემებში—28 სექტემბერს. ამ თემებში მცხოვრები გასაწვევი ახალგაზრდები აღნიშნულ ვადაში ცხადდებიან თბილისის მეორე დამატებით გამწვევ კომისიაში, რომელიც მოთავსებული იქნება თბილისის მაზრის სამხ. კომისარიატის შესაკრებ პუნქტზე (სადგურის ქუჩა, № 24).

ვინაიდან გასაწვევ ახალგაზრდებს წითელი ჯარის ნაწილში ჩარიცხვამდე არ მიეცემათ არავითარი კმაყოფა, ამიტომ ყველა ახალგაზრდა ვალდებულია თან იქონიოს სამი დღის საგზალი. გარდა ამისა გასაწვევნი უნდა გამოცხადდნენ გამოწყობილნი საკუთარ ვარგის ტანსაცმელში სეზონის მიხედვით.

სპეციალისტების გაწვევა წითელ ჯარში

გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირის სამხ. რევ. საბჭოს ბრძანება სპეციალისტების გაწვევის შესახებ წითელ ჯარში.

ყველა ის მოქალაქენი, რომლებსაც ეხებათ გაწვევა წითელ ჯარში და რომლებმაც დაამთავრეს გასამხედროებელი ელექტროტექნიკური, მოტორისტების, სატელეფონო-სატელეგრაფო მეთვალყურეთა და სხვ. კურსები, გაწვევის დროს დაინიშნებიან ან საინჟინრო, ან საკავშირო ნაწილებში.

გამწვევი კომისიები ვალდებულნი არიან უაღრესი ყურადღებით მოეპყრან სპეციალისტების გადარჩევას, რომლებითაც შევსებული იქნება წითელი ჯარის სპეციალური დანიშნულების ნაწილები.

თადარიგის მეთაურთა შემოწმება

თადარიგში მყოფ მეთაურთა შემადგენლობის პირნი, რომლებიც სთვლიან თავიანთ თავს ავადმყოფად, იქნებიან შემოწმებულნი 1906 წელში დაბადებულთა მორიგ გაწვევის დროს. თადარიგის მეთაურებმა, რომლებსაც სურთ შემოწმება, უნდა შეიტანონ სათანადო განცხადება თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატში, საიდანაც მიიღებენ ცნობას, თუ რომელ დღეს უნდა გამოცხადნენ შესამოწმებლად.

პროვინციაში მცხოვრებ თადარიგის მეთაურებმა სათანადო განცხადებით უნდა მიმართონ ადგილობრივ სამხედრო კომისარიატებს.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ც. კ. პლენუმი

მეორე სხდომა

23 აგვისტოს გრძელდებოდა კამათი ამხ. **იაკობაშვილის** და **მირიანაშვილის** მოხსენებათა ირგვლივ. კამათში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის, აჭარისტანის და სხვადასხვა მაზრების წარმომადგენლებმა. ადგილებიდან გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ ადგილობრივ ორგანიზაციების ფინანსიურ სისუსტეს.

რეზოლიუცია, რომელიც პლენუმმა მიიღო, პრეზიდიუმის მუშაობას სწორად და დამაკმაყოფილებლად სთვლის. მომავალ მუშაობისათვის პლენუმს საჭიროთ მიაჩნია მთავრობის მიერ მიცემულ შეღავათების განმტკიცება-შენარჩუნება და ახალი მტკიცე საშემოსავლო წყაროების გამონახვა.

დასასრულ, პლენუმმა გაანთავისუფლა თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. **მამალაძე** და პრეზიდიუმის წევრი ამხ. **იაკობაშვილი.**

პრეზიდიუმის ახალ შემადგენლობაში არჩეულია 5 კაცი. თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. **ი. მამულია.**

საჰაერო მოძრაობა თბილის-მოსკოვს შორის

გუშინ დაბრუნდა მოსკოვიდან უკრაინის სამოქალაქო ფრენოსნობის დირექტორი ამხ. ქბურია, რომელმაც ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა შემდეგი:

თბილის-მოსკოვს შორის ფრენოსნობის მოწყობას უახლოეს მიმართულებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

წარდგენილი იყო მოსკოვში ორი მიმართულების გეგმა: პირველი ვარიანტით გზა მიდიოდა კავკასიონის ქედით, ხოლო მეორეთ—შავი ზღვის ნაპირით. ამათში პირველის განხორციელება მეტად ძნელი საკითხია ვინაიდან საჭიროა ძლიერ მაღალი მთების გადალახვა.

შავი ზღვის მიმართულებით კი მიუხედავად იმისა, რომ მანძილი ასი კილომეტრით უფრო მეტია, ფრენოსნობის მოწყობა ადვილია და უფრო მიზანშეწონილიც, რადგანაც გზა გაივლის მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებით: ქუთაისით—სოხუმით—გაგრა—სოჭა—კრასნოდარ-როსტოვით და ხარკოვით.

მიუხედავად ამისა, მოსკოვში მოწონებულ იქნა პირველი ვარიანტი მაღალ უღელტეხილით, როგორც უფრო მოკლე. ამის განხორციელება ჩვენს პირობებში ამჟამად შეუძლებელია. ამის გამო გზის გახსნა გადადებულ იქნა 1931 წლისათვის.

ქუთაის-სოხუმით კი ჰაეროპლანების მოძრაობის მოწყობა ესლავე შესაძლოა და ამ მიმართულებით ზედმეტი ასი კილომეტრის გადაფრენა უფრო ადვილია ვიდრე მოკლე მაგრამ უმაღლეს კავკასიონის ქედისა, მით უმეტეს, რომ ამ სიმაღლის [illegible] გადაფრენას ყველა მგზავრი ვერ აიტანს.

ეს მეორე გეგმაც იქნა მოწონებული სამოქალაქო ფრენოსნობის საბჭოს მიერ მოსკოვში.

შავი ზღვის მიმართულებას თანაუგრძნობს ჩვენი გამგეობის ახლათ არჩეული თავმჯდომარე ამხ. **კოსიანენკო**, რომელიც ამ დღეებში ჩამოფრინდება თბილისში საუკეთესო ჰაეროპლანით, რომელიც აშენებულია კონსტრუქტორ კალინინის მიერ ხარკოვში.

ამ ჰაეროპლანითვე გავფრინდებით საცდელათ და შესასწავლათ შავი ზღვისაკენ, რომლის შედეგები ჩვენის აზრით დაადასტურებს ამ იდეის განხორციელების მიზანშეწონილობას. შავი ზღვის მიმართულებით მოსკოვიდან-თბილისში გადაფრენა შესაძლებელია ერთი დღის განმავლობაში.

საქ. სახკომსაბჭოში

მოსახლეობის გადასახლება აბასთუმნის ტყიდან

სახკომსაბჭოსთან მოეწყო კომისია ამხ. ფხიტიძის (თავმჯდომარე), მამალაძის და შაბანოვის შედგენილობით, რომელსაც დაევალა შეისწავლოს კურორტ აბასთუმნის ტყეებიდან გლეხების გადასახლების საკითხი და სათანადო მოხსენება წარუდგინოს სახკომსაბჭოს ერთი თვის განმავლობაში.

პროფტექნიკური განათლება

სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა განათლების სახ. კომისარიატის შუამდგომლობა პროფტექნიკური განათლების საჭიროებისათვის 10.000 მან. გაღების შესახებ.

ამასთან ერთად განათლების სახ. კომისარიატს დაევალა მის განკარგულებაში არსებული 38.000 მან. დაუყოვნებლივ გადასცეს პროფტექნიკუმების მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელი შენობის ასაგებად.

პირდაპირი მიმოსვლა ფოთსა და სურამს შორის

სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო ეთხოვოს ა. კ. სახკომსაბჭოს გასცეს სათანადო განკარგულება 1928—29 წლიდან ფოთსა და სურამს შორის პირდაპირი მიმოსვლის აღსადგენად.

დაზარალებულ რაიონების გამოკვლევა

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს წარმოადგინოს მოკლე ხანში მოხსენება საქართველოს დაზარალებულ რაიონების მდგომარეობის შესახებ.

ამ მოხსენებასთან ერთად მოსმენილი იქნება სახკომსაბჭოს სხდომაზე ს. ველისციხის მოსახლეობის სეტყვისაგან დაზარალების საკითხი.

სარეწაო გადასახადის გაწერის ახალი წესები

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით საკავშირო ცაკმა და საკავშირო სახკომსაბჭომ 10 აგვისტოს სარეწაო გადასახადის შესახებ მიიღეს ახალი დებულება, რომელიც აერთიანებს ფასეულთა მიმოქცევაზე არსებულ საპატენტო და სათანაბრო გადასახადებს. შემოღებული სარეწაო გადასახადით დაბეგვრის ახალი წესი გამოიხატება იმაში, რომ ყველა სავაჭრო-სამრეწველო წარმოებები დაიბეგრებიან წლიური ბრუნვის მიხედვით, ხოლო წვრილი საწარმონი და პირადი საქმიანობა, რომლებიც ძველი კანონით განთავისუფლებული იყვნენ გადასახადით დაიბეგრებიან არა ბრუნვის მიხედვით არამედ დაწესებული მტკიცე განაკვეთის მიხედვით.

ახალი კანონით შემცირებულია საგადასახადო შეღავათები, რომლებიც მინიჭებული ჰქონდათ კოოპერატიულ ორგანიზაციებს. შეღავათების შემცირება გამოიხატება შემდეგში: წინად ახლად გახსნილი კოოპერატივები თავისუფლდებოდნენ გადასახადისაგან, ახალი კანონით კი ისინი ამ თავითვე იბეგრებიან თუ წლიური ბრუნვა 20.000 მანეთს აღემატება.

გარდა ამისა, შეტანილია ცვლილებები ინვალიდებისათვის მინიჭებულ შეღავათებში.

ახალი კანონით ყველა ვაჭრები და მრეწველები ვალდებული არიან საპატენტო გადასახადის ნაცვლად 1 ოქტომბრამდე შეიტანონ ხაზინაში განაკვეთის 50 პროცენტი, რომელიც გამოანგარიშებული იყო 1927—28 წლისათვის.

ამჟამად საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის საგადასახადო სამმართველოს სარეწაო ნაწილში სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა ახალი კანონის ცხოვრებაში გასატარებლად და ადგილებისათვის სათანადო ახსნა-განმარტების და დირექტივების მისაცემად.

მეაბრეშუმეობის განსავითარებლად

საქართველოს აბრეშუმის მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებულია ახალი საგრენაჟო სადგურების გახსნა: 1929 წელში — თელავში, 1930 წელში — ზუგდიდში და 1931 წ. აფხაზეთში. ამ სადგურების აგების შემდეგ მეაბრეშუმეთა მთელი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნება ადგილობრივი თესლით.

1929 წელში ქუთაისში მუშაობას დაიწყებს აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა 144 გობით. თელავში და სამტრედიაში არსებულ ფაბრიკას მიემატება დამატებითი სადგურები 36 დაზგით.

ხუთი წლის ბოლოსათვის სამეგრელოში განზრახულია აგებული იქნეს მძლავრი ძაფსახვევი სადგური. ძაფსახვევი დაზგები იდგმება თბილისის ფაბრიკაშიაც, რომელთანაც ეწყობა აგრეთვე სატრიკოტაჟო განყოფილება.

განზრახულია მთელ რიგ ღონისძიებების გატარება ნედლეულის ბაზის განსამტკიცებლად და გასაფართოვებლად. ხუთი წლის ბოლოსათვის თუთის ხეებით დაკავებული სივრცე გადიდებული იქნება 100 პროცენტით.

მეაბრეშუმეები მათთვის საჭირო თესლის 80 პროც. მიიღებენ ჭიებით, რისთვისაც მოეწყობა საინკუბაციო კამერები. მოეწყობა აგრეთვე კურსები მეაბრეშუმეობის ინსტრუქტორების მოსამზადებლად და გადასამზადებლად გამოცემული იქნება სპეციალური ბროშურები და სახელმძღვანელოები. განზრახულია ახალგაზრდობის გაგზავნა საზღვარგარეთ მეაბრეშუმეობის საქმის გასაცნობად და შესასწავლად.

სას. სამ. გადასახადი

დასაბეგრავ ობიექტების აღრიცხვა ახალციხის მაზრაში

სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრავ ობიექტების აღრიცხვის შედეგების გამოსარკვევად სამაზრო კომიტეტმა მოიწვია თემკომების და უჯრედების მდივნების და თემაღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი.

დასაბეგრავ ობიექტების აღრიცხვის კამპანიამ ასეთი შედეგები გამოიღო:

აღრიცხულია 13.132 საგლეხო მეურნეობა 86.488 მჭამელით, აქედან 35.201 კაცი შრომის უნარიანია. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო თანხა გადიდებულია 146.000 მანეთამდე (შარშან კი იყო 93.000 მანეთი); გადიდება გამოიხატა 57 პროც.

გამორკვეულია, რომ შარშანდელ კამპანიაში აღრიცხული არ ყოფილა 522 დესეტინა სახნავი მიწა და 573 დესეტინა სათიბები. გამორკვეულია აგრეთვე, რომ მიუხედავათ საქონლის გაწყვეტისა, რაც გამოწვეული იყო მკაცრი ზამთრით საქონლის რაოდენობა შარშანდელთან შედარებით, მაინც გაიზარდა: მსხვილფეხა საქონლის—850 სულით და წვრილფეხა—6.900 სულით.

არა სამიწადმოქმედო შემოსავალი აღრიცხულია — 317.761 მანეთით მეტი, ვიდრე გასულ წელს. ამრიგად საგადასახადო შემოსავალი მაზრაში, გასულ წელთან შედარებით, გადიდებულია დასაბეგრავ ობიექტების სრულიად აღრიცხვის ხარჯზე.

საგრძნობლად გაიზარდა გადასახადისაგან განთავისუფლებულ მეურნეობათა რიცხვი. შარშან განთავისუფლებული იყო 3.337 მეურნეობა, წელს კი განთავისუფლებულია 4.648 მეურნეობა.

თათბირმა აღნიშნა მთელი რიგი დეფექტები დასაბეგრავ ობიექტების აღრიცხვის კამპანიაში და კონკრეტული მითითებები მისცა ადგილებს მათ გამოსასწორებლად.

საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის

რესპუბლიკანურ კომისიის ცირკულიარი

საშემოდგომო თესვის ჩამტარებელი რესპუბლიკანური კომისიის თავმჯდომარემ, მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. **ჯუღელმა** ყველა სამაზრო აღმასკომს დაუგზავნა ცირკულიარი თესვის კამპანიის ჩატარების შესახებ მაზრებში. შემოდგომის თესვის კამპანიის სისტემატიური ხელმძღვანელობა და პასუხისმგებლობა კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის ეკისრება სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეებს. სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეებს, შეუძლიათ მოაწყონ კომისიები, რომლებიც დახმარებას გაუწევენ მათ, და თემაღმასკომებთან დანიშნონ რწმუნებულები. სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეებმა უნდა გადასჭრან შემდეგი ამოცანები:

ა) გააფართოონ შემოდგომის ნათესის სივრცე და გაადიდონ მოსავლიანობა; ამ მიზნით მათ უნდა ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი კამპანია მოსახლეობის შორის და განავითარონ გლეხური მასების ინიციატივა შემოდგომის ნათესისთვის გამოსადეგი მიწის დამუშავების საქმეში.

ბ) დაამზადონ მთელი მასალა და უზრუნველჰყონ მით ღარიბი გლეხობა შეღავათიან პირობებში.

გ) მოაწყონ თესლის გაწმენდა და დახარისხება, — ღარიბ გლეხებისათვის უფასოდ.

დ) აღრიცხონ თესლის საწმენდი მანქანები, რომლებიც სამაზრო ორგანიზაციებშია, მოიყვანონ ისინი სრულ წესრიგში და მიაწოდონ მოსახლეობას, მოაწყონ თესლის საწმენდი ბაზები და თვალყური ადევნონ, რომ მანქანები უწყვეტლად მუშაობდნენ.

ე) მაქსიმალური დახმარება გაუწიონ გლეხობას მიწის განოყიერებაში; მოაწყონ საუბრები გლეხებთან და საჩვენებელი ნაკვეთები გლეხურ მეურნეობებში.

ვ) თვალყური ადევნონ მავნებლებთან ბრძოლას და ამ საქმეში დახმარება გაუწიონ გლეხობას.

ზ) თვალყური ადევნონ, რომ სასოფლო-სამეურნეო იარაღისა და მანქანების სარემონტო სახელოსნოები და გამქირავებელი პუნქტები წესიერად მუშაობდნენ და რომ გამქირავებელი პუნქტები უზრუნველყოფილ იქნენ საჭირო იარაღით და მანქანებით.

ჱ) გამოარკვიონ—რამდენად სჭირდებათ კოლმეურნეობებს და ღარიბ გლეხებს სასოფ.-სამეურნეო იარაღი, ამასთან პირველ რიგში იარაღით ისინი დააკმაყოფილონ.

თ) თვალყური ადევნონ, რომ კომუნებისა და არტელების ინვენტარი კოლექტივებში მუშაობის დამთავრების შემდეგ დაუყოვნებლივ გადაეცეს სხვა რაიონებს მოსახმარად.

ი) თვალყური ადევნონ, რომ მაზრებს თავის დროზე მიაწოდონ სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღი, თესლი, საქონლის საკვები და თესვის კამპანიისათვის საჭირო სხვა მასალა. აღნიშნული საგნების მიუღებლობისა და ამის გამო სასოფლო-სამეურნეო მუშაობის შეფერხების შესახებ მათ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ რესპუბლიკანურ კომისიას.

კ) თვალყური ადევნონ, რომ მთელი მუშაობა შემოდგომის თესვის დროს, როგორც სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ისე მუშა საქონლის დაქირავება და აგრეთვე თვით თესვა სწარმოებდეს საერთო ძალ-ღონით—კოლექტიურად.

დასასრულ, ცირკულიარი სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეებს წინადადებას აძლევს შეიმუშაონ კამპანიის ჩასატარებელი გეგმები და ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან ცირკულიარის მიღებისა, გადაუგზავნონ ისინი რესპუბლიკანურ კომისიას.

თესვის კამპანიის მსვლელობის შესახებ სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეებმა რესპუბლიკანურ კომისიას უნდა მიაწოდონ ინფორმაცია ორ კვირაში ერთხელ, ხოლო მუშაობის შემაფერხებელ სასწრაფო შემთხვევებში—დაუყოვნებლივ. (ადს).

ნათესების კონტრაქტაცია

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველომ საქართველოში მიწად-მოქმედების სახკომთან ერთად დაამუშავა შემოდგომის ნათესების კონტრაქტაციის გეგმა, რომელიც დასამტკიცებლად წარუდგინა საქ. სახკომსაბჭოს.

გეგმით გათვალისწინებულია ხორბლეულის დათესვა 7 ათას ჰექტარზე. აქედან ათასი ჰექტარი დათესილ იქნება მწკრივზე სათეს მანქანების საშუალებით. დანარჩენ 6 ათას ჰექტარზე დათესილი იქნება 90% ხორბალი და 10% ქერი. კონტრაქტაციის ჩატარება დავალებული აქვს „სოფლის კავშირს", რომელმაც სათანადო ხელშეკრულება უნდა დასდოს „ხლებსოიუზთან". „სოფლის კავშირმა" ძირითად კოოპერატივებთან ხელშეკრულების დადება უნდა დაამთავროს 1-ლ სექტემბრამდე, მთესველთა ჯგუფებთან კი პირველ ნოემბრამდე.

სათეს ადგილებში აგრო-კულტურულ მუშაობას ჩაატარებს მიწსახკომი და „სოფლის კავშირი".

ცალკე მაზრების მიხედვით დათესილი იქნება: თბილისის მაზრაში 780 ჰექტარი, ბორჩალოში 530, კახეთში 2650, გორის მაზრაში1900, ახალციხეში 360 და ახალქალაქის მაზრაში 330 ჰექტარი, სულ 7,000 ჰექტარი.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმში

გუშინ საღამოს თბილისის საბჭოს და თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა სხვადასხვა საკითხი თბილისისა და თბილისის მაზრის შესახებ.

დუშეთისა და თბილისის მაზრების გაერთიანება

პირველად გაირჩა საკითხი დუშეთისა და თბილისის მაზრების გაერთიანების შესახებ. ამ საგანზე მოსმენილ იქნა განსაკუთრებული კომისიის მოხსენება. კომისია სპეციალურად გაემგზავრა და ადგილობრივ ჩაატარა დადგენილება გაერთიანების შესახებ. მუშაობის დროს კომისია დარწმუნდა, რომ ყოფ. დუშეთის მაზრაში საჭიროა თემების გაფართოება. ამჟამად იქ 19 თემია სუსტი ბიუჯეტით და მცირე მოსახლეობით. კომისიის აზრით, საჭიროა ორ-ორი თემის გაერთიანება და, ამრიგად, მათი საერთო რიცხვის შემცირება ათამდე. კამათის შემდეგ პრეზიდიუმმა მოხსენება მიიღო ცნობად და დაადგინა, დაარსდეს სპეციალური კომისია ყოფ. დუშეთის მაზრაში თემების გაერთიანების საკითხის დეტალურად დასამუშავებლად.

პროფილაქტიური აცრა

ხუნაგისა და ქუნთრუშის ეპიდემიის გაძლიერების გამო, ჯანმრთელობის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა მასთან საბრძოლველად 14.002 მანეთის გადადების შესახებ. ეს თანხა მოხმარდება ბავშვთა მოსახლეობის აცრას. განზრახულია აცრას ოცდახუთი ათას ბავშვს. საკითხის განხილვის შემდეგ პრეზიდიუმმა დაადგინა, მისცეს ჯანმრთელობის განყოფილებას 7.000 მანეთი და დაავალოს, მუშაობა სამ თვეში ჩაატაროს.

სტუდენტთა მეორე საერთო საცხოვრებელი

კომუნალური განყოფილების კოლეგიამ წინადადება შეიტანა აგებულ იქნას სტუდენტთა მეორე საერთო საცხოვრებელი სახლი—სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტისთვის, პროექტი უკვე დამუშავებულია. შენობა დაახლოვებით დაჯდება 200.000 მანეთი. ამ თანხიდან 90.000 მანეთი უნდა გაიღონ დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა, დანარჩენი—თბილისის საბჭომ იმ თანხებიდან, რომელიც მომავალ წელს საბინაო მშენებლობისათვის გადაიდება.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა—მიიღოს მონაწილეობა ამ შენობის აგებაში; მუშაობა დაწყებულ იქნას მაშინ, როდესაც კომუნალური განყოფილება 10.000 მანეთს მიიღებს. სამუშაო გადაეცეს „სამშენს".

უმაღლეს კურსებზე გაგზავნა

ლენინგრადში არსებობს კომუნალური მეურნეობის უმაღლესი კურსები. კომუნალურ მუშაკთა კავშირის წინადადებით, პრეზიდიუმმა დაადგინა, გაგზავნოს ხსენებულ კურსებზე ამხ. ხოჯაევი.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

მოსკოვიდან დაბრუნდა სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის სამუშაოების უფროსი ინჟ. **გ. შახბუდაგოვი.**

ჩვენ თანამშრომელთან საუბარში გ. შახბუდაგოვმა განაცხადა: კრედიტები სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციისათვის ცალკე წლების მიხედვით (ელექტროფიკაციის განხორციელება სულ დაჯდება 17.500.000 მანეთი) გზათა სახალხო კომისარიატის მიერ განაწილებულია შემდეგნაირად: 1928—29 წელში—3.700.000 მანეთი, 1929—30 წელში—5.800.000 მანეთი და 1930—31 წელში სამუშაოების დასამთავრებლად 5.400.000 მანეთი.

საერთო თანხიდან 3.700.000 მანეთი დაჯდება რიონჰესს-ზაგესის ელექტრო-გადამცემ ხაზის აგება და 6.800.000 მანეთი ელექტრომავლების შეძენა. გზათა სახალხო კომისარიატმა მხედველობაში მიიღო რა ის გარემოება, რომ ამიერ-კავკ. რკინის გზების გადაზიდვის უნარიანობის გაძლიერება მოითხოვს ელექტროწევის შემოღებას ხაშურ-ზესტაფონის უბანზე არა უგვიანეს 193, წლის 1-ლ ოქტომბრისა, დაავალა ცენტრალურ საგეგმო სამმართველოს შეამოწმოს ტვირთბრუნვის ზრდა და მიღებულ მასალების თანახმად სთხოვოს მთავარ ელექტრო-სამმართველოს უზრუნველჰყოს, არა უგვიანეს გეგმაში გათვალისწინებულ ვადისა, რიონის ჰიდრო-ელექტრო სადგურის აგება.

ცენტრალურმა სარკინიგზო სამმართველომ და საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭომ ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოარკვიონ, თუ რამდენად შესაძლებელია საჭირო მოწყობილობის და ელექტრომავლების დამზადება საბჭოთა ქარხნებში.

თუ ეს შეუძლებელი აღმოჩნდება, ელექტრომავლები შეკვეთილი იქნება საზღვარგარეთ.

ამასთანავე გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაავალა ცენტრალურ სარკინიგზო სამმართველოს ჩაატაროს სურამის უღელტეხილზე მძიმე შემადგენლობის ოთხი ორთქლმავალით გაშვების ცდები. აქედან მიღებული მასალები შესწავლილი იქნება და შესაძლებელია, რომ ეს წესი იქნეს შემოღებული უღელტეხილზე ელექტროფიკაციის სამუშაოების დამთავრებამდე.

ხე-ტყის დამზადება

ამიერ-კავკ. რკინის გზების გამგეობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა რკ. გზების სატყეო განყოფილების მუშაობა.

გამგეობამ მიიღო, რა მხედველობაში ამიერკავკასიაში შექმნილი კონიუნქტურა ტყის მეურნეობაში საჭიროთ სცნო სატყეო განყოფილების დატოვება ამიერ-კავკ. რკ. გზებთან.

აღნიშნული დადგენილება მით არის გამოწვეული, რომ ადგილობრივი მრეწველობა ვერ იძლევა გარანტიას, რომ იგი სავსებით დააკმაყოფილებს გზების მოთხოვნილებას. წარსულში ამის არა ერთი მაგალითი იყო.

სატყეო განყოფილებამ მომავალი წლის განმავლობაში უნდა დაამზადოს 200—250 ათასი ცალი შპალი და 150.000 კუბიკ. მეტრი შეშა.

საჭილოს სახერხი ქარხანა იმუშავებს მხოლოდ იმ ნედლეულის დასამზადებლად, რომელიც ამჟამად მის განკარგულებაშია.

რკინის გზების გამგეობამ, მიმართა ამიერკავკასიის მთავრობას შუამდგომლობით, რათა ამიერ-კავკ. სატყეო ტრესტებმა, რკინის გზებს ხე-ტყის მასალა დაუმზადონ გეგმიანათ, რაც მოამზადებს პირობებს რკინის გზების სატყეო განყოფილების გაუქმებისათვის.

ამას გარდა ხე-ტყის მასალა შეძენილ იქნება რუსეთის ბაზარზე.

გზების გამგეობამ საჭიროდ სცნო გაუქმებულ იქნას თბილისის მთავარ სახელოსნოების სადურგლო-საამქროს ხე-ტყის სახერხი განყოფილება.

ამასთან გამოირკვა, რომ სატყეო განყოფილების მუშაობას აბრკოლებდა ხელმძღვანელ აპარატის მუდმივი ცვლა. მუშგლეხინის ცნობებით 6 წლის განმავლობაში გამოიცვალა 288 ხელმძღვანელი მუშაკი.

რკ. გზების სატყეო განყოფილების მუშაობის გასაჯანსაღებლად გზების გამგეობამ მიმართა მუშგლეხინს, რათა ამ უკანასკნელმა მიიღოს ზომები თვითღირებულების გასაიაფებლად, მუშა-მოსამსახურეთა შტატის შესამცირებლად, და მანვე შეიმუშაოს განყოფილების საწარმოო პროგრამა.

ქუთაისი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

5 წლიანი სას.-სამ. გეგმის შედგენა

ქუთაისის მაზრის 5 წლიან სასოფლო-სამეურნეო პერსპექტიულ გეგმით გათვალისწინებულია შემდეგი გაუმჯობესების შეტანა მაზრის სასოფლო-მეურნეობაში:

1) **მებამბეობის** ასაღორძინებლად ბამბის სათესი სივრცე უნდა გადიდდეს 2 ათას ჰექტარამდე. მოსავალი თითო ჰექტარზე უნდა უდრიდეს 45 ფუთს საშუალოთ. ბამბის საუკეთესო ჯიშის გამოყვანის მიზნით ცდების ჩატარება დაევალა აჯამეთის საცდელ სადგურს. ასეთივე ყურადღება უნდა მიექცეს **კენაფს**, რომლის სათესი სივრცე გადიდებულ იქნება 300 ჰექტარამდე. **მეაბრეშუმეობის** განსავითარებლად კვლავ გადიდებულ იქნება საინკუბაციო პუნქტთა რაოდენობა.

2) **მესაქონლეობის** ასაღორძინებლად ყოველ აგრო პუნქტთან უნდა იქნეს მოწყობილი საჯიშეები. მუშა საქონლის რაოდენობა მაზრაში გადიდებულ იქნება 7,5 პროცენტით, ხოლო საპროდუქციო საქონელი 12,6 პროცენტით. მეფრინველეობის განსავითარებლად სამი საჯიშე პუნქტი მოეწყობა: ხონში, სამტრედიასა და ვანში.

3) **მეხილეობის** გასაუმჯობესებლად კურკოვანი საექსპორტო და საკონსერვო ჯიშების სანერგე მოეწყობა 15 ჰექტარზე. მოწყობილი იქნება ორი მოძრავი ხილის საშრობი ოკრიბასა და ვანში, ხოლო ერთი ხილის სახმობი ქარხანა სამტრედიაში. **მებოსტნეობის** განსავითარებლად მოწყობილ იქნება საკონსერვო ქარხანა მუხრანში 1.600 ტონის ტევადობისა.

3) **მევენახეობა-მეღვინეობის** შემდეგი ზრდა - განვითარებისათვის საჭიროთ იქნა ცნობილი: **ბაღდათში** სალვინე სარდაფის აგება, რომელიც 50 ათას ვედრო ღვინოს დაიტევს. ასეთივე სარდაფი აიგება სვირშიაც. ვენახთა სივრცე გადიდდება 1000 ჰექტარით. ქუთაისის მაზრა უნდა იქნეს შეტანილი დასავლეთ საქართველოს მევენახეობის რაიონის პირველ კატეგორიაში.

4) **მიწათმოწყობა:** კულტურული მიწების ფართობი ამჟამად მაზრაში უდრის 112 ათას ჰექტარს. მიწათმოწყობა ჩატარებულია 12.906 ჰექტარზე, რასაც მხოლოდ უბრალოდ მიწის გამიჯვნის ხასიათი ჰქონდა. ეთხოვოს საქკომსაბჭოს და მიწსახკომს, რათა დაკანონებულ იქნეს მიწის მოწყობის დროს იძულებითი გაცვლა-გამოცვლა ნაკვეთებისა კეთილ მოწყობის მიზნით საერთოდ და განსაკუთრებით კი კოლექტიურ მეურნეობაში. მიღებულ იქნეს საგეგმო კომისიის მიერ გათვალისწინებული მიწათმოწყობის ტემპი. გასაწევი ხარჯების 10 პროც. დაიფარება მაზრის ბიუჯეტიდან.

5) **მეტყეობა:**—სამაზრო ტყეების სივრცე უდრის 100 ათას ჰექტარს, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებისა—15 ათას ჰექტარს. განადგურება-გაჩეხვისაგან დასაცავად საჭიროა ტყის მცველთა დანიშვნა სათემო ბიუჯეტზე. საჭიროა მაზრისათვის ერთი ინსტრუქტორი ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეთა და საცავად და მისი ფართობის გასადიდებლად. გაშენებულ იქნება პრობკის ტყე 2000 ჰექტარზე.

6) **საძოვრები:**—მაზრაში საძოვრების სივრცე უდრის 21 ათას ჰექტარს. აქედან ვარგისია 11 ათასი ჰექტარი, სადაც თავს ინახავს 27 ათასი სული საქონელი. გამოუყენებელია 10 ათასი ჰექტარი დაბალი ღირსების მიხედვით და შესაფერ გზების უქონლობის გამო. ზომები იქნება მიღებული რათა გამოუყენებელ საძოვართა დიდი ნაწილის გამოყენება შესაძლებელი იქნეს შემდეგისათვის.

7) **მელიორაცია:**—შემუშავდეს სარეკონსტრუქციო გეგმა სამტრედია-ხონის სარწყავ არხებისა, გამაგრება რიონის ნაპირების სარბევ ადგილების დასაცავად. გამაგრება ცხენის წყალის ნაპირებისა მათხოჯისა და ღანირკულაში სოფლების დასაცავად, ხანის წყალზე ნაპირების გამაგრება ბაღდათსა და დიმში, ხოლო სამტრედიაში ჭაობ საწურბლის ამოშრობა და გაწმენდა დაჭაობებულ მდინარეებისა: ღალღობასი და ჭურთუასი.

აგრო დახმარების გასაწევათ და აგროუცოდინარობის მოსასპობად საჭიროდ იქნეს ცნობილი აგროქსელის გაფართოება მაზრაში იმ ვარაუდით, რომ ხუთი წლის დასასრულს ყოველ 5 ათას მეურნეობაზე მოდიოდეს თითო აგრონომი.

ვეტდახმარების უზრუნველსაყოფად მაზრაში იქნება 12 ვეტექიმი შესაფერი დაბალი პერსონალით.

აბჯესის ხაზი

ქუთაისის აღმასკომის ბიუჯეტით ელექტრიფიკაციისათვის საჭირო თანხიდან 50 ათასი მანეთი მიეცემა სესხის სახით აბჯეს—ქუთაისის ხაზის გაყვანას.

სესხი რიონჰესს

მომავალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე სამი თვის ვადით ქუთაისის აღმასკომი სესხად აძლევს რიონჰესს 150 ათას მანეთს.

დასაზღვევი ფული დაზარალებულთ

დღემდე სახელმწიფო დაზღვევის ქუთაისის სააგენტოს მიერ ხანძრისაგან დაზარალებულთ, დაზღვეულ შენობათა ანგარიშში პიეცა 147.855 მანეთი და 41 კ. გასაცემია კიდევ მხოლოდ 5.284 მ. 91 კ. იმავე სააგენტომ კომუნალურ მეურნეობის დაზღვეულ შენობათა ანგარიშში 6.600 მანეთი მისცა ქუთაისის აღმასკომს.

მომავალი წლის ბიუჯეტი

შემდეგ სურათს იძლევა ქუთაისის აღმასკომის ბიუჯეტი 1928—29 წლისათვის:

შემოსავალი: 1) საკუთარი—2.818.070 მან.
2) სუბვენცია პედ. პერსონალის—915.468 მ.
3) მიზნობრივი დახმარება—902.000 მ.
4) სესხი —518.462 მან.
სულ—5.160.000 მან.

ნავარაუდევი გასავალი

1) ადმინისტრატ. დაწესებ.—481.974 მ.—9,3 პროც:
2) სოც.-კულტურული—1.873.344 მან.—36,3 პროც.
3) სახ. მეურნეობა—139.353 მან.—2,7 პრ.
4) ადგილობ. მრეწველობა—638,663 მან.—12,4 პროც.
5) კომუნ. მეურნეობა—1.374.695 მან.—26,7 პროც:
6) კომუნ. წარმოებანი—357.786 მან.—6,9 პროც.
7) მუშ. კოოპერ. ბინები—45.300 მან.—0,9 პროც:
8) გზების შენახვა—57.184 მან.—1,1 პროც.
9) სხვადასხვა, მოულოდ.—191.707 მან.—3,7 პროც.

მთლიანი ბიუჯეტიდან გადიდებულია:
1) მაზრისათვის—1.911.113 მან.
2) ქალაქ ქუთაისისათვის—2.347,092 მან.
3) ქალ. ხონისათვის—216.066 მან.
4) ქალ. სამტრედიისათვის—193.110 მან.
5) თემებისათვის—498.619 მან.

კურსები ქოხ-სამკითხველოთა გამგეებისათვის

15 აგვისტოდან ქუთაისში მოეწყო მოკლევადიანი კურსები ქოხ-სამკითხველოს გამგეთა გადასამზადებლად.

სააქციონერო საზოგადოება

სდგება სააქციო საზოგადოება 28 ათასი მანეთი თანხით ქუთაისში შეკრილი ტანსაცმელთა სამკერვალო ქარხნის მოსაწყობად.

მეორე ინდუსტრიალური სესხი

21 აგვისტოს ფინმომუშავეთა თათბირზე ამხ. ჯანელიძის მოხსენების შემდეგ დადგენილ იქნა, რათა ადგილობრივ თემებში ფინმომუშავეთა მიერ ჩამოყალიბებულ იქნეს სამეულები სესხის ფართე კამპანიისა და მისი რეალიზაციის ჩასატარებლათ.

ფინმომუშავეთა თათბირი

20 აგვისტოს ქუთაისის აღმასკომის სამფინგანთან მოხდა თათბირი, რომელსაც დაესწრენ თემებიდან ფინმომუშავენი,—ხოლო სადაც ასეთები არ არიან—თემაღმასკომის თავმჯდომარე და მდივნები, დამსწრეთ გადაეცა მომავალი წლის ბიუჯეტის საკონტროლო ციფრები, რომლის ფარგლებშიაც უნდა მოათავსონ თემებმა თავისი ხარჯები. თუ თემების მიერ გამონახული იქნება სხვა ახალი შემოსავლის წყარო, ასეთ შემთხვევაში მათ შეუძლიათ გაზარდონ გასავალი ახალი მშენებლობისა და წამოწყებებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

სასოფლო- სამეურნეო გადასახადის ფურცლების ჩაბარება 1928—29 წლისათვის უკვე დაიწყო გადამხდელებზე. დაწყებულია აგიტკამპანია რათა 1 ოქტომბრისათვის გადასახადის 10 პროცენტი მაინც იქნეს შეკრებილი. ფინმომუშავეთ დაევალა ადგილებზე, რათა მთავრობის მითითებანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სწორათ და დროზე გასანაღდებლად გაცხოველებული ზომები მიიღონ.

საშტატო კომისიის მუშაობა

ქუთაისის აღმასკომის მიერ გამოყოფილმა საშტატო კომისიამ უკვე დაამთავრა მუშაობა. კომისიამ 1928—29 წლის ბიუჯეტისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მიწათმოქმედების, ჯანმრთელობისა და სახალხო განათლების დარგებს. მომავალ ბიუჯეტში ხსენებულ დარგებიდან გაზრდილია შტატები რაიონებში აგროპუნქტების, ვეტპუნქტების, სკოლებში ახალ ჯგუფთა დამატების ხაზით და სხ.

კომკავშირელთა ლაშქრობა

18 აგვისტოს შუადღისას დაიწყო და 19-ს საღამოს დამთავრდა კომკავშირელთა ლაშქრობა, ლაშქრობა დიდი ამბით ჩატარდა, 2500 ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

ფიზკულტურა

დამთავრდა ზაფხულის პირველობის გათამაშება კალათ-ბურთში ვაჟთა პირველ კატეგორიის. მონაწილეობას ღებულობდა ექვსი გუნდი.

პირველი ადგილი დაიკავა რიონჰესის გუნდმა, მეორე—შინა მრეწველთა გუნდმა,—მესამე—რკინის გზის მეორე გუნდმა. შეჯიბრი მეტად საინტერესო იყო მით, რომ ქუთაისში ორი წელიწადია რაც პირველ ადგილზე გამოდიოდა შინამრეწველთა გუნდი, მაგრამ ამ სეზონზე გამოვიდნენ მეორე ადგილზე, რაც უნდა მიეწეროს რიონჰესის გუნდის სიმძლავრეს.

საავადმყოფო

ტყიბულში დაიწყო 50 საწოლიანი საავადმყოფოს აგება, რომლის დამთავრება გათვალისწინებულია ერთი წლის განმავლობაში.

კონსულტაცია

ქალაქ სამტრედიასა და ხონში შენდება შენობა ფეხ-მძიმეთა და ძუძუ-მწოვარ ბავშვებიან ქალთა კონსულტაციისათვის.

საექიმო პუნქტი

კულაშის თემში მიმდინარეობს საექიმო პუნქტის შენობის აგება, სადაც მოთავსებული იქნება აფთიაქიც.

კავშირის წევრობიდან გამორიცხვა

მშენებელთა კავშირის სამაზრო განყოფილებამ გამორიცხა კავშირის წევრობიდან მუშა ისიდორე პატარიძე მევახშეობისათვის.

ქრონიკა

წითელი ჯვრისაგან

სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის და წითელი ნახ. მთვარის საზოგადოების ცეკა წინადადებას აძლევს ყველა იმ პირთ, რომელთაც დამთავრებული აქვთ პირველი დახმარების სანიტარული წრეები, ყოველ მიზეზის გარეშე გამოცხადდნენ წითელი ჯვრის შენობაში (კრილოვის ქუჩა № 15) დღეს, 24 აგვისტოს 4 საათზე ხელ-ახალ აღრიცხვაზე ასაყვანად და ახალ მოწმობების მისაღებად.

დღემდე გაცემული მოწმობები დღეის რიცხვიდან გაუქმებულია.

ცვალებადელთა საყურადღებოთ

ამხ. ფრუნზეს სახელობის მე-2-ე ქართ. მძ. დივიზიის ზურგის ნაწილების და დაწესებულებების ცვალებადი უმცროსი მეთაურები და წითელი არმიელები, დაბადებულნი 1902, 1903 და 1904 წელში საერთო ტერიტორიალურ შეკრებაზე უნდა გამოცხადდნენ შემდეგ ვადებში:

ქ. თბილისის მცხოვრებნი ა.-წ. 15 სექტემბერს დილის 8 საათზე მეორე ქართ. საარტილერიო ლეგიონის შენობაში (ქ. ცეტკინას ქუჩა, № 119).

დუშეთის მაზრის მცხოვრებნი, ა.-წ. 6 სექტემბერს დილის 8 საათზე, სოფ. მცხეთაში—კლუბის შენობასთან.

სიღნაღის, ჯულაანის, ტიბაანის, ბოდბის ხევის, მირზაანის, ქვემო-მაჩხაანის, ზემო-მაჩხაანის, წითელ წყაროს, შირაქის და ბოდბის თემების მცხოვრებნი—ა.-წ. 5 სექტემბერს ნაშუადღევის 4 საათზე, სიღნაღის თემაღმასკომის შენობასთან.

ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებნი—ა.-წ. 5 სექტემბერს ნაშუადღევის 5 საათზე—დაბა შაუმიანში.

ფართალი

მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში საქართველო მიიღებს 121 ვაგონ ფართლეულს.

ფორმალინი

სათესლე ხორბლეულის მავნებლებისგან გასაწმენდათ მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის მცენარეულობის დაცვის განყოფილებამ შეიძინა ფორმალინი. ჯერ-ჯერობით მიღებულია 1 ტონა ფორმალინი.

ახალი ჟურნალი

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმს განზრახული აქვს მოკლე ხანში გამოუშვას პერიოდული ჟურნალი, რომელშიაც გაშუქებული იქნება საბჭოთა აღმშენებლობის საკითხები.

ცენტრალური მუშათა კლუბი

ცენტრალური მუშათა კლუბი გადაეცა მელითონეთა კავშირს.

თბილისის აღმასკომში

◆ **კლარა ცეტკინის ქუჩის მოკირწყლა.** თბილისის აღმასკომის კეთილ მოწყობის განყოფილება შეუდგა კლარა ცეტკინის ქუჩის მოკირწყლას. ცეტკინის ქუჩა გადაკირწყლული იქნება მთელ სიგრძეზე.

◆ **ახალი სკოლა.** თბილისის აღმასკომმა დაადგინა ააშენოს ახალი შენობა სკოლისათვის სოფელ ლღვევში.

◆ **2500 მანეთი.** ტაბახმელას სკოლის ასაშენებლად თბილისის აღმასკომმა გადასდო 2500 მანეთი.

◆ **სართიჭალა-სიღნაღის გზა-ტკეცილის შეკეთება.** თბილისის აღმასკომი შეუდგა სართიჭალა-სიღნაღის გზის შეკეთებას. აღნიშნული გზის შეკეთება ჯდება 26 000 მანეთი.

◆ **ორი ახალი სკოლა გომბორის რაიონში.** თბილისის აღმასკომმა დაადგინა გომბორის რაიონში მოაწყოს ორი ახალი პირველდაწყებითი სკოლა და შეუდგეს სასკოლო შენობების აგებას.

◆ **წყალსადენი.** თბილისის აღმასკომმა დაადგინა შეუდგეს წყალსადენის გაყვანას სოფელ შახვეტილასა და ნაპოლხარს (მანგლისის რაიონი). შუა.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

— **ქიათურის დასი.** თბილისში ჩამოვიდა ქიათურის თეატრის გამგე ქ. მიშველიძე, რომელსაც ქიათურის აღმასკომის მიერ დაკალებული აქვს მომავალი სათეატრო სეზონის საქმეთა მოგვარება.

დასის ხელმძღვანელად უკვე მოწვეულია კ. ანდრონიკაშვილი. ამჟამად სწარმოებს მსახიობებთან მოლაპარაკება და რეპერტუარის შედგენა. დასში შედიან როგორც თბილისის, ისე ქიათურის ახალგაზრდა ძალები. რეპეტიციები დაიწყება 15 სექტემბრიდან.

ქუნთრუშასა და ხუნაგის წინააღმდეგ

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარულ-პროფილაქტიკურ განყოფილებაში ჩვენს თანამშრომელს ქუნთრუშისა და ხუნაგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ აცნობეს:

ქვე-განყოფილების მიერ შემუშავებული საორიენტაციო გეგმა უკვე დამტკიცებულია პრეზიდიუმის მიერ, დამტკიცებულია ხარჯთაღრიცხვაც. ფულის ნაწილი ხარჯთაღრიცხვით უკვე გაცემულია და უახლოეს დღეებში შეუდგებით აცრას. პირველ რიგში აუცრიან კოჯორში მცხოვრებ ბავშვებს.

თბილისში აცრა დაიწყება არა უადრეს სექტემბრისა. აუცრიან შრომის სკოლების მოწაფეებს. სკოლის ასაკამდე ბავშვებისათვის მოწყობილი იქნება მუდმივი ასაცრელი პუნქტები ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების სამკურნალო დაწესებულებებთან.

ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილება სავსებით უზრუნველყოფილია ქუნთრუშისა და ხუნაგის საწინააღმდეგო ასაცრელი მასალით.

ქუნთრუშით დაავადების პროცენტი შედარებით დიდია სომხეთში, ეს ავადმყოფობა გავრცელებულია აზერბეიჯანშიაც; ქუნთრუშით დაავადმყოფების შემთხვევები მატულობს თბილისში და ეს გარემოება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქუნთრუშა და ხუნაგი გაძლიერდება შემოდგომაზე. ამიტომ გადაწყვეტილია ამ თავითვე იქნეს მიღებული გამაფრთხილებელი ზომები, რომ ავადმყოფობამ ეპიდემიური ხასიათი არ მიიღოს.

სასამართლო

რ. მიქელაძის საქმე

25 აგვისტოს, თბილისის სამაზრო სასამართლოში დაიწყება რევაზ მიქელაძის საქმის გარჩევა.

როგორც ვსწერდით, მიქელაძეს ბრალდება მოქ. პეტრე ტრაპაიძის მოკვლა წინასწარი განზრახვით.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე— ამხ. ა. კალანდაძე, სახალხო მსაჯულებათ გამოწვეულია ნიკ. მხილაძე და მიხ. მოქაუტაძე.

ბრალს სდებს პროკურორი ს. გრიგოლია, ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი პ. ქავთარაძე.

საქმის გარჩევა გაგრძელდება რამოდენიმე დღე.

ხულიგანი ქორიძე

ვასილ ნიკოლოზის ძე ქორიძე, 20 აგვისტოს, შევიდა ერთ-ერთ რესტორანში და ბრძანა:

— აბა, მომიტანეთ კვარტი ღვინო თავისი რამე-რუმეებით.

როცა დათვრა შეუმჩნევლად გავიდა რესტორანიდან და ფულის მაგიერ ქუდი დაუტოვა რესტორანის მეპატრონეს.

გზაზე დაეწევა მას სასადილოს მეპატრონე და სთხოვს ანგარიშის გასწორებას.

— რაო, ხუთი მანეთი ნახარჯი, ხომ არ გაგიჟდი?

სასადილოს მეპატრონემ ქორიძე შეიყვანა სასადილოში და შეუდგა ანგარიშს.

— იცი, „სკიდკა“ გაგიკეთე, ყველაფერი კოოპერატივის ფასზე ვიანგარიშე.

— შენ სტყუი,—მიუგო ქორიძემ და გაბრაზებულმა კვარტი დაამშვა იატაკზე.

შეიქნა აურ-ზაური. ქორიძემ მიანგრ-მოანგრია იქაურობა.

გაჩნდა მილიციელი, რომელსაც ქორიძემ შეუკურთხა და ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა.

დიდის ვაი-ვაგლახით ქორიძე დააპატიმრეს.

საპატიმრო საკანშიც გამოიჩინა მან „ვაჟკაცობა“ და დალეწა ფანჯრის მინები.

ქორიძეს მიესაჯა ადმინისტრატიული წესით ერთი თვით თავისუფლების აღკვეთა.

ტყუილს მოკლე ფეხები აქვს

ა. წ. 10 აპრილს, ბაღდადის თემის მცხოვრებმა ალექსანდრე პლატონის ძე ამირანაშვილმა გლეხ გრიგოლ ბუხულეიშვილს მოჰპარა 500 ძირი ვენახის ნერგი.

ამ საქმეზე დაიწყო გამოძიება. სხვათა შორის ვენახში იპოვნეს ჯოხი. გამოირკვა, რომ ჯოხი ეკუთვნის ამირანაშვილს.

ამირანაშვილი დააპატიმრეს.

— ჩემთან რა გინდათ, ეს ჯოხი ჩემი არ არის.

— სად არის თქვენი ჯოხი,შეეკითხა გამომძიებელი.

— ამ ოთხი დღის წინად დამეკარგა.— უტიფრად განაცხადა ამირანაშვილმა.

მთელ რიგ მოწმეთა დაკითხვით დადასტურდა, რომ ქურდობა ჩაიდინა ამირანაშვილმა.

ამ დღეებში ამირანაშვილის საქმე გაირჩა ბაღდადის უბნის სასამართლოში.

სასამართლომ ამირანაშვილის მიმართ წარდგენილი ბრალდება დამტკიცებულად სცნო და მიუსაჯა მას ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

გარყვნილების ბუდე

გიორგი და ლევან ბაგრატის ძე ხერიონოვებმა ამას წინად იჯარით აიღეს სასტუმრო „ბაქო“.

მათ სასტუმროში მოაწყვეს გარყვნილების ბუდე.

სასტუმროში ყოველ დღე იყო წივილ კივილი და აურ-ზაური.

მდგმურებს მოსვენება არ ჰქონდათ, აფრთხალებდნენ ხერიონოვებს, მაგრამ უკანასკნელნი არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ მდგმურების საყვედურს.

ასე განაგრძობდნენ ძმები ხერიონოვები თავიანთ ბინძურ საქმეს, სანამ სისხლის სამართლის მილიციაში არ ამოჰყვეს თავი.

საქმეს მიეცა მსვლელობა. გამოძიებით გამოირკვა, რომ ბევრი გაჭირვებული ახალგაზრდა ქალი გაუბედურებულა ხერიონოვების „რჩევა-დარიგებით“.

დადასტურებულია, რომ ბრალდებულებმა გარყვნილების წუმპეში ჩაითრიეს აგრეთვე მცირეწლოვანი ქალები.

ეხლა ძმები ხერიონოვები დაპატიმრებული არიან და ამ ახლო ხანში წარდგებიან სასამართლოს წინაშე.

თ.

შემთხვევები

მტკვარში დახრჩობა

გუშინ, დღისით, მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო ვახტანგ არზუმანოვი.

ქურდობა

გაქურდეს აფინოგ ჩხეიძის ბინა (პეტრიაშვილის ქუჩა № 23), წაიღეს სხვადასხვა ნივთები. გაქურდეს ზაქარია ზატიანცის ბინა, წაიღეს 100 მანეთის საოჯახო ავეჯეულობა. ამ საქმეზე დააპატიმრეს აშოტ გოზიანცი.— გრიგ. დავიდოვის ბინიდან მოიპარეს 176 მანეთის ნივთები.—გაქურდეს გრიგოლ სიხარულიძის ბინა (საბჭოთა ქუჩა № 32), მოპარულია სხვადასხვა ნივთები.

—:—

17 აგვისტოს, ღამით, ბოროტ-მოქმედთა მიერ გატეხილია მეთოდე გორდეზიანის სახელოსნო , საიდანაც წაღებულია 311 მან. ღირებულების ფეხსაცმელები. ეჭვით დაპატიმრებულია იმავე სახელოსნოში პლატონ კოსტავა.

ფიზკულტურა და სპორტი

საკავშირო მოტო-გადარბენა

ფიზკულტურის საბჭოს მოტო-ველო სექციამ გუშინ საკავშირო მოტო-გადარბენის მონაწილეთაგან მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ გადარბენის მონაწილენი მოსკოვში ჩავიდნენ დღეს, 24 აგვისტოს.

გადარბენაში სხვებთან ერთად მონაწილეობას იღებენ თბილისის მოტო-ველო საზ-ბის წევრები, მოტოციკლეტისტი ქალი ბატალეევა და მექანიკოსი ახმეტელი.

ფეხბურთის სეზონის გახსნა

საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურის ბიუროსთან ეწყობა ფეხბურთის კომისია, რომლის თავმჯდომარე იქნება ამხ. **დ. მდივანი** კომისიაში წევრებად შევლენ: ამხ. **იოსავა** (ფიზკულტურის საბჭოდან), ფეხბურთელთა გუნდების ორი კაპიტანი და ფიზკულტურის ინსპექტორი. აღნიშნული კომისია უხელმძღვანელებს პირველობის გათამაშებას ფეხბურთში პროფკავშირთა გუნდებს შორის.

ორშაბათს, 27 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, ს. პ. ქ. ს. ფიზკულტურის ბიუროში დანიშნულია პროფკავშირების ფეხბურთელთა გუნდების კაპიტანთა კრება. პროფკავშირების გუნდებათ ითვლება: კავშირების ც. გამგეობების, მუშათა კლუბების, უმაღლეს სასწავლებლების, მუშფაკელების, სპეცტეხნიკუმების, საფაბრიკო-საქარხნო სკოლების, დაწესებულებების და ფაბქარხადგილკომების ყველა გუნდები.

გუნდების რეგისტრაცია იწარმოებს 28 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე. პროფკავშირების შემოდგომის საქალაქო პირველობის გათამაშება ფეხბურთში დაიწყება 16 სექტემბერს. ს. პ. ქ. ს. ფიზკულტურის ბიურო ფეხბურთის სეზონის დაწყებისათვის უშვებს აბონემენტებს. ოთხ ბილეთიანი აბონიმენტი ღირება 60 კაპ. აბონემენტები გავრცელებული იქნება ფაბქარხადგილკომების საშუალებით.

პირველობის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს პროფკავშირების 30 გუნდი. სეზონის გახსნის დღეს გაიმართება შეჯიბრება საქ. პროფკავშირების ნაკრებ გუნდსა და ამიერკავკასიის იმ ნაკრებ გუნდს შორის, რომელიც საკავშირო სპარტაკიადაზე გამოდიოდა. აღნიშნულ გუნდებს შორის გაიმართება სამი შეჯიბრება ზედიზედ (სამი დღის განმავლობაში). გამარჯვებულად ჩაითვლება ის, ვინც მეტს მოიგებს სამი შეჯიბრებიდან.

პროფკავშირების ნაკრები გუნდი განზრახულია შედგენილი იქნეს შემდეგი მოთამაშეებისაგან: **ნაიდენოვი** (აფხაზეთი), **ვორონოვი, მატიენკო, გონელი, მდივანი; იმნაძე; გუნია** (ფოთი), **ასლამაზოვი, დიაკოვი: მაღალაშვილი და აივაზოვი.**

კომუნალურ მუშაკების გუნდის გამგზავრება

დღეს ბათომში მიემგზავრება ორი მატჩის ჩასატარებლად კომუნალურ მუშაკთა კავშირის ფეხბურთელთა გუნდი, 15 კაცის შემადგენლობით. გუნდს მიჰყვება კავშირის ც. ბ წარმომადგენელი ამხ. **ტერ-არუთინოვი.**

გუნდში შედიან: **დარჩია, ხანდამოვი, ბუსკო, ემილიანოვი, სკაკოვი; კოჟუროვი, ხადური, მაჩაიძე, ირემაძე, გაჩეჩილაძე და მიხნევიჩი.**

სათადარიგო მოთამაშეები: **ხაჩი-ოღლი, გეგეჭკორი, გულიაშვილი და უმიკაშვილი.**

გუნდს პირველი შეჯიბრება ექნება შაბათს ბათომის კომუნალურ მუშაკების გუნდთან.

კალათბურთი ქუთაისში

ქუთაისში დამთავრდა შეჯიბრება კალათბურთის გუნდებს შორის ზაფხულის პირველობაზე.

ვაჟთა პირველ კატეგორიაში მონაწილეობას იღებდა 6 გუნდი: რიონჰესის, შინა-მრეწველების, სახ. ბანკის, პროფკავშირის და რკინის გზის პირველი და მეორე გუნდები.

პირველი ადგილი დაიკავა რიონჰესის გუნდმა, მეორე—შინამრეწველებმა და მესამე—რკ. გზ. მეორე გუნდმა.

მეორე კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა კომუნ. მეურნეობის მუშაკთა კავშირის გუნდმა, მეორე—რიონჰესის მეორე გუნდმა, მესამე—მედსანშრომის მუშაკთა გუნდმა.

ქალთა გუნდებიდან პირველ ადგილზე გამოვიდა—რკინის გზის გუნდი.

ავიაქიმში

ავიაქიმის სასროლო სექციაში

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა მოიწვიოს სასროლო სექციაში სამუშაოდ თითო წარმომადგენელი ყოველ რაიონიდან.

ამავე სხდომაზე არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა სამაზრო სასროლო სექციების დებულების გამომუშავება.

სასროლო საქმის მეთოდიკა

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმი შეუდგა სასროლო საქმის მეთოდიკის შემუშავებას, რისთვის გამოყოფილ იქნა კომისია, რომელშიაც შედიან სასროლო საქმის მცოდნე ამხანაგები.

ავიაქიმი და სასოფლო მეურნეობა

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმი დიდ ყურადღებას აქცევს ადგილობრივ ორგანიზაციების მუშაობას სასოფლო მეურნეობის დარგში. მიქცეული აქვს ყურადღება, რომ ორგანიზაციებმა მიიღონ უშუალო მონაწილეობა ბრძოლაში მოსავლის მავნებლებთან და ხელი შეუწყონ ხელოვნური სასუქის გავრცელებას სოფლად.

ავიაქიმის ყოველ ორგანიზაციასთან ჩამოყალიბებულ იქნება სასოფლო-სამეურნეო წრეები, რომლებშიაც მიზიდული იქნებიან ადგილობრივი აგრონომიული ძალები.

მიღებულია ზომები სასოფლო-სამეურნეო წრეების მოსამარაგებლად ხელსაწყოებით, ლიტერატურით და ექსპონატებით.

ახალი სემაფორები

ქუჩაში, გზა ჯვარედინებზე აქამდე ხმარობენ ორ ფირფიტიან ნიშან-სვეტს. ახლო ხანში თბილისში ხმარებაში შემოვა ახალი მანიშნებელი-მანათებელი, რომელიც გამოაგონეს ინჟინერებმა წურინოვმა და ზუბალოვმა.

კომისიამ, რომელიც გამოყოფილ იყო ადგილობრივ ტრანსპორტზე, მომუშავეთა კავშირის ც. გ. არსებულ ინჟინერ-ტეხნიკოსთა ბიუროს მიერ სავსებით, მოიწონა ახალი მანიშნ-მანათებელი. ის მოიწონა აგრეთვე ქალაქის აღმასკომმა და დაავალა ადმინისტრ. განყოფილებას დადგას საცდელად ერთი ასეთი მანიშნებელი - მანათებელი კირკისა და პლეხანოვის გამზირის გზაჯვარედინზე.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 24 აგვისტო

დღეს, 24 აგვისტოს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—მოხს. ქართულ ენაზე.

შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები (გაგრძელება)—მოხს. რუსულ ენაზე.

ახალგაზრდობის მე-14 საერთაშორისო დღის ჩატარების წესი—საინსტრუქციო მოხსენება რუსულ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

ტუბერკულიოზი—ჯანსახკომის მოხსენება თურქულ ენაზე.

რადიო-გაზეთი—ოსურ ენაზე.

გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—ქართულ და რუსულ ენებზე.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ა. ქ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

მოხსენებებს შუა—მუსიკალური ნომრები.

მეცნიერება და ტეხნიკა

ულტრა-იისფერი სხივები და რადიო

ამერიკელმა მეცნიერმა პროფ. **ხელბურტმა** წამოაყენა ახალი თეორია, რომლის თანახმად, რადიო-გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ მზის სინათლის ულტრა-იისფერი სხივების იონიზაციის თვისების წყალობით (იონიზაცია—ნივთიერების მოლეკულის დაშლა უარყოფითად და დადებითად დატენილ ნაწილაკებად). უკვე დიდი ხანია შემჩნეულია, რომ ატმოსფერის ზედა-ფენებში მოიპოვება რადიო-ტალღებისათვის გაუვალი (ე. წ. კენნელი—ხივისაიდის) ფენა. მხოლოდ ამ ფენის არსებობა ხდის შესაძლებლად რადიო-გადაცემას დედამიწაზე. რომ ეს ფენა არ იყოს, რადიო-ტალღები თავისუფლად გავრცელდებოდა სამყაროს სივრცეში და დაიკარგებოდა იქ. კენნელი-ხივისაიდის ფენა უკუ-იტყორცნის რადიო-ტალღებს (როგორც სარკე სინათლის სხივებს). ხელბურტის აზრით, კენნელი—ხივისაიდის ფენა წარმოადგენს გათხელებულ ჰაერის არეს, ძლიერ იონიზაციაქმნილ ულტრა-იისფერი სხივების ზეგავლენით. სწორედ ამ მოვლენით აიხსნება ის გარემოება, რომ რადიო-გადაცემა უკეთ იმის ზამთრობით, ვიდრე ზაფხულში. ზაფხულობით, როცა მზის გამოსხივება ინტენსიურია, ულტრა-იისფერი სხივები უფრო ღრმად იჭრებიან დედამიწის ატმოსფერაში და აუარესებენ გადაცემის პირობებს. მაგრამ ასე ყველა ულტრა-იისფერი სხივები არ მოქმედებენ, არამედ მხოლოდ მათი ნაწილი. ყველაზე უმოკლესნი. მეცნიერებაში ცნობილი ტალღებიდან—სიგრძით დიუმის სამ მემილიონედ ნაწილამდი—იწვევენ ატმოსფერის ყველაზე უფრო მაღლა მდებარე ფენის იონიზაციას. ტალღები სიგრძით დიუმის 3—5 მემილიონედ ნაწილამდი იწვევენ ატმოსფერის იონიზაციას 60—150 კილომეტ. სიმაღლეზე. დიუმის 5—7 მემილიონედ ნაწილის სიგრძის მქონე ულტრა-იისფერ სხივებს ნთქავს ატმოსფერის მჟავბადი, რომელიც ამის გამო იქცევა ოზონათ. მაგრამ ამ და უფრო მეტი სიგრძის ტალღებს აღარ აქვთ იონიზაციის თვისება. 0,000011 დიუმის სიგრძის მქონე ტალღები წარმოადგენენ იმას, რაც ჩვეულებრივ იგულისხმება ულტრა-იისფერი სხივების ქვეშ. ეს სხივები სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის: მზის ვანების მისაღებათ, რახიტის წინააღმდეგ და სხვ. 0,000016 დიუმის სიგრძე ტალღებს უკვე ხედავს თვალი.

კაცობრიობის ჰასაკი

ამერიკელი **ოსბორნი** და ინგლისელი **მოირი** ახლახან გამოქვეყნებულ შრომაში ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ადამიანები ჯერ კიდევ 1.250.000 წლის წინად არსებობდნენ (დღემდი ფიქრობდნენ, რომ პირველი ადამიანები მხოლოდ 500.000 წლის წინად გაჩნდნენ).

ოსბორნი და მოირი თავის შრომაში იყრდნობიან მათ მიერ ჩრდ. ინგლისში ნაპოვნ უძველესი ადამიანის ძვლების და თიხის ჭურჭლების შესწავლას. ამ ძვლებსა და ჭურჭლებს ისინი აკუთვნებენ უფრო უძველეს პერიოდს, ვიდრე დღემდე არსებული შეხედულებით გაჩნდნენ პირველი ადამიანები. ამრიგად, ოსბორნისა და მოირის აზრით, 1.250.000 წლის წინად არა მარტო არსებობდნენ ადამიანები. არამედ მათ იცოდნენ ცეცხლის მოხმარება.

ნარევი

ახალი ნავთსადგურები კანადაში

კანადის მთავრობა ახალ ნავთსადგურს აგებს გუძონის ყურეში, მდ. ნელსონის შესართავთან, ნავთსადგური შენდება ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით—მრავალრიცხოვანი დოკებით, გემსადგომებით, მექანიკური დასატვირთავ-გადმოსატვირთავ მოწყობილობებით და სხვ. ნავთსადგურის მოსაწყობათ გადადებულია 12.000.000 მანეთი. გარდა ამისა, ნავთსადგურებში მისასვლელ სარკინიგზო ხაზების გაყვანა დაჯდება 40.000.000 მანეთი ახალი ნავთსადგურის უპირატესობა ჩრდ. ამერიკის სხვა ნავთსადგურებთან იმაში მდგომარეობს, რომ იგი 1.500 კილომეტრით ახლო იქნება ევროპასთან.

ახალი ხიდი მისისიპზე

ახალ ორლეანში (შეერთებული შტატები) განზრახულია ხიდის აგება მდ. მისისიპზე.

ხიდი შეაერთებს ქალაქის ორ მჭიდროდ დასახლებულ ნაწილს. უზარმაზარი ხიდი ამ დიდ სანაოსნო მდინარეზე გამოკიდებული იქნება ორ მაღალ ბჯეზე: ხიდის შუა ნაწილის სიგრძე იქნება 1650 ფუტი, ორი ბოლო ნაწილების—რვას-რვაასი. ამ რიგად მთელი ხიდის სიგრძე იქნება 3.250 ფუტი (464 საჟენი). ხიდის აგება დაჯდება 20.000.000 მანეთი. გეგმის შედგენის დროს დაბრკოლება გამოიწვია მაღალი დამბის საკითხმა. ამ დამბით მგზავრები და ეკიპაჟები ხვდებიან ხიდზე. ხიდის სიმაღლესთან შეფარდებით დამბაც დიდი უნდა ყოფილიყო. ამისათვის კი საჭირო ხდებოდა ქალაქის რამდენიმე უბნის დანგრევა. მაგრამ ამერიკელმა ინჟინერებმა მოხერხებული გამოსავალი ჰპოვეს: მისასვლელი დამბის მაგიერ თითეული ნაპირიდან ხიდზე გასასვლელად მოწყობილი იქნება ორი უზარმაზარი რგვალი კოშკი (სიმაღლით 120 ფუტი, დიამეტრით 300 ფუტი), კოშკები აგებული იქნება რკინა-ბეტონიდან და შიგნიდან ხვიისებური ფორმა ექნება. თითეული კოშკი წარმოადგენს უზარმაზარ ვინტს, რომლის კიდეებზე, მთლიანი და მაგარი ღერძის გარშემო, გაივლის გზა ზედა მოედნამდე, საიდანაც მოწყობილი იქნება ხიდზე გადასასვლელი. გზის დახრილობა კოშკში არ იქნება 3 ნახ. გრადუსზე მეტი. კოშკში მოწყობილი გზის სიგანე იქნება 25 ფუტი. გზა ორ ნაწილად იქნება გაყოფილი: ერთი—ხიდზე ასასვლელი ეკიპაჟებისათვის და მეორე—ხიდიდან ჩამომსვლელთათვის.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა ხელზე

დღეს, 24 აგვისტოს, თბილისის შრომის ბირჟაში სამუშაოზე გასაგზავნათ გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები:—

კვალიფიციურ მუშაკთა პირველი სექციიდან: ლებედევი ალექსანდრე, სარქისოვი ოვაკიმ, ხეთისაშვილი გიორგი, გასპაროვი ვაგარ, ავეტისინი ავეტიქ, ხაჩატუროვი არშაკ, კასელაძე ნიკოლოზი. მერაბოვი ბარბალე, ისემაშვილი სოლომონი, კურენკო ნიკოლოზი, ადუაშვილი ნიკოლოზი, დარახველიძე იასონი, ზალიევი სერგო, ძნელაშვილი გიორგი, ღარიბოვი არტემი, მერაბოვი გერასიმე, კასტიროვი ივანე, საკიანი არუთინი, ანდრონიკაშვილი ნადია, მორგიაშვილი გერასიმე, ხუციშვილი მიხეილ, მკლალედკინი ივანე, მამულაშვილი აბრამ.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ამირაგოვა ასმიდი. ხვადაგიძე ვალენტინა, პეპიამინოვა მარია, მირზოევა ანტონინა, უშვერიძე ნინო, ორაბიანი იოსები, ვაჩნაძე ილია, ლომიძე დარია, კონტრიძე ამვილოქსე, ბლიაძე ვლადიმერი, თოხაძე ნინო, ოვანესიან ბოგდან, კანკავა ვლადიმერი, ოსმანცევი ლეონი, ათაენკო მიხეილ, ზალდასტანიშვილი იოსები, ნარეკიშვილი თამარი, ქვანია ნოე, შულცი თეოდორე, ბაღდასაროვი ვანო, შახნაზაროვი გეორგი, მელუა ალექსანდრე. მელიავა ალექსანდრე, ბარნაბიშვილი ივანე, კიკნაძე გიორგი, არონიძე მიხეილ, ჰელიძე სიმონი, აბუევი სიმონი, მარტიროსოვი ნიკიტა, ცერცვაძე ალექსანდრე, საბაშვილი სერგო, ოდიშარია კოსტანტინე, მოველაძე ლონგინოზ, ბარამიძე პლატონი, კაპანაძე ლუბა, ჩიგოგიძე კონსტანტინე, ფოცხვერიშვილი შალვა, უსეინაშვილი ალექსანდრე, შუშანიანი გრაჩ, ესაკია ივანე, გორგოზევი რუბენი.

მედსექციიდან: მოსიძე ამბროსი. ნატარაძე ლუკა, ელკინა სარა, მაჭავარიანი ელენე, ენიკალოპოვი კონსტანტინე.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: ხანბოია, მამედ-ოღლი,ასადულა. ჯანელიძე ილია, აკულიანცი სარქის, ერმოლენკო ალექსანდრე, ბაგრამოვი რუბენი, კარსლიძე ანასტასია. გამინაშვილი სოლომონ, სოლოღაშვილი მარტიროს, სურამელაშვილი მიხეილ.

აგრონომი გაბო ოქროპირიძე და მეუღლე ანა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს საყვარელი სიძის და გულითადი მეგობრის

ექ. მინა მალაქიას-ძე მარუაშვილის

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროვოდ გარდაცვალებას. 3808

ჯ. ს. კ. ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტი ულრმესი მწუხარებით აცხადებს, რომ ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდ გ გარდაიცვალა დირექტორის მოადგილე

ექ. მინა მალაქიას ძე მარუაშვილი

3813

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი მწუხარებით იუწყება, რომ ა. წ. 22 აგვისტოს, დილის 2 საათზე ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მალარიის წინააღმდეგ თავდადებული მებრძოლი, ჯანსახკომისარიატის ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე

ექ. მინა მალაქიას ძე მარუაშვილი

გამოსვენება შაბათს ა. წ. 25 აგვისტოს ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე, ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტიდან პლეხანოვის პროსპ. № 139. ნ. 1518

ექიმები: ლ. ნაზარეთიანი, ივ. ფრანგულიანი, პრივ. დოც. გ. ვარაზიშვილი, ვლ. ფანცხავა, ვანო ლორთქიფანიძე, პრივ. დოც. ალ. წულუკიძე, პრივ. დოც. ი. აბაკელია, გ ელიავა, ივ. ელიაშვილი, ლ. ანთაძე, ო. კონიაშვილი დამწუხრებულნი აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს, რომ 22 აგვისტოს 1928 წ. დილით გარდაიცვალა მათი ამხანაგი, მშრომელთა მომაგე და უანგარო

ექიმი მინა მარუაშვილი

პანაშვიდი საღამოს 6 საათზე ქალაქის მე-2 საავადმყოფოს პროზექტურაში. 3803

თავზარდაცემულნი მეუღლე თამარი, შვილი გოგი და დედა ეფროსინე აუწყებენ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი

ექ. მინა მალაქიას-ძე მარუაშვილი

ცხედარს დღეს საღამოს 6 საათზე, გადაასვენებენ ქალაქის მეორე საავადმყოფოს პროზექტურიდან ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის დარბაზში (პლეხანოვის გამზირი № 139), დასაფლავება 25 აგვისტოს 3 ნახ. საათზე. 3816

ჯანსახკომის ბიქტერიოლოგიური ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ა. წ. 22 აგვისტოს გარდაიცვალა ტროპიკული ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე

ექ. მინა მალაქიას-ძე მარუაშვილი

3818

ღრმად დამწუხრებული მეუღლე პავლე ჭელიძე. ივანე და მართა ჭელიძეები, მამა ერასტი ბოჭორიშვილი შვილებით, მულები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 22 აგვისტოს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ლუბა ერასტის ასული (ბოჭორიშვილი) ჭელიძისა

გამოსვენება მოხდება ქ. სურამში შაბათს, 25 აგვისტოს ნაშუადღევის 4 საათზე. 3817

განთიადი	ამერიკული კინო-რომანი **ამერიკელი ქალის თავგადასავალი** 1 და 2 სერია ერთად
საზაფხულო ეთერი	უკანასკნელი დღე **რობინზონ კრუზო** 3 და 4 სერია
საზაფხულო დარბაზი	მოზჟუხინი, ლისენკო და ნ. კოლინი განთქმულ სურათში **კინ**
საზაფხულო პალასი	პრემიერა უკრაინის ფოტო-კინოს ნაწარმოები **ლურჯი პაკეტი**
პროლეტარი ავლაბარი	სეზონის საუკეთესო სურათი **პრერიების კანონი**

ანონსი მალე, სეზონის საუკეთესო კომედია „ორი მეგობარი, მოდელი და მეგობარი ქალი“. ნ. 20

მედსანშრომის საზაფხული კლუბი
დღეს, 24 აგვისტოს,

სიმფონიური კონცერტი

ცნობილ დირიჟორის **ვალერი ბერდიაევის**

პირველი გასტროლი, სოლისტ-სკრიპაჩის ლევ ბენდიცკის მონაწილეობით
პროგრამაში—ჩაიკოვსკი, რიმსკი—კორსაკოვი.
ბაღში—კინო. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
ცუდი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.
შემდეგი კონცერტი—ხვალ, 25 აგვისტოს, მუშათა ცენტრ. კლუბში ნ. 1515

მიხეილ გეღევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომლებიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., 20 25—1
ქუთაისში (დროებით)

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11. ტელ. 4—82. 25—1

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. ნ საღ. 6—8 საათ.
ამოს ქუჩა 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა). 25—1

კინო-პალასი
დღეს და ყოველდღე
პრემიერა
უკრაინის ფოტო-კინოს ნაწარმოები
ლურჯი პაკეტი
დადგმა რეჟისორი ლოპატინსკისა
ნ. 1520

გაზ. „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი (ან ქვითარის №-რი)**, რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 მთავარი კანტორა.

ქ. ქუთაისის 1 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ი. მილორავა

ამით აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში მახარაძის ქუჩაზე სახლი № 30, 28 აგვისტოს დღის 2 საათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** მაქსიმე სოფრომის-ძე ზვიადაძის ერთი ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი. გასასყიდი სახლი დახურულია კრამიტით, შესდგება 4 საცხოვრებელი ოთახისაგან, ერთი სამზარეულოთი და აგებულია საეზოვე მიწაზე დაახლოვებით ზომით 120 ოთხ. კ. საჟ. შეფასებული 3000 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან მიხეილ აბრამისძე ქშონზერის და სხვ. ძიების დასაკმაყოფილებლად. ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება უნდა წარმოადგინოს ცნობები, აღნიშნული 311 მუხლ. სამ. საპრ. კოდ. და შენობის შეფასების 10 პროც.-ის საწინდარი. 3814

დაკარგვა: სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 2507 გაცემული ვლადიმერ იოსების-ძე ბრეგაძის სახელზე, ჩ. გ.

დაკარგვა: ს. კ. პ. (ბ) საკანდიდატო ბარათი № 18,903 სილოვან ალექსის ძე ბენიძის სახელზე, ჩ. გ. 3811

ქ. თბილისის 1 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვ. პ. გაბუნია

ამით აცხადებს, რომ 27 აგვისტოს 1928 წ. დღის 1 საათზე სახლში № 19 წყნეთის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება შემდეგი მოვალეების მოძრავი ქონება: ისიდორე გოგოშიძის ტანისამოსის შკაფი, სასადილო გასაშლელი მაგიდა, ორი პატარა მაგიდები, სკამები ვენის 6 ც., სარკე პირის საბანი და ერთი ნოხი შეფასებული 296 მანეთად, ესტატე გრგოშიძის რკინის კრაოტი და ლომბერის მაგიდა შეფასებული 65 მანეთად; მინა მიქიაშვილი ტანისამოსის შკაფი, ჭურჭლის შკაფი, პირისსაბანი, კამოდი, სკამები 3 ც. შეფასებული 201 მანეთად, მარიამ იოსების ასული მახათაძის 980 მანეთის 06 კაპ. ვალის დასაკმაყოფილებლათ თანახმად ქ. თბილისის მაზრა ქალაქის სასამართლოსაგან 5 ივლისის 1928 წლის თარიღით № 88/2 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3809

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—2

ყოველდღე ნაშუადღევის 1 საათიდან საღამოს 6 სა-დე
სათვალეების შერჩევა
— და —
მათი სწორი დაყენება
სპეციალისტ ექიმის მიერ
უფასოდ
სახმედვაჭრობის ძალაზიაში, პლეხანოვის პროსპექტი, № 106 მიღებულია ბევრი საქონელი შემდეგი სახის: სათვალეების ჩარჩოები, კლიპსები, შუშები და ხელოვნური თვალები.

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ.7 ნახ.—8 ნახ. საათ.

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს—დე და საღამოს 4—5 ნახ. ს—დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 3. 25—2

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს
6—7 ქალებს.
25—1

მედიცინის დოქტორი
მ. ფ. მგალობელი
ქალ რი სნეულებანი (მხოლოთ). იღებს საღ. 6—7 ს.
ჯაფარიძის ქ. (ყოფილი პოლიციის) № 18.
3212

დაკარგვა: ცვალებადელის სათადარიგო წითელი არმიის სამსახურის წიგნაკი გაცემული მეხუთე ქართულ მსროლელ ლეგიონიდან გიორგი ივანეს-ძე სხირტლაძის სახელზე, ჩ. გ. 3805

დაკარგვა: სამხედრო აღრიცხვის პირადი წიგნაკი № 3056, ფორმა № 4, გაცემული მე-2 სამილიციო რაიონის მიერ, არსენ პავლეს ძე კოკაიას სახელზე, ჩ. გ. 3804

დაკარგვა: პირადი წიგნაკი № 354 ფორმა № 4 გაცემული ფოთის სამხედ. მაგიდის მიერ ბათლომე თემურაზის-ძე მზარელუას სახელზე ჩ. გ ნ. 1519

დაკარგვა: კავშირის წიგნაკი № 22944, ს.კ.პ. (ბ) საკანდ. ბილეთი № 20413, ა.ლ.კ.კ. საწევრო წიგნაკი № 32360, სამხედრო ბეგარის მოწმობა № 427 და პირადობის მოწმობა გაცემული უნივერსიტეტის მიერ № 325 იასონ ლალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3807

დაკარგვა: უვადო პირადობის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის ნუსხა ფ. № 4, პირველი გაცემული ფოთის მ/გ. მილიციის მიერ ხოლო მეორე ფოთის სამხედრო მაგიდის მიერ, კალისტრატე ბათლომეს ძე მირცხულავას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1519

დაკარგვა: ინვ ლიდობის მოწმობა № 170 გაცემული ქუთაისის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებისაგან პოლიკარპე ალექსის ძე გალდავაძის სახელზე, ჩ. გ. 3806

დაკარგვა: საანგარიშო წიგნაკი ზუგდიდის „ემოსის“ და დაზღვევ სალაროს წიგნაკი გაცემული ზუგდიდის დამზღვევ სალაროდან ალექსანდრე დათას-ძე ხაბურძანიას სახელზე, ჩ. გ. 3806

დაკარგვა: პროფკავშირის წიგნაკი № 10719 გაცემული ქუთაისის ერთეულთა აღმშენებელთა კავშირის მიერ სერაფიონ ჩირაძის სახელზე, ჩ. გ. 3806

დაკარგვა: ინდუსტრიალური მექანიკური ტეხნიკუმის მიერ გაცემული მოწმობა № 484 კონსტანტინე სილიბისტროს-ძე ტაბიძის სახელზე ჩ. გ. 3806

დაკარგვა: პირადობის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის ნუსხა რომან სტეფანეს-ძე კუბრიაცოვის სახელზე, ჩ. გ. 3806

დაკარგვა: სოც. უზრუნვ. კომისარიატის მიერ გაცემული მოწმობა და სიღარიბის მოწმობა სოფიო მიქელაძის სახელზე, ჩ. გ. 3810

დაკარგვა: სამხედრო საალრიცხო ბარათი ფორმა № 4 გაცემული 1-ლ სამილიციო რაიონიდან ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე კალანდირიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3812

დაკარგვა: პირადობის მოწმობა № 87 ანეტა ანჯაფარიძის სახელზე, ჩ. გ. 3815

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.